სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლოუნივერსიტეტი

მაგისტრანტი მარიამ ქებაძე

გმირობა-ვაჟკაცობის თემა XIX საუკუნის II ნახევრის ქართულ ლიტერატურაში

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე

ქართული ლიტერატურის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: პროფესორი თამარ გოგოლაძე

გორი

2020

ანოტაცია

XIX საუკუნეში საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვამ და მტერთა შემოსევების შემცირებამ ერთგვარად შეცვალა გმირობა-ვაჟკაცობის, როგორც ადამიანის უმაღლესი ზნეობრივი ღირსების, აუცილებლობა. მისადმი დამოკიდებულება, რაც, რომანტიკოსთა შემდგომ, სრულყოფილად წარმოჩინდა ილიას, აკაკის და, განსაკუთრებით, ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში.

საკვლევი თემა აქტუალურია, რამდენადაც იგი ეხება ადამიანის ზნეობრივ ღირებულებებს.

მასალის კვლევა ძირითადად განხორციელდა ჩვენს მიერ მხატვრული ტექსტების ანალიზით და ამასთან დაკავშირებით მკვლევართა ნააზრევის გათვალისწინებით. გამოიკვეთა XIX საუკუნის მწერალთა თვალსაზრისი გმირობა-ვაჟკაცობაზე, როგორც ერის ზნეობრივი გამოღვიძების, ერთ-ერთ საშუალებაზე.

Anotation

M. Kebadze

The Theme of Heroism-Bravery in the second half of the 19th century in Georgian Literature

In the 19th century, the ioss of Georgia's independence and the reduction of enemy invasions changed the necessity of heroism as the highest morai dignity. The attitude towards it was perfectly reflected in the works of Romantic writers: Ilia, Akaki, and especially in Vazha-Pshavela's creative works.

The research topic is up-to-dated as far as it deals with human moral values. The research of the material was mainly carried out by analyzing foctional texts and taking into consideration the opinions of researchers. The views of nineteenth-century writers on heroism as a means of awakening the nation's moral views were revealed.

შინაარსი:

შესავალი 4-9

თავიI. გმირობა-ვაჟკაცობის იდეალი წარსულსა და აწმყოში ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში 10-21

§1გმირობა-ვაჟკაცობა ილიამდელ ქართულ ლიტერატურაში……..10-13

§2 გმირობა-ვაჟკაცობა ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში 13-21

თავი II. გმირობა-ვაჟკაცობა აკაკი წერეთლის შემოქმედებაში 22-44

თავი III. კარგი ყმის ანუ ვაჟკაცის აბრისი ვაჟა-ფშაბელას შემოქმედებაში 45-73

დასკვნა 74-76

გამოყენებული ლიტერატურა 77-79

შესავალი

სამაგისტრო ნაშრომის თემად შემთხვევით არ შევარჩიეთ ,,გმირობა-ვაჟკაცობა XIX საუკუნის II ნახევრის ქართულ ლიტერატურაში.“ მაგისტრატურაში სწავლის პერიოდში XIX საუკუნის ქართული მწერლობის აქტუალური პრობლემების შესწავლამ გვიჩვენა, როგორი ცვლილებები მოხდა ქართველი ერის ცხოვრებაში დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდგომ და როგორ წარმოჩინდა სიმამაცე,-ეს ერთი გამორჩეული თვისება სამოციანელთა შემოქმედებაში. ყურადღებას შევაჩერებთ მათ მხატვრულ ასახვაზე ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და ვაჟა-ფშაველას ნააზრევზე დაყრდნობით.

აღნიშნულ საკითხზე მონოგრაფიას მსოფლიოსა და ქვეყანაში შექმნილი ეპიდემიური მდგომარეობის გამო ვერ მივაკვლიეთ და მაი შესწავლა მოვახდინეთ თითოეული ზემოდასახელებული მწერლის შესახებ ჩვენს ხელთ არსებული ლიტერატურით, ასევე ინტერნეტული მასალებით, ძირითადად, მხატვრული ტექსტების ანალიზით.

თემა ახალი და აქტუალურია იმდენად, რამდენადაც კიდევ ერთხელ შეახსენებს თანამედროვეთ, რანი ვიყავით და რაში გამოიხატებოდა ადამიანის ერთი ღირსებათაგანი-გმირობა-ვაჟკაცობა-წარსულში მხატვრული ენით აჟღერებული. იგი კიდევ ერთხელ გააღრმავებს ბაკალავრიატისა თუ მაგისტრატურის სტუდენტებთან მწერალთა შემოქმედების შესწავლის პროცესს და ახალ ნიშნულებს გამოყოფს მათ შესახებ.

საკვლევი ობიექტია გმირობა-ვაჟკაცობა XIX საუკუნის ქართველი მწერლების შემოქმედებაში. კვლევის ამოცანაა, როგორ გამოიყენეს გაშალეს და გააღრმავეს აღნიშნული თემა, 60-იანი წლებიდან მოყოლებული, ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა და ვაჟა ფშაველამ თავიანთ შემოქმედებაში.

კვლევისათვის გამოყენებული იქნა ისტორიული და შედარებითი მეთოდები, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო და ხელმძღვანელ-მაგისტრანტის პირადი ბიბლიოთეკების ფონდები, ინტერნეტ მასალები.

გმირობა-ვაჟკაცობა ყოველთვის იყო მსოფლიოს სხვადასხვა ხალხების აღფრთოვანებისა და თაყვანისცემის საგანი. ადამიანის პატივისცემა უმეტესწილად სწორედ გმირობა-ვაჟკაცობით იზომებოდა. რა ფენომენია ეს? როგორ ესმოდათ მისი მნიშვნელობა ძველად? ან რა დატვირთვის მატარებელია ეს სიტყვები XIX საუკუნის

მეორე ნახევრის ქართულ მწერლობაში, როდესაც საქართველომ დაკარგა დამოუკიდებლობა.

სულხან-საბა ორბელიანი განმარტავს, რომ ,,გმირი-კაცი არის დიდი და საზარელი ტანითა, საქმითაცა მეტი და ძალითაცა გარდარეული ხოლო, ბუმბერაზი უმციერს მათსა, და უდიდეს და უმხნეს ჩუენსა. ეს გმირი განეყოფების ბუნბერაზსა (ბუმბერაზსა) ტანითა და საქმით(ა) მეტი და საქმით(ა) გარდარეული ხოლო ბუნბერაზი (ბუმბერაზი) უმცირეს-მათსა უდიდეს და უმხნეს ჩვენსა.“ (სულხან-საბა ორბელიანი, 2013: 203-204).

,,გმირ-ი ბრძოლასა და შრომაში თავდადებული, მამაცობითა და გამბედაობით გამოჩენილი, სიძნელეთა ვჟკაცურად დამძლევი“ (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, წ.1, 1990:324).

„ვაჟკაც-ი ღონიერი, გულადი, შეუდრეკელი მამაკაცი, შეუპოვარი მებრძოლი.“ (ქართული ენის განმარტებითი ლესიკონი, წ.1, 1990:494).

ხოლო ეროვნულ ზეპირსიტყვიერებაში გმირობის და ვაჟკაცობის თემას ხალხმა არაერთი აფორიზმი თუ ანდაზა მიუსადაგა: „ვაჟკაცსაგულირკინისა, აბჯარითუნდახისაო.“, ,,ვაჟკაცსარგამოადგებასოფლადმშვენებათავისა, ხმალსუნდააჭრევინებდეს,იმედიჰქონდესმკლავისა.“, ,,ხმალსაარუშლისსიმოკლე, ფეხწადგი,წაემატება, არცავაჟკაცსა-სიდაბლე, თუთავიგაემეტება.“(ქართულიხალხურიანდაზები). ,,ვაჟკაცობაყველზეუკეთესიჯავშანია.“ (სიბრძნისსაუნჯე, 1987:118-119).

ქართველთათვის უწმინდეს მოვალეობად ითვლებოდა ვაჟკაცობა. ის იყო საკრალური საუნჯე პიროვნებისათვის, რომელიც მას გამოარჩევდა და დიდების კვარცხლბეკზე აიყვანდა. ჩვენში, წინაპართა გადმოცემების თანახმად, ოდითგანვე არსებობდა ,,ვაჟკაცობის დაუწერელი წეს-კანონები“, რომელიც აუცილებლად უნდა დაეცვა მას, ვისაც ჰქონდა ამბიცია ყოფილიყო კაცი.

ქართული და უცხოური ისტორიული მასალებიდან ვიგებთ, რომ, ქართველებს სიმამაცე და ფიზიკური ძალა ჰქონდათ მომადლებული ღვთისაგან საჩუქრად. თუ გავიხსენებთ საქართველოს სტრატეგიულად სახარბიელო გეოგრაფიულ მდგომარეობას, ნათელი გახდება, რომ სიმამაცე და ძლიერება არსებითად

მნიშვნელოვანი თვისება უნდა ყოფილიყო ჩვენი, როგორც ერისა და სახელმწიფოს გადარჩენისათვის.

ცნობილი მოგზაურ-მისიონერები და ისტორიკოსები, სწორედ რომ გმირ-ვაჟკაცური თვისებების მქონე ერად ახასიათებდნენ ,,ორ ზღვას შუა“ მდებარე ულამაზესი ქვეყნის მკვიდრ ხალხებს.

,,დიოსკურიის მახლობლად სვანები (სოანები) ცხობრობენ... ისინი ძალგულოვანნი არიან და თავისი გამბედაობითა და საბრძოლო ძლიერებით თითქმის ყველა ხალხებზე შეუპოვარნი არინ. კავკასიის მაღალი მთებიც უჭირავთ და ყველა სხვა გვარ-ტომსა განაგებენ. სვანებს ყავთ მეფე და სამკაციანი საბჭო... ამბობენ, რომ სვანებს შეუძლიათ გამოიყვანონ ორასი ათასი კაცისაგან შემდგარი ლაშქარი, რადგან მთელი ხალხი ერთნაირი ძალის მებრძოლია. (სტრაბონი, ძვ.წ I , ახ.წ I- IIსაუკუნეები, ,,გეოგრაფიკა“ burusi.wordpress.com).

ქართველი კაცის შეფასების თვალსაზრისით საინტერესოა მწერალ ა. დიუმას თვალსაზრისი: ,,ერთი სიმართლით განთქმული რუსი მეუბნებოდა: ,,ქართველები ბრძოლაში უნდა ნახო, მაშინ ისინი ჩვეულებრივი ადამიანები კი არ არიან, არამედ, ტიტანები, რომელთაც ძალუძთ ზეცა იერშით აიღონ.“ (ალ. დიუმა, burusi.wordpress.com).

ქართველ ერში ყოველთვის იწვევდა აღფრთოვანებას, როგორც მშვიდობიანობის, ასევე ომიანობის დროს ადამიანის გმირული ბუნება, განურჩევლად ეროვნებისა, აღმსარებლობისა, წოდებისა, სოციალური სტატუსისა, ასაკისა და სქესისა. ეს დამოკიდებულება კი მრავალგზის აისახა ჩვენს ისტორიაში ფოლკლორსა და მხატვრულ ტექსტებში.

მრავალჭირგადანახად ქართველ ერს სისტემატურად უხდებოდა საკუთარი მიწისა თუ ოჯახის დაცვისათვის ბრძოლა. უკანასკნელი მნიშვნელოვანი ომი კი, კრწანისის მიდამოებში გაიმართა. მოგვიანებით ეს აისახა კიდეც მოგვიანებით ერეკლე II შთამომავლის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, პოემაში „ბედი ქართლისა“. ხოლო უფრო ადრე რომანტიკოსი პოეტის, ალექსანდრე ჭავჭავაძის „საქართველოს მოკლე ისტორიულ ნარკვევში“ 1809-დან 1831 წლამდე, რომელიც გაუგზავნს რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ I-ს, აქ გამოკვეთილია ფაქტი, რომ „სხვა სახელმწიფოთა მსგავსად

საქართველოსაც ჰქონდა დიდება“, ჰყავდა გმირები, მგოსნები და მწერლები“ (ალ. ჭავჭავაძე, 1989:206). „თავისი სამღვდელოების მიერ შთაგონებულმა ქართველებმა, რომლებიც დედის ძუძუსთან ერთად ითვისებდნენ ურჯულოებისადმი სიძულვილს, შეინარჩუნეს სარწმუნოება, მებრძოლი სული და სიყვარული სამშობლოსადმი.“ (ალ. ჭავჭავაძე, 1989:209). ხოლო გრიგოლ ორბელიანმა, თავად მეომარმა და სამხედრო პირმა საგალობელი უმღერა ირაკლი-თაფაზე დაბანაკებულ ქართველ მეომრებს. მან ასე დაახასიათა ქართველები: „ერი პურადი, გულადი, მებრძოლი შავის ბედისა“.

თუმცა აღნიშნულმა მწერლებმა გამოკვეთეს ქართველი ერის ერთი მნიშვნელოვანი თვისება - გმირობა-ვაჟკაცობა-ეს ყველაზე უკეთ და საჭიროდ, თვალსაჩინოდ, XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული, თერგდალეულთა, სამოციანელთა დიდი მოღვაწეების, ილიას, აკაკისა და ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში წარმოჩინდა, რომელთაც არამცთუ გააცოცხლეს წარსული-„ერის ერობისა“, არამედ აჩვენეს, როგორი საჭირო იყო ეს თვისება თანამედროვეთათვის, რითაც ძველ ქართველს სულისკვეთების რეინკარნაციისაკენ მოუწოდებდნენ.

რა სოციალურ-პოლიტიკური ვითარება იყო საქართველოში XIX საუკუნის დასაწყისისათვის?

ერეკლე II გარდაცვალების შემდეგ, მისი მემკვიდრე გიორგი XII გამეფდა. თუმცა მისი მმართველობა ხანმოკლე იყო. მეფე გიორგის გარდაცვალების შემდეგ, 1800 წლიდან, საქართველოს მეფე აღარ ჰყოლია. დავით XII კანდიდატურაზე, ჯერ კიდევ რუსეთის მეფე პავლემ კატეგორიული უარი განაცხადა. 1801 წლის მანიფესტით, რომელსაც ალექსანდრე I აწერდა ხელს, აღმოსავლეთ საქართველო ოფიციალურად გმოცხადდა რუსეთის ერთ-ერთ გუბერნიად. ეს მანიფესტი საქართველოში 1802 წლის 12 აპრილს გამოქვეყნდა. ამ დროიდანვე იქნა შემოღებული მმართველობის ახალი სისტემა, სადაც მთავარმართებელი იყო უმაღლესი თანამდებობის პირი. იგი ასევე იყო ქვეყნის უმაღლესი მთავარსარდალიც. მთავარმართებელთან ერთად ქვეყანას სათავეში ედგა ,,საქართველოს მმართველიც.“ ის იყო მთავარმართებელის თანაშემწე სამოქალაქო საქმეებში. სასამართლოსა და ქვეყნის სხვა ოფიციალურ დაწესებულებებში საქმის წარმოება რუსულ ენაზე მიმდინარეობდა. ეს კი დიდ სიძნელეს ქმნიდა, განსაკუთრებით, მოსახლეობის დაბალი ფენებისთვის, რომელთათვისაც რუსული არ

იყო მშობლიური ენა და არც მისი შესწავლის ფუფუნება ჰქონდათ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რუსეთთან შეერთების შემდეგ შეიცვალა ფეოდალური საქართველოს მართვა-გამგეობის სისტემა, თუმცა ბატონყმური ურთიერთობები ხელუხლებელი დარჩა. ქართველი თავადაზნაურობა კი გაუთანაბრდა რუსულ არისტოკრატიას. ანალოგიური პროცესები განვითარდა მალევე დასავლეთ საქართველოშიც. (ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტომი I, 1972, გვ 8-9).

გაუსაძლისი სოციალურ-პოლიტიკური ვითარება კვლავ გრძელდებოდა ქვეყანაში. XIX საუკუნის დამდეგიდან გლეხთა აჯანყებამ საქართველოს ყველა კუთხეში მასობრივი ხასიათი მიიღო. მათგან თავისი სიძლიერითა და ხანგრძლივობით ყველაზე მეტად დიდმნიშვნელოვანი აჯანებები იყო 1804 წელს-მთიულეთში, 1812 წელს-კახეთში, 1819-1820 წლებში-იმერეთში, 1841 წელს-გურიაში, 1857 წელს-სამეგრელოში... ამ აჯანყებების უპირველესი მიზეზი გლეხების აუტანელი ჩაგვრა იყო. თავადაზნაურთა ერთი ნაწილი, უკმაყოფილო მეფის რუსეთის პოლიტიკით, ოცნებობდა თავისი პრივილეგიების აღდგენაზე. ისინი გლეხთა აჯანყებებს თავისი მიზნებისთვის იყენებდნენ. თუ ბრძოლის დასაწყისში ისინი მხარს უჭერდნენ გლეხობას, ბოლოს ღალატობდნენ მათ. ვინაიდან ხედავდნენ, რომ აჯანყებულნი არა მარტო რუსეთის, არამედ ბატონყმობის წინაღმდეგაც იბრძოდნენ. (ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტომი I, 1972:11-12).

XVIII საუკუნის დასასრულს და XIX საუკუნის დასაწყისში, როდესაც საქართველომ ეროვნული თავისუფლება დაკარგა და შეილახა მაღალი წოდების პრივილეგირებული მდგომარეობა, საოცრად გაძლიერდა პესიმისტური განწყობა სამეფო გვარიდან გამოსული პოეტების შემოქმედებაში. სწორედ მათ გააღრმავეს ლიტერატურის წიაღში აღმოცენებული რომანტიზმის საწყისები. (ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტომი I, 1972:44.).

ძველი ქართული ლიტერატურის დასასრული დაემთხვა რომანტიზმის დასაწყისს ქართულ ლიტერატურაში. რომანტიზმში წარმოჩინდა წარსულისადმი უდიდესი ნოსტალგია და აწმყო უიმედობისა. წარსულის გაიდეალება, გარდასულ დღეთა დიდება გახდა საქებარი ქართველი პოეტებისათვის. ისინი ცდილობდნენ უფროდაუფრო ამაღელვებლად აღეწერათ ვაჟკაცობა-გმირობის, თავგანწირვის

ეპიზოდები ქვეყნის წარსულიდან. (გრ. ორბელიანის ,,სადღეგრძელო“, ნ. ბარათაშვილის ,,ბედი ქართლისა“). ამას რომანტიზმის გარდა რეალიზმშიც ვხვდებით. რეალიზმი ქართული ლიტერატურის ისტორიაში იყო ის მოვლენა, რომელმაც იტვირთა ,,ერის გამოღვიძების“ მისია. ახლა, როცა ომის საჭიროება აღარ იყო და ასე თუ ისე დამშვიდდა ქვეყანაში არსებული მდგომარეობა, ქართველობაც თითქოს შეურიგდა თავის ბედ-იღბალს, შეეგუა ასეთ ყოფას, თითქოს მიიძინა მთელმა ერმა ღრმა ძილით. ახლა ვაჟკაცობა სწორედ ის იყო, რომ ქართველობაში ვინმეს ბრძოლის სურვილი გაეღვიძებინა. თუმცა ამის დაუფარავად კეთება საშიში იყო და შეუძლებელიც. (ცენზურისა და მეფის ხელისუფლების შიშის გამო). ამგვარად, XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან თავისულებისათვის ბრძოლის ველმა ლიტერატურაში გადაინაცვლა, სიმამაცე და ,,ხმალი ქველური“ კი პერიოდულმა გამოცემებმა და კალამმა შეცვალა. ეს მართლაც მძლავრი იარაღი იყო ჭკვიანი, ენაწყლიანი მოღვაწეების ხელში. ნათქვამია, ,,სადაც ხმალმა ვერ გაჭრა, იქ ენამ ქნა თავისიო“. ასეთები აღმოჩნდნენ ქართველი სამოციანელები. მათ თავიდანვე დაისახეს მიზნად ქვეყნისათვის, ეროვნულობისათვის ბრძოლა. მიზნების კონსტატაცია კი თავისსავე შემოქმედებაში მოახდინეს და ისე წარუდგინეს მთელს ქვენიერებს. ამის კარგი მაგალითია ი. ჭავჭავაძის მგზავრის წერილები“, ,,ქართვლის დედას“ (რომელსაც მწერალმა ეპიგრაფად წარუმძღვარა ლაიბნიცის ცნობილი სიტყვები: ,,აწმყო, შობილი წარსულიდან, არის მშობელი მომავალისა“).

ზემოხსენებულ პერიოდში უმძაფრესად იგრძნობოდა გმირ-ვაჟკაცობის საჭიროება, რათა კიდევ ერთხელ გამოეფხიზლებინათ გადაგვარების საფრთხის წინაშე მდგარი ერი, დაენახვებინა მისთვის ,,მოძრაობის“ საჭიროება. ამ პრობლემურმა საკითხმა გამოიწვია ჩვენი ინტერესი და აღნიშნული თემის კვლევა. XIX საუკუნის ლიტერატურაში ეს საკითხი მეტად აქტუალურია, რადგანაც ის წარსულზე დყრდნობით ხელს უწყობს გმირული სულისკვეთების გაღვივებას, რომელმაც ასევე თავი იჩინა 2008 წლის აგვისტოს მოვლენებშიც.

ნაშრომი შედგება შესავალის, სამი თავისა და ორი პარაგრაფისაგან. ნაშრომს თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია.

თავი I. გმირობა-ვაჟკაცობის იდეალი წარსულსა და აწმყოში ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში

§1. გმირობა-ვაჟკაცობა ილიამდელ ქართულ ლიტერატურაში.

XIX საუკუნე გადამწყვეტი ეპოქა აღმოჩნდა არამცთუ ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის, არამედ მხატვრული ლიტერატურისთვისაც. 1801 წელს, რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე I მანიფესტით, აღმოსავლეთ საქართველო გამოცხადდა თბილისის გუბერნიად და შევიდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში. ამან ერთგვარად ხელი შეუწყო ქვეყნის საზღვრების დარბევისა და ხშირი შემოსევების ნელ-ნელა გაუქმებას. როგორც ილია ჭავჭავაძე აღნიშნავდა, ,, XVIII საუკუის ვაი-ვაგლახმა და XIX პირველი წლების წეწვა-გლეჯამ ჩვენი ერი მოჰღალა, ქანცი გაუწყვიტა, თავის იმედი დააკარგვინა. როცა შემთხვევა მიეცა, თავი თითქოს მოსვენებას მისცა, გაუყუჩდა და თითქმის ხმაამოუღებლივ დაემორჩილა ახლად მოვლენილს ბედსა და გარემოებას. თუ დააკვირდება კაცი იმ საშინელ გარემოებათა, რომელთაც აბეზარს მოიყვანეს ჩვენი ერი, უამისოდაც ილაჯ-გაწყვეტილი შინაური ამბოხებებისგანაც ცალკე და ცალკე გარეული მტერთა ზედმოსევისა, ხოცვისა და რბევა-აკლებისგან, ის, არა გვგონია, ისე გაკადნიერდეს, რომ ამ წყურვილს დასვენებისას უკიჟინოს. ხანგრძლივ შფოთებს შემდეგ სვენება უპრიანია, როგორც ცალკე კაცისათვის, ისე მთელი ერისათვის.“(ი. ჭავჭავაძე, ტ. III, 1986 : 182)

რუსეთის ხელისუფლების მიზანი იყო, რომ საქართველო ქცეულიყო პოლიტიკურად სანდო მხარედ, ხოლო ეკონომიკურად-მომგებიანად. ამ პროგრამაში შედიოდა ქვეყნის კოლონიზაციის საკითხი, რაც გულისხმობდა რუსული კოლონიებისა და სამხედრო დასახლებების შექმნას საქართველოში. ასე შეიქმნა სამხედრო კოლონიები მანგლისში, წალკაში, კოჯორსა და ახალციხეში...სულ ათი სამხედრო კოლონია. კოლონისტებს მიწებიც დაურიგეს, მაგრამ, რუსეთის იმპერიის განზრახვა, საქართველოს გარუსებისა, ვერ შესრულდა. XIX საუკუნის 50-იან წლებიდან გამწვავდა კონფლიქტი რუსეთსა და თურქეთს შორის. ამ პერიოდში საჭირო გახდა ქართველთა ჩართვაც სამხედრო მოქმედებებში, რამდენადაც თურქეთი ემუქრებოდა მთელ დასავლეთ საქართველოს, ,,რიონის მხარის“ დასაცავად შეიქმნა ,,გურიის რაზმი“. გურიის სახალხო ლაშქარმა, რომელსაც გიორგი გურიელი ხელმძღვანელობდა, გააფთრებული წინააღმდეგობა

გაუწია. ,,თურქები სასტიკად გაუსწორდნენ მამაც მებრძოლებს. მათ თითქმის მთლიანად ამოხოცეს გარნიზონი. ისინი ბავშვებსა და ქალებსაც კი არ ინდობდნენ და უმოწყალოდ ხოცავდნენ. ბრძოლაში დაიღუპა მილიციის მეთაური - გიორგი გურიელიც.“ (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, 1970:197).

როდესაც შამილი საინგილოში შემოიჭრა, ქართველთა რაზმმა გრიგოლ ორბელიანის მეთაურობით ალაზანთან მომდგარი მტერი უკუაგდო. ასევე მნიშვნელოვანი იყო ახალციხის მისადგომებთან მტრის განდევნის ოპერაციაში, 1853 წელს გენერალ ივანე მალხაზის ძე ანდრონიკაშვილის გმირობაც, რომელსაც თბილისში საზეიმო შეხვედრა მოუწყეს.

აშკარაა, შეიქმნა ისეთი გარემოება, რომ თუ არ ჩავთვლით პერიოდულად ლეკთა შემოსევებსა და შიდა აჯანებებს რუსეთის იმპერიის თვითმპყრობლობის წინააღმდეგ, საქართველოში სიმშვიდემ დაისადგურა, მაგრამ პერიოდულად, იმასთან დაკავშირებით, იღებდა თუ არა მონაწილეობას ქართველი კაცი რუსეთის იმპერიის ომებში სხვადასხვა სახელმწიფოებთან, აღარაფერს ვიტყვით. სხვადასხვა სოციალური ფენების წარმომადგენლებს აღარ სჭირდებოდათ ეფიქრათ თავდაცვაზე, საკუთარი ოჯახისა თუ მამულისა. რამაც ნელ-ნელა ხელი შეუწყო მათში ერთგვარ მოდუნებს. თუმცა გმირული სული თუნდაც წარსულის გახსენებისა, არაერთხელ აუძგერებდა გულს ქართველებს. ასე რომ, ტრადიციულად შემოგვრჩა ხსოვნა გმირ ქართველებზე, რაც შესანიშნავად აისახა რომანტიკოსი პოეტების, ალ.ჭავჭავაძის, გრ. ორბელიანის და ნ. ბარათაშვილის შემიქმედებაში.

აღწერდა რა თავის თანამედროვე ეპოქას, ალექსანდრე ჭავჭავაძე, რუსეთის იმპერატორისადმი გაგზავნილ ,,საქართველოს მოკლე ისტორიულ ნარკვევში“, აღნიშნავდა რომ: ,,მორიგე ლაშქრის ყოლა საქართველოს მოსახლეობისთვის მძიმე აღმოჩნდა. იგი მხოლოდ მცირე ხნით თუ დასჭირდებოდა ხოლმე რუსეთს სპარსეთისა თუ ოსმალეთის საზღვარზე რომელიმე ერთი ბრძოლისთვის.“(ალ.ჭავჭავაძე, 1986 : 216) ამავე ნარკვევში, იხსენებს რა საქართველოს წარსულს, ალ. ჭავჭავაძე, აღნიშნავს: ,,ახლანდელი საქართველოს მნახველი ძნელად თუ დაიჯერებს, რომ ეს ქვეყანა ერთ დროს ჰყვაოდა. მისი გარდასული დიდების მოწმედ უტყვი ნანგრევებიღა დარჩენილა და მხოლოდ ბიზანტიელ ისტორიკოსთა ცნობებიღა მოწმობენ ქართველი ხალხის

ყოფილ სიძლიერეს. . . მაგრამ სხვა სახელმწიფოთა მსგავსად საქართველოსაც ჰქონდა დიდება, ჰყავდა გმირები, მგოსნები და მწერლები.“ (ალ.ჭავჭავაძე, 1986: 206).

ალექსანდრე ჭავჭავაძის მსგავსად შესტრფის ქართველთა გმირობა-ვაჟკაცობას გრიგოლ ორბელიანი თავის პოემაში ,,სადღეგრძელო“, სადაც იგი სიამაყით მოიხსენიებს გმირ ქართველთ: ვახტანგ გორგასალს, რომლის შეხედვითაც სპარსელნი თრთოდნენ, დავით აღმაშენებელს, რომელმაც ,,განაგდო“ მტერი და საქართველოს საზღვრად დაუდო შირვან-დერბენდი. თამარის დროშის ქვეშ შეკრებილი მეომრების აღწერისას კი უფრო შორს მიდის პოეტი, ახსენებს რა მათ გმირობას. ისინი, როგორც წმინდა მსხვერპლნი, მამულს შეეწირნენ. პოემაში საუბარია ასპინძის ომის გმირებსა და ყვარლის გამოხსნაზე, ამიტომ ავტორს ნაწარმოებში რეფრენად მოყავს შემდეგი სტროფი:

,, გმირნო, მამულის მადიდნო, თქვენა ხართ ჩვენი დიდება!
თქვენთა სახელთა ამაყად წარმოსთქვამს შთამომავლობა!
თქვენთა სახელთა მოთხრობით მოხუცს ცრემლ-მოედინება,
მხნეობით აღტაცებული ჭაბუკი ხმალსა მიჰსწვდება!

(ახალი ქართული ლიტერატურა, ნაწ 1, 1978:58)

მოგვიანებით ნიკოლოზ ბარათაშვილი პოემაში ,,ბედი ქართლისა“ უმღერის კრწანისის გმირებს:

,,შეექმნათ მწარე ძლიერი ომი;
ვითა ნადირსა ძლიერი ლომი,
ეკვეთნენ სპარსთა ივერთ მხედარნი,
და მტკვარსა შერთეს სისხლისა ღვარნი!
ორნივ იბრძვიან გამწარებულნი,
ორნივ ომებში გაქეზებულნი,
თამაზ ენისენთმოურავის ძე,
და იოანე კახთ აბაშის ძე,
განუმტკიცებენ მკლავთა ქართველთა:
მეფის ირაკლის ღვაწლი ყოველთა
შთაუდგამს სულსა ვაჟკაცობისას,

მაინც ვერ ხედვენ ბოლოს ბრძოლისას.“

(ახალი ქართული ლიტერატურა, ნაწილი 1, 1979 : 87.)

ეს ყველაფერი დარჩა წარსულში და წარსულის ასახვად ქართულ ლიტერატურაში, მაგრამ ამაზე არ ჩერდება გრიგოლ ორბელიანი. როდესაც იგი მიემგზავრება პეტერბურგს, თავის დღიურებში, ,,მგზავრობა ჩემი თბილისიდამ პეტერბურღამდის“ (1831-1836), გენერალ აფხაზთან საუბრისას, იგი ოცნებობს საქართველოს გათავისუფლებაზე, მთავარ ამოცანად კი სახავს ქართული რეგულარული ჯარის შექმნას: ,,რეღულის გაწყობა ადვილად მოხდება საქართველოში, ამიტომ, რომ იქნებიან რა დამცველნი თავისისა საზღვრისანი, თვალითა დაინახავენ რეღულის სარგებლობასა; თვით მეფე ერეკლემაც იცოდა უმჯობესობა რეღულისა და გააჩინა მორიგის ჯარი, და მაშინ, არცა ერთი ტყვე არ დაკარგულა-ამას ადვილად მოახდენენ მაშინ იგინი, ვინცა დარჩებიან ერის მმართველად...“(გრ. ორბელიანი, 1989 : 236).

ასე წარმოჩინდება ქართულ ლიტერატურაში წარსულში ქართველთა გმირობა-ვაჟკაცობის მხატვრული ჩვენება, მაგრამ ეპოქაში, რომელიც ცვლის თავის წინამორბედს, უმნიშვნელოვანესია ის ამოცანები, რომელთაც შემდგომში წამოჭრის ი. ჭავჭავაძე. საყურადღებოა, როგორ ასახავს მწერალი ამ საკითხს თავის შემოქმედებაში.

§2. გმირობა- ვაჟკაცობა წარსულსა და აწმყოში ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში.

საქართველოს რუსეთის იმპერიაში შესვლის შემდეგ, მეტ-ნაკლებად იკლო დარბევა-აწიოკების საშიშროებამ, დასრულდა ქვეყნის ისტორიული მტრების მუდმივი თავდასხმები. რაც შეეხება ყმა-გლეხთა და დაბალი სოციალური ფენების წარმომადგენელთა მდგომარეობას, ისინიც მეტი გამბედაობით და ნაკლები შიშით აგრძელებდნენ ცხოვრება-საქმიანობას. შედარებით გამოსწორდა დემოგრაფიული მონაცემებიც, რომლებმაც XVIII საუკუნის ბოლოს საგანგაშო ზღვარს მიაღწია. მეფის რუსეთის ქვეშევრდომობამ მოგვიტანა ისიც, რომ ქვეყანაში გახშირდა შეთქმულებები და აჯანყებები. ამ აჯანყებებს კი, ერთის მხრივ, თუ მეფის რუსეთის ნაციონალურ-კოლონიური პოლიტიკა იწვევდა, მეორეს მხრივ, იგი გამწვავებული იყო ადგილობრივი კლასობრივი ურთიერთობით ბატონსა და ყმას შორის. მთელი რიგ დამარცხებულ

შეთქმულებათა და აჯანყებათა შემდეგ, ისედაც გაღარიბებული ქართველი გლეხობა კიდევ უფრო დასუსტდა.“(მიხ.ზანდუკელი, ტ. II , 1962: 6-8).

XIX საუკუნის 60-იანი წლები, ჩვენი ლიტერატურისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ახალი ხანის დასაწყისია. ცხოვრებას მოწყურებული ჩვენი ახალგაზრდობა ძიების სურვილის დასაკმაყოფილებლად და თვალსაწიერის გასაფართოვებლად რუსეთისაკენ მიიწევდა. იქ იზრდებოდნენ და დამოუკიდებელ მოაზროვნეებად იწვრთნებოდნენ ეგრეთწოდებული თერგდალეულნი. (მიხ. ზანდუკელი, ტ.II,1962:198-199).

ახალი თაობა ხედავდა ცვლილებების საჭიროებას, ხვდებოდა, რომ კოლონისტი ქვეყნის პოლიტიკა დამღუპველი იყო დაუცველი, უბრალო, ხალხისათვის, რომელიც საქართველოს მოსახლეობის უდიდეს ფენას წარმოადგენდა. თერგდალეულები ხედავდნენ განათლების აუცილებლობის, ეროვნული სულის გამოღვიძების, ენის განახლების საჭიროებას. ეს გახლდათ ქვეყნის, ერის გადარჩენის წინაპრობა. ილია ჭავჭავაძე თერგდალეულთა მსოფლმხედველობის გამომხატველი და გამზიარებელი იყო.

ი. მანსვეტაშვილის მოგონებების თანახმად, ილიას აზრით, ,,დაგვრჩა ის, ვინც საქართველო პირველი ქვაკუთხედი იყო, ის, ვინც ისტორიულ ქარტეხილს, წვას, დაგვას გაუძლო და ქვეყანა გააშენა. ეს ის მკვიდრი მუხაა, რომელიც ქარტეხილს უძლებს და არ ეცემა. ეს არის ჩვენი გლეხობა.“ (ი. მანსვეტაშვილი, 1936:81) სწორედ გლეხობაში ხედავს ილია ერის გადარჩენის გზებს. რაც უფრო ვრცლად გამოიკვეთა მის პუბლიცისტურ წერილებში ,, ერი და ისტორია“.

ჯერ კიდევ ბავშვობაში ეცნობოდა ი.ჭავჭავაძე საქართველოს ისტორიასა და კულტურას, ეროვნულ და პიროვნულ ღირებულებებს, როგორც სახლში, ასევე მთავარდიაკვანთან, რომელმაც შეასწავლა მომავალ მწერალს წერა-კითხვა. თბილისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ი. ჭავჭავაძე რუსეთში მიემგზავრება. (ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 4, 1974 : 36-37). რაც შეეხება ჩვენთვის საინტერესო თემას, ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში ის გაშლილია როგორც პოეზიაში, ასევე პროზაშიც.

გმირ ვაჟკაცის იდეალი სხვადასხვა ნაწარმოებში მწერალს კარგად აქვს გადმოცემული სხვადასხვა მხატვრული ხერხით. პეტერბურგში სწავლის პერიოდში

შექმნილ ლექსში ,,გუთნის დედა“, ილია ხატოვნად ამბობს, რომ იარაღი, რომელიც სიმართლისთვის სიმართლისთვის ბრძოლაში უძლურია, გამოუსადეგარია:

,,რად მინდა ხმალი, თუნდ იყოს მჭრელი,
თუ სიმართლისთვის დამიჩლუნგდება? “ (დაიწერა1858 წ.)

(ი.ჭავჭავაძე,ტ.I,1985:30)

ი. ჭავჭავაძე თვლიდა, რომ დედა, რომელიც შვილს ზრდის, უდიდეს მისიას იტვირთავს, რადგან მას მიუძღვის წვლილი თავისი შვილის პიროვნებად ჩამოყალიბებაში, ვაჟკაცად, გმირად გაზრდაში:

,,ქართვლის დედაო! ძუძუ ქართვლისა
უწინ მამულსა უზრდიდა შვილსა;
დედის ნანასთან ქვითინი მთისა;
მას უმზადებდა მომავალ გმირსა...
.....
ისე აღზარდე შენ შვილის სული,
რომ წინ წარუძღვეს ჭეშმარიტება
უკან ჰრჩეს კვალი განათლებული.“

(ი. ჭავჭავაძე,ტ. I, 1985:44)

აშკარაა, ძმობის, ერთობის, თავისუფლებისათვის ბრძოლის ტრადიციებზე აღზრდილი ქართველი დედა სწორედ ვაჟკაცობისაკენ უნდა მოუწოდებდეს „ახალი ტიპის ქართველს“. თუმცა აქაც, წარსულის ფონზე, აჩვენებს ილია დედის თავგანწირვასაც მშობლიური ქვეყნის დასაცავად წასულ შვილზე, რაც შესანიშნავად გამოხატა პოემაში „დედა და შვილი“. „მომაკვდავი ქართველი ქალი ერთადერთ შვილს, უკანასკნელ ნუგეშს, ბრძოლის ველზე გზავნის იმ შეგნებით, რომ სამშობლოს წინაშე მოვალეობა ყველა გრძნობაზე მაღალია, რომ „მამული!.. ის დედაზე უმაღლესია“. (ა. მახარაძე, 1957:32).

იგივე აზრი მოჩანს ლექსში „ნანა“:

„მას დედის ძუძუ ტკბილი
შხამადაც შერგებია,

მამულისთვის სიკვდილი

ვისაც დაზარებია!“

(ი. ჭავჭავაძე,ტI, 1985:58.)

პოემაში - ,, მეფე დიმიტრი თავდადებული“ მწერალს სურდა შეექმნა ქართველი გმირის სახე, რომელიც სავსეა ვაჟკაცობით, ღირსებით, სიმამაცით, ღვთის, საკუთარი ერის და სამშობლოს სიყვარულით. სწორედ ამ თვისებათა ერთობლიობა და კიდევ მრავალი სიკეთეთაგანი აქცევს მას გმირად და თავდადებულად. ისტორიული პოემა ,,მეფე დიმიტრი თავდადებული“ დაიწერა 1877-1878 წლებში (ამ დროისათვის ილია უკვე 40 წლისა იყო). ახლადშექმნილი ნაწარმოები დიდი გამოხმაურების საგნად იქცა მკითხველთა საზოგადოებაში. როგორც მკვლევარი ლადო მინაშვილი აღნიშნავდა, გამოითქვა მოსაზრება, რომ პოემა საინტერესოა შემოქმედებითი ისტორიის თვალსაზრისითაც: ,,კრიტიკოსთა ერთი ნაწილი მეფე დიმიტრის არ მიიჩნევდა გმირად. მის საქციელს გაუმართლებლად თვლიდა და, აქედან გამომდინარე, ილიას არჩევანს მის მიერ დიმიტრი მეფის მთავარ პერსონაჟად დასახვას აფასებდა, როგორც ილიას შემოქმედებით მარცხს.”(ლ. მინაშვილი, 1995:286)

ალექსანდრე სარაჯიშვილმა გამოთქვა თავისი აზრი, რომ მეფე დიმიტრი გმირი კი არა, მამულის მსხვერპლია და უფრო სასულიერო შინაარსს ატარებსო და არა ჰგავსო ერისკაცის გმირობას. ამ აზრს ავითარებს სილოვან ხუნდაძეც. ლადო მინაშვილს მოყავს კიტა აბაშიძის აზრი იმის შესახებ, რომ, ი. ჭავჭავაძემ იმდროინდელ ,,ზნედაცემულობას“ და ,,სალახანობას“ დაუპირისპირა წარსული და აჩვენა მეფე დიმიტრის გმირული, რაინდული მოქნედება: რომ სწორედ ,,ყოველი პირის კერძო სურვილი და ზრახვები უნდა სამშობლოს, ერისა და საზოგადოების საკურთხეველზედ იქნეს მსხვერპლად მიტანილი, როგორც ეს მოიმოქმედა მეფე დიმიტრი თავდადებულმა. ყოველივე ეს ხდიან მას რეალურ პოემად, კლასიკური მშვენიერებითა და სიდადით მოსავენ მას.“(კ. აბაშიძე, 1970:272)

როგორც ლ. მინაშვილი ასკვნის: ,,ეს აზრი ილია ჭავჭავაძის პოემის შესახებ ვითარდებოდა და სხვადასხვა ფორმით და არგუმენტაციით შემდეგ არაერთმა მკვლევარმა გაიმეორა. დღესდღეობით იგი შეიძლება გავრცელებულ და

დამკვიდრებულ აზრადაც მივიჩნიოთ.“ (ლ. მინაშვილი, 1995:290) ჩვენც ამ აზრს ვიზიარებთ აღნიშნულ პოემასთან დაკავშირებით.

წარსულში გმირობის საკითხი მხატვრულად წარმოჩინა ილია ჭავჭავაძემ მოთხრობაში ,,ნიკოლოოზ გოსტაშაბიშვილი“: ,,ესაა ამბავი მოხუცებულ, ჭარმაგ, ღირსეულ მეომარზე, გოსტაშაბიშვილზე, რომელმაც მტრის მოგერიებაც იცის და ასევე შეფასება-დაფასებაც. ნიკოლოოზმა სიცოცხლე აჩუქა ვაჟკაც ყიზილბაშს, რომელმაც ასევე დაუფასა ეს მიტევება. აქ მოჩანს ქართველის გენში ჩადებული მიმტევებლობის განცდა, რომელიც უნდა ტრადიციად გაგრძელდეს მომავალ თაობაში.“(თ. გოგოლაძე, 2012:21)

როგორც კრიტიკოსი კიტა აბაშიძე აღნიშნავს: (ილიას შეხედულებებზე პატრიოტობის შესახებ,) ,,მას ,,პატრიოტობა სალანძღავ სიტყვად არ გაეხადა“ და სამშობლოს სიყვარული მას წმინდა და დიდებულ რამედ მიაჩნდა. ,,მამულისთვის სიკვდილი მეტად წმინდა რამ არის“!-ამბობს ჩვენი პოეტი: ,,უკვდავი არის შვილი მამულისთვის მომკვდარი“! ,,მამულს მიგცა ზეცამა,- ეუბნება მისი ,,დედა“ შვილს, - და თუ ზედ დააკვდები, ნუგეშ იცეს დედამა, რომ კაცი კაცად ჰკვდები“. ამ სიყვარულის გავრცელებას ცდილობს იგი, ხალხს დავიწყებული იდეალები გაახსენა, ისტორიული მაგალითები გმირობისა და რაინდული თავგანწირულობისა თვალწინ დაუყენა.” (,,დედა-შვილი“, ,, მეფე დიმიტრი თავდადებული“). (კ.აბაშიძე, 1962:136)

თავად ლუარსაბ თათქარიძისთვის რომ გეკითხათ, რა არის ვაჟკაცობა, დაახლოებით ასეთ პასუხს მოისმენდით: ,,კაი ცხენი, კაი თოფი, მარჯვე მკლავი და კაცი ხარ პატიოსანიო“. (ი.ჭავჭავაძე, ტ.II, 1985:117) ლუარსაბი მებატონე იყო და თანაც ისეთი, რომელიც, მხოლოდ ხორციელ კეთილდღეობას აფასებდა წუთისოფელში. ეს კი მას ავტომატურად აქცევდა ანტიგმირად. სწორედ ანტიგმირის და არა ,,მაგალითის“ წარმოჩენა სურდა ი.ჭავჭავაძეს, როდესაც ამ პერსონაჟს ასხამდა ხორცს. მწერალი ,,სარკეში“ გვახედებს, რომ დაგვანახოს ჩვენივე მანკიერებები, რათა აღმოვფხვრათ ისინი. ლუარსაბი ფეოდალური დრომოჭმული წყობის სახეა. ნუთუ ამ დროს არ ჰყავს გმირი - ვაჟკაცი? ოთარაანთ ქვრივის ვაჟი - გიორგი ნამდვილად ვაჟკაცური თვისებების მატარებელია, თუმცა გმირს მაინც ვერ ვუწოდებთ, რადგან გმირობა კიდევ უფრო მაღალი საფეხურია. მისი მამისგან ნაანდერძალი თოფ-დამბაჩა და ხმალი თავის

მორთულობებით ისევ კედელზე კიდია... ხოლო გიორგი უბრალო და არა გმირული სიკვდილით იღუპება.

სოციალურ თემაზე შექმნილ პოემაში ,,რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდამ“ ნაჩვენებია, თუ როგორ აიძულებს ბატონყმური ურთიერთობა ზაქროს, შურისძიების მიზნით, იარაღი აიღოს ხელში და შეუერთდეს კუდიგორის ტყეში ცნობილ ყაჩაღს-კაკოს. ,,როგორც მკვლევარი პ. ინგოროყვა აღნიშნავს, 1857 წელს, ალაზნის, ,,კარდენახის ტყეში“, ილია ჭავჭავაძე შემთხვევით შეხვედრია ვინმე გლეხ გაუხარაშვილს, რაზეც მოგვითხრობს კოხტა აფხაზის მოგონება, თუმცა, მკვლევარ აპოლონ მახარაძის აზრით, ეს ყაჩაღი უნდა ენახოს ილიას 1859 წლის ზაფხულში, არდადეგების დროს“. (ლ მინაშვილი, 1995:259.)

მაშ ვინ არის გმირი? ბატონყმობის უსამართლობის გამო ტყეში ყაჩაღად გახიზნული კაკო და ზაქარია თუ გაბრიელი?

ისინიც არ არიან გმირები, ისინი ბედის უკუღმართობის გამო ყაჩაღად ქცეულან. მიუხედავად იმისა, რომ უსამართლობას ებრძვიან, ეს მაინც არ აქცევს მათ გმირებად, რადგან მათ წინააღმდეგობის გაწევის სურვილი მხოლოდ მაშინ გაუჩნდათ, როდესაც უშუალოდ შეეხოთ სოციალური უსამართლობა.

რაც შეეხება მოხევე ლელთ-ღუნიას აზრს, ,,მგზავრის წერილებიდან“, იგი ფიქრობს, რომ ვაჟკაცი მარტო ძლიერი არ უნდა იყვეს. გმირ ვაჟკაცის თვისებებში ასევე მოხერხებულობა და მოძმეთგამტანობაც უნდა შედიოდეს. ვაჟკაცს ლუკმის შოვნა არ გაუჭირდებოდა ადრე. თავისი გარჯის შედეგს ყოველთვის უხვად იმკიდა. ილია ჭავჭავაძე მოხევეს ბოლომდე მაინც არ ეთანხმება. მწერალი კვლავ ცდილობს გმირის იდეალის სრულყოფილად წარმოჩენას. ეს მცდელობა კი აისახა მის ცნობილ ლექსში ,,ბაზალეთის ტბა“. მწერალი ნაწარმოებში თავისუფლებად წარმოაჩენს სიმბოლურად იმ ყრმას, რომელიც ოქროს აკვანშია, ეს აკვანი კი ბაზალეთის ტბის ძირას წალკოტში დგას. ი. ჭავჭავაძე თვლის, რომ შეიძლება სწორედ აქ უნდა გამოჩნდეს ის გმირი, რომელსაც ქართველი ,,ჩუმის ნატვრით ნატრულობს“ და ამ გმირის ვინაობა იმდენად საკრალურია, რომ მისი სახელის წარმოთქმა ხმამაღლა არ შეიძლება.

შესაძლებელია ეს გმირი მხოლოდ და მხოლოდ იდეალია, რომელიც ირეალურია, ან ვინ იცის, იქნებ ვინმე რეალურ პიროვნებასაც გულისხმობს მწერალი ქართველთა მითიური მხსნელის როლში და უფრთხილდება კიდეც მას სახელის დაფარვით.

პეტერბურგში ყოფნის პერიოდში, ილია ჭავჭავაძე იწყებს მუშაობას პოემაზე ,,აჩრდილი", რომლის საბოლოო ვარიანტი 1871 წელს დასრულდა.

პოემის ისტორიულ ნაწილში პოეტი, ყურადღებას ამახვილებს რა თავისი ქვეყნის გმირულ წარსულზე, გამოკვეთილად აღნიშნავს იმ დროს, როდესაც ქართველი არ ჩააგებდა ხმალს ქარაშში:

,,მას აქეთია ოთხ-კუთხივ მტერნი
შენს თავსა შენვე გეცილებოდნენ,
მაგრამ ვაჟკავნი შვილები შენნი
გულდაგულ მტერსა წინ უდგებოდნენ.
იყო დრო, როს შენს ძახილხედ, ხმაზედ
მამულის დროშა გაიშლებოდა
და ჭაბუკთ რაზმი შენს მოწვევაზედ
მტრის დასახვედრად მოგროვდებოდა.
იყო დრო, როცა შენი გულისთვის
თვითონ სიკვდილსაც ლხინად ჰხადოდნენ
და თავდადებას მამულისათვის
ერთმანეთს ომში ეცილებოდნენ.
ეხლა რაღაა!... გაჰქრნენ ის დღენი,
გაჰქრა იგიცა ძალ-გულოვნება,
და საკვირველნი მამათ საქმენი
ეხლანდელ შენს შვილს არც აგონდება."

(ი. ჭავჭავაძე, ტI, 1985:158)

ასეთი გმირი მხოლოდ ოცნებაში თუ წარმოუდგენია პოეტს. რეალობაში კი ,,ლუარსაბები" თუღა დარჩენილან, რომელთათვისაც ,,ადამიანი" არის საზოგადო მსაზღვრელი, ხოლო თოფ-იარაღი - მხოლოდ აქსესუარი.

,,აჩრდილის“ VIII და IX თავებში ი. ჭავჭავაძე გამოთქვამს სინანულს აწმყოში ქართველთა მდგომარეობის გამო, რომელთაც დაავიწყდათ, რომ: ,,ცას ღვთად მოუცია მარტო მამული“ და, რომ ,,არაფერია სიცოცხლე, თუ მას მამულს არ შესწირავ“. ასეთი ვაჟკაცის სახელი ხალხში აღარ დაიკარგება:

,,მას განაცოცხლებს სიმღერა,ხალხთა,
შორს საუკუნეთ ეტყვის მის სახელს,
და არა ერთხელ ჭაბუკთა ყმათა,
ხმლის ტარზედ ძლიერს აუთრთოლებს ხელს.“

(ი.ჭავჭავაძე, ტ. I,1985:148)

ეს გადავა თაობიდან-თაობაში დედის მეშვეობით, რაკი მომავალი გმირის დაბადების საწინდარია.

,,და უფრო ხშირად იმღერს ქალწული,
გმირს მოიგონებს და გამხნევდება,
ყოველი იმღერს და სხვა მორჭმული
გმირი იმ მღერით დაიბადება.“

(ი.ჭავჭავაძე, ტ. I,1985:148)

მაგრამ მწერლის წუხილის მიზეზი ის არის, რომ მის დროში გმირის ძიება უშედეგოა:

,,იგი აღარ გყავთ... მის მოედანი
ჯაგით ავსილა, ვერანად ქმნილა,
გმირის დამბადი დიდი საგანი
თქვენში სპობილა და წარწყმედილა“

(ი.ჭავჭავაძე, ტ. I, 1985:148-149)

ამ სტრიქონებით ილია ჭავჭავაძე ერთგვარად ეხმაურება გრიგოლ ორბელიანს, რომელიც ლექსში „იარალის“ იხსენებს წარსულის გმირებს და ასევე ოცნებობს იმ ვაჟკაცებზე, რომელთაც შეუძლიათ მძინარე ერის გამოღვიძება და ერთი დაკვრით ,,ვეშაპის“ (იგულისხმება რუსეთის იმპერიის თვითმპყრობლობა) ძირს დანარცხება.

ქართველი კაცი, თავისუფლებადაკარგული ქვეყნის შვილი, უნდა ცდილობდეს მოიპოვოს თავისუფლება ერისათვის, ამიტომ ოცნებობს ილია ახალ გმირზე პოემაში „აჩრდილი“. და, თუმცა ეს თითქოს ოცნებაა, ლექსში „მესმის, მესმის“ პირდაპირ

საბრძოლოო მოწოდებაა. ამ კუთხით ილიას შემოქმედებაში გმირობა-ვაჟკაცობა წარსულში მამაკაცისათვის ასე სანატრელი, დღესაც მისაბაძია და საჭირო. ამით ილია ჭავჭავაძე კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ქართველი კაცის მაღალ ზნეობრიობას მამულიშვილურ საქმეში.

თავი II. გმირობა-ვაჟკაცობა აკაკი წერეთლის შემოქმედებაში

,,არა! ტყუილად არ მიყვარს მე ჩვენი წარსული... მიყვარს ისე, როგორც დედას კარგი შვილი და მიტომაც გულგაუმაძღარს, მსურს, რომ ის გადატანილი ვნახო მომავალში დრო და ვითარების შეხამებით კიდევ უფრო ძლიერად და ბედნიერად“ -წერდა აკაკი წერეთელი (აპოლონ მახარაძე, ტ. I, 1957:302) თავის დამოკიდებულებაზე წარსულთან. და, მართლაც მეორე ქართველი სამოციანელის, აკაკი წერეთლის (1840-1915) ცხოვრება-შემოქმედება ერთი ვრცელი, სამშობლოს ბედით გულატკივებული მოღვაწის, ისტორიაა. როგორც მწერალი ვასილ ბარნოვი აღნიშნავდა: ,,საქართველოს ესრეთ დიდებულ შვილთა შორის, ვის პიროვნებაში შეგნებულად განვითარებულა სამშობლოსადმი მძლავრი სიყვარული, უპირველესი ალაგი ეჭირა აკაკის. მის პიროვნებაში სავსებით საცნაურქმნილი იყო იგი იდეია და შექმნილიყო აზრად მისის არსებობისა: აკაკი იყო თვით განხორციელება მამულისადმი სიყვარულისა. ამ დიდებულმა აზრმა მთლად აავსო მგოსნის არსება და სავსებისაგან თვისისა მოეფინა იგი მწყობრ ხმებად სამშობლოს არეს კიდით კიდემდის, როგორც რომ სუნნელოვანი ფშვენა თვალწარმტაც ყვავილთა. ამ მძლავრმა გრძნობამ, ვნებამდის აღტყინებულმა, მთლად დაჰფარა მგოსნის საპირადო მისწრაფებანი, შეიშრო იგინი და გარდაქმნა კაცის მხოლოდ საყვირად თვისად თუ ტკბილხმოვან სალამურად.“ (აკაკის სამრეკლო, 1990:22) ა. წერეთლისთვისაც საქართველო ისტორიული წარსული იყო, მარად უშრეტი წყარო შემოქმედებისთვის. როგორც მკვლევარი კოტეტიშვილი აღნიშნავს, ,, აკაკის პოეზია ორ მთავარ მიმდინარეობად იქცა: 1. პატრიოტიკა, 2. მშრომელი ხალხი.“ (ვ.კოტეტიშვილი,1965:378)

აკაკისთვის მნიშვნელოვანი იყო საქართველოს ისტორიული წარსული, რომელიც კარგად წარმოჩინდა ნაწყვრტში პოემიდან ,,თორნიკე ერისთავი“ :

,,წარსულ ნერგზედ ახალ ნამყნის
ველოდებით შეხორცებას,
მით ვიქარვებთ აწმყო ნაღველს
და ვეძლევით აღტაცებას.“

(ა.წერეთელი, თხზულებანი, 1980:293)

ამიტომ წარსულში გმირობა-ვაჟკაცობაც პოეტისათვის სამაგალითოა მისივე თანამედროვე თაობისათვის . და, თუმცა კიტა აბაშიძე, ვ. კოტეტიშვილის თქმით, აკაკის ისტორიულ პოემებს რომანტიკულ ნაწარმოებებად მიიჩნევდა და პერსონაჟები იდეალიზირებულად წარმოედგინა, ვ. კოტეტიშვილის აზრით, ეს საჭირო იყო მხატვრულობისათვის. ,,მან მხოლოდ თვალსაჩინო ისტორიული გმირები აიღო თემად და დიდი ადამიანების პორტრეტები ზოგს გადაჭარბებულ იდეალიზაციად ეჩვენა. ეს მართალი არ არის. ჩვენმა ისტორიამ მრავალი მაგალითი მოგვცა ასეთი მოქმედებისა და აკაკი წერეთელმაც ამ ისტორიული ცხოვრების ნიადაგზე, ეროვნულ ფორმას იდეალიზაცია მოუხდინა და ფარულად მოგვცა მისაბაძი თვისებების მთელი ფსიქოლოგიური შინაარსიანობა. ეს იმ დროისთვის საჭიროც იყო.“ (ვ. კოტეტიშვილი, 1969:398). ჩვენც ვეთანხმებით მკვლევარის ამ თვალსაზრისს .

ჯერ კიდევ 1870-იან წლებში შექმნილ ლექსში ,,გოგია მეჩონგურე“ (ლეგენდიდან ,,გოგია მეჩონგურე“), სიმღერაში გამოკვეთილია ქართველი ქალის პატრიოტული განწყობილება ომში წასული გმირისადმი, რომელმაც ან უნდა გაიმარჯვოს, ან უნდა მოკვდეს ბრძოლის ველზე:

,, და თუ მოკვდეს ბრძოლის ველზედ,
გაემსჭვალოს ისრით გული,
მაშინ ჩიტად გარდამქმენი!
მსურს შევიქმნე მე ბულბული,“

(ა. წერეთელი, ტ. I, 1950,327.)

ასე ახასიათებს ქართველს აკაკი ლექსში ,,სხვადასხვა ერი“:

,,მოყვრისთვის თავის გაწირვა
და მეგობრული ვალიო!
მტრისათვის მოსაგებელად
ბასრი შიშველი ხმალიო!..

(ა.წერეთელი, ტ. IV, 1950:370)

ასე რომ, იგი გამოყოფს სწორედ ქართველთათვის დამახასიათებელი გმირობა-ვჟკაცობას.

დიახ, ქართველი ქალია ღირსეული დედაა, რომელიც, ,,წარსულში მამულს უზრდიდა შვილს“ და დიალოგში, ქართველ დედას და შიკრიკს შორის, დედა დასტირის არა ომში დაღუპულ ორ გმირ ვაჟკაცს, არამედ, მესამეს, რომელმაც ბრძოლისას სიმხდალე გამოიჩინა:

,, არა ვსტირი იმ ორ შვილსა,
ომში მოკლულს გმირულადო,
ვიგლოვ ცოცხლად დაჩენილსა,
უსახელოდ... ვირულადო!“

(ა. წერეთელი, ტ. II, 1950:29)

ამდენად აკაკიმ წინ წამოსწია იმ ქართველი ქალის ღირსება, რომლისთვისაც ომში სახელიანად დაღუპული შვილი საამაყოა. ლექსში ,,ზარი“ სწორედ ამ აზრს აგრძელებს პოეტი:

,,არ სჯობს, რომ კაცმა გმირულად
ბრძოლაში სული დალიოს,
ვიდრე სხვის ნება-ბრძანებით
მან საწამლავი დალიოს?

(ა. წერეთელი, ტ.II, 1950:78)

ამით იგი ერთგვარად ეხმაურება შოთა რუსთაველის ცნობილ აფორიზმს: ,,სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი“, რითიც სრულდება კიდეც ლექსი. აკაკი წერეთლის თვალთახედვით, კურთხეულია ის ადამიანი, რომლის ხელიც მხოლოდ სიკეთეს ემსახურება. მწერალი ლექსში ,,კურთხევა“ იყენებს ომონიმურ მეტაფორას: ,,გმირი და უგმირო“, ამით ის უპირისპირებს გმირობას და მტრის ხელყოფას. თუმცა მისი დროისთვის ჯერ-ჯერობით არ ჩანს გმირი რაინდი, ამიტომ სინანულით აღმოხდება პოეტს:

,,კურთხეულ იყოს!.. მაგრამ, ეჰ!..
სადა ხარ ჩვენში ჯერ, გმირო,
რომ ჰკურნო წყლული ხალხისა
და მტერს ძლიერად უგმირო?“

(ა. წერეთელი, ტ. II, 1950:91)

აკაკის ცნობილი ლექსი ,,ხანჯალს“ (1905) რევოლუციის პერიოდში მეტად პოპულარული გახდა და საბრძოლო მოწოდებადაც იქცა. ასეთ შემთხვევაში ძველებური ხვარასნის რკინისაგან დამზადებული ხანჯალი არამცთუ წარსულში, არამედ აწმყოშიც ერთადერთი იმედია მისი სოციალური მტრისაგან გამოხსნისა. ამიტომაც მოუწოდებს პოეტი ხანჯალს :

,,გლესავ და გლესავ, მახვილო,
ფოლადო, ჩემო რკინაო!
დროა, ამოდი ქარქაშით,
აღარ გაქვს აწ მანდ ბინაო.“

(ა. წერეთელი, ტ. II, 1950:100)

აკაკი ლოცავს იმ გმირს, რომელიც გაგრძელებაა ზღაპრული ამირანის ტრადიციისა, მაგრამ გადასულია პირადულზე, რომელმაც დაჰკარგა ბრძოლის სურვილი, რადგან ,,გაუდიაცდნენ მებრძოლნი“, თვითონ კი გმირულად ,,ჩავიდა საფლავს“. ლექსს ,,მურზაყან შავ-სევდიანი“ ეწოდება (იგი დაწერილია 1886წელს) და გაცოცხლებულია სვანური ხალხური სიმღერა.

ცნობილი ქართული ხალხური სიმღერა, რომელმაც გაიჟღერა ი. ჭავჭავაძის პოემაში ,,დედა და შვილი“, ა. წერეთელთანაც ფიგურირებს ლექსში ,, სიმღერა ძველთა“, რომელშიც ავტორი აუცილებლად მიიჩნევს, რომ არ დაარღვიოს ქართველმა ანდერძი:

,,ან მოვკლავ ან შევაკვდები
ქვეყნის მტერს ვაჟკაცურადა“

(ა.წერეთელი, ტ. II,1950:171

ამიტომ აცხადებს პოეტი :

,,ქართველმა ხელი ხმალს ვიკარ,
მტერს რაღად შევუშინდები!“

(ა. წერეთელი, ტ.II, 1950:171)

მწერალი პირდაპირ მოითხოვს ახალ გმირს, რომელიც იქნება არა ნაცარქექია, არამედ უკვდავების მძებნელი :

,,ჩვენც გმირი გვინდა დღეს, ძმაო,

,,უკვდავებისა“ მძებნელი!
და არა ნაცარქექია,
ტიტინა, ქუჩის მტკეპნელი!“

(ა.წერეთელი, ტ. II,1950:297.)

ამდენად აკაკი წერეთლის პოეზიაში გმირობა-ვაჟკაცობა წარსულის სასახელოდ დღესაც საჭიროა ქვეყნის მონობიდან გამოხსნისა, თუ სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლისათვის. აკაკი გრძნობს, რომ მის დროში თუმცა არ არის, მაგრამ აუცილებლად უნდა გამოჩნდეს ასეთი ქართველი. ილიას მსგავსად, აკაკი წერეთელი ძირითად იმედს სამშობლოს მხსნელი ვაჟკაცისა ქართველ დედაზე ამყარებდა. ამ კუთხით საინტერესოა მკვლევარ პროკლე კეკელიძის ნააზრევი: ,,ქართველი ქალი, აკაკის დახასიათებით ყველა გრძნობაზე მაღლა სამშობლოს სიყვარულს აყენებდა. მისი სუნთქვა, სიცოცხლე სიხარული და გულის ძგერა მშობელი ქვეყნის კეთილდღეობასთან, ძლიერებასთან დიდებასთან და წინსვლასთან იყო განუყრელად დაკავშირებული. ქართველი დედისათვის სამშობლოსადმი თავგანწირვა ყველაზე დიდი და უკეთილშობილესი გრძნობა და მოვალეობაა. პოეტის აზრით, სწორედ ამიტომაც იყო, რომ საქართველო გადაურჩა მრავალგზის წასალეკად აბობოქრებულ მრისხანე ისტორიულ ავბედობას.“ (პ.კეკელიძე, აკაკი წერეთელი,1985:377)

ლექსში ,,ბოდვა“ აკაკი გვიხატავს მშვენიერ ქართველ ქალს, რომელსაც აღარ ჰყავს მამა, ქმარიც თათრის ომში დაღუპულა და თვითონ კი იბრძვის ბრძოლის ველზე, რასაც შემდეგ, ტყვედ ჩავარდნილი, უყვება შაჰ-აბაზს:

,,მეღა დავრჩი მეომარი,
მომეხადა უნდა ვალი,
მამაკაცის მაგიერად
მე ავიღე ხელთ ფარ-ხმალი...
ერთიერთზე ვერ მიბედავ,
გუნდად ებრძვი ყოველ ქართველს!
ხომ ქალი ვარ, მაგრამ ერთი
მეც ვერ დამრევს თათარი ხელს“

(აკაკი წერეთელი, ტ.III, 1954:48)

ასევე უარყოფს მწერალი დედის პირით მშიშარა და მოღალატე შვილს.

აკაკის მრავალფეროვან შემოქმედებაში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მისი პოემები, რომლებიც საყურადღებოა ჩვენი თემის ანალიზის თვალსაზრისითაც. 1875 წელს აკაკი წერეთელი წერს თავის პირველ პოემას ,,ბაგრატ დიდი“, რომელშიც ასახულია XIV საუკუნეში ბაგრატ დიდის დროს დატრიალებული დრამატული სიტუაცია, როცა თემურ-ლენგის ურიცხვმა ურდოებმა დაარბიეს საქართველო. აკაკის გამოჰყავს პერსონაჟად მეფე ბაგრატი, რომელიც ოცნებობს გადაუხადოს თემურ-ლენგს სამაგიერო და ქმნის ქართლის გათავისუფლების გეგმას კახეთში მყოფ თავის შვილთან, გიორგისთან, ერთად. ,,ბედრუჯის ახლო დიდ ხეობაში ,,ქართველნი გმირნი“ ეკვეთნენ მოსეულ მტერს და მათგან ,,არ დაუგდიათ აღარც მთხრობელი“. ასეთია პოემის ფინალი.

მწერლის ისტორიული კონცეფცია, რომელიც ღერძად უდევს პოემას, განსაზღვრულია ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეით. პოემის დედააზრი აკაკიმ გამოხატა სტრიქონებში:

,,ცოცხალ მონაზედ უმჯობესია
თავისუფლების ძებნაში მკვდარი.“

(აკაკიწერეთელი,ტ.V, 1956:10)

ეს იყო ისტორიულ ქარგაში ჩასმული საბრძოლო დევიზი, რომლითაც აკაკი მიმართავდა თანამედროვეებს და აღვიძებდა მათ პატრიოტულ შეგნებას. „ბაგრატ დიდის სახით აკაკი წერეთელი ხატავდა პატრიოტიზმის უზენაესი იდეით შთაგონებულ გმირს, რომელიც იბრძვის არა სამეფო გვირგვინის დაბრუნებისათვის, არამედ ერის ხსნისათვის.“(ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. IV, 1974:138) .

ჩვენი აზრით, ა. წერეთლის პოემა ,,ბაგრატ დიდი“ ასევე ეხმაურება ი.ჭავჭავაძის ,,მეფე დიმიტრი თავდადებულს“, რომელშიც გამოკვეთილად დგება გმირობა-ვაჟკაცობის აუცილებლობა არამარტო სხვადასხვა ფენის წარმომადგენელი ქართველისათვის, არამედ თვით მეფისთვისაც, რომელიც ნიმუში უნდა იყოს ერისათვის:

,, ასე იღვწოდა მამაულისათვის
თავგანწირული ის წინაპარი
და რომ მის ხსოვნას თაყვნი არ ვცეთ

მისთანა ჩვენში აბა ვინ არი?!“

(ა.წერეთელი, ტ.V,1956:24)

აკაკი წერეთელს არაერთი პოემა აქვს მიძღნილი წარსულში ქართველთა გმირობისათვის ასეთებია: ,,თორნიკე ერისთავი“(1884), ,,კიკოლას ნაამბობი“ (1889) ,,ორი ქართველი“(1892), ,,გორგასლანი“(1912), ,,რაჭა-ლეჩხუმი“ (1912), დაუმთავრებელი ბოლო პოემა ,,ომი“ (1914), წარსულში ქალის გმირობის თემას ეხება პოემა ,,ნათელა“(1897) .

როგორც მკვლევარი გიორგი ჯიბლაძე აღნიშნავს, აკაკი ყოველთვის კონკრეტული თვალსაზრისით განიხილავდა და ,, განყენების ნაცვლად ოსტატურად ატარებდა აწმყოს პრიზმაში“... აკაკი რომ წარსულში მარტოოდენ იდეალურს არ ხედავდა, მას რომ ნათლად ჰქონდა წარმოდგენილი გარდასული დროის ნეგატიური მხარეები, ფხიზლად აფასებდა ისტორიული ფაქტების ჭეშმარიტ ბუნებას, ყველაზე საუკეთესოდ გვიჩვენებს პოემა ,,კიკოლას ნაამბობი“ ფეოდალური საქართველოს შინაგანი დრამატიზმი. აქ პოეტმა უზადო ოსტატობით გადაგვიშალა და პირდაპირ ტრაგიკულად ჩაგვახედა მის გაბზარულ სარკეში“.(გ. ჯიბლაძე, ტ. I, 1958:376-377).

პოემაში, რომელიც წარმოდგენილია ას წელზე მეტი ხნის, მოხუცებული იმერელი კიკოლას ნაამბობით , აღა-მაჰმად-ხანის შემოსევს პერიოდს ასახავს. აკაკი აჩვენებს ერთი სურვილით როგორ შეპყრობილა ამერ-იმერი, რომელიც მანამდე ორად იყო გაყოფილი და ამიტომაც მშვიდობა აღარ სუფევდა არც იქით, არც-აქეთ.

აკაკი წერეთლის პოემებში ჩვენთვის საინტერესო თემის ძიებისას გამოიკვეთა შემდეგი ფაქტი: მწერალი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს როგორც ინდივიდი ქართველის გმირობა- ვაჟკაცობას, მომხვდურთან ან მოყვარესთან, ისე ფართო სამომარი მოქმედებების აღწერას, რომლებიც ძირითადად წარმოდგენილია ,,თორნიკე ერისთავსა“ და დაუმთავრებელ პოემაში ,,ომი“. სწორედ ამ კუთხით განვიხილავთ კიდეც პოემებს. აქვე უნდა აღინიშნოს ერთი ფაქტიც, რომ აკაკი წერეთელი ხშირად ლირიკულ ნაწარმოებში გაშლილ სიუჟეტს ან მის ნაწილს გამოიყენებდა ხოლმე შემდგომ ეპიკურ პროზაულ ტექსტში საკითხის განხილვის დროს. ამ თვალსაზრისით საინტერესოა აკაკი წერეთლის ლექსი ,,გორგასლანი“ და პოემა ,,გორგასლანი“, ,,ორი ქართველი“ და ,,დათუნა გოცირიძე“.

განკერძოებულად დგას გმირობა-ვაჟკაცობის საკითხი პოემაში ,,გამზრდელი“. ეს ნაწარმოები აკაკის დაუწერია 1898 წელს. მკვლევარნი და ლიტერატურათმცოდნენი თითქმის ორი საუკუნის მანძილზე ყურადღებას ამახვილებდნენ აღმზრდელის პასუხისმგებლობის საკითხზე აღნიშნულ პოემაში. ჩვენ კი შევჩერდებით მხოლოდ ერთ საკითხზე. მაღალი წარმოშობის საფარ-ბეგი და მისი ძიძიშვილი ბათუ რომ კარგი ვაჟკაცები არიან, ამაზე პოეტი რამდენიმე შტრიხით მიგვანიშნებს, მაგრამ ერთი დეტალით მსჯელობაში გაიელვებს ალმასხიტ ინალიფას სახელი:

,, ალმასხიტს ხომ კარგად იცნობ?
თავმომწონე ინალიფას?
მის ცხენსა და მის იარაღს
ვერვინ დასდებს ღირსეულ ფასს.“

(ა. წერეთელი, ტ.V, 1956:237-238)

,, ვაჟკაცია თვალ-ტანადი
ცხენოსანი უებარი!..“
,,შორს გაისმის მისი ქება
.....
ბიჭობით და სილამაზით
ქალებიც კი გადარია.“

(ა.წერეთელი, ტ.V, 1956:238)

ინალიფა არა მარტო საფარ-ბეგისათვის, არამედ ზია-ხანუმზე შეყვარებული ყველა მამაკაცისათვის საშიში მეტოქეა და, რამდენადაც ზია-ხანუმს სურს მისი ყურადღების მიპყრობა (რასაც ვერაფრით ვერ აღწევს), ,,გასათხოვარი ქალის ტრადიციისამებრ“ გადაწყვეტს პირობა დაუდოს მისი გულის დასაპყრობად მოსულთ: ინალიფას ცხენი მიართვან საჩუქრად მას, რაც გულისხმობს იმასაც, რომ მათ ცხენი უნდა მოიპარონ, ან თავი გაწირონ :

,,ინალიფა მის ბედაურს
არ დაუთმობს ნებით გამჩენს
და თუ, ვინმე ძალას იხმარს,
შეაკვდება არ შეარჩენს!“

(ა.წერეთელი, ტ.V ,1956:239)

აშკარახდება, რომინალიფასვაჟკაცობისსიმბოლიკამისცხენთანარისდაკავშირებული, რაცუნებლიედგვახსენებსპირველთავშიუკვემოყვანილფრაზასილიაჭავჭავაძისმოთხრობიდან ,,კაციაადამიანი?!“: ,,კაიცხენი, კაითოფი, მარჯვემკლავიდაკაციხარპატიოსანიო“ (ი.ჭავჭავაძე, ტ.II, 1985:117) როგორცვთქვით, ცხენიინალიფასთვისსიმბოლოავაჟკაცობისა, მაგრამსაფარ-ბეგი, რომელსაცსურსზია-ხანუმისგულისდაპყრობა, კადრულობსუღირსსაქციელს: რადგანინალიფასთანშეტაკებამისიმარცხით შეიძლებადამთავრდეს, ამიტომარჩევსცხენისმოპარვას. დახმარებისათვისკიძიძიშვილბათუსმიმართავს. როგორცვიცით, კარგიცხენისმოპარვასამეგრელოშიძველადარითვლებოდაუღირსსაქციელად.აფხაზეთშიცარუნდაყოფილიყოიგისამარცხვინოსაქმე, რადგანდიდმოხერხებასთანიყოდაკავშირებული. ესწარმოჩინდაანტონფურცელაძისისტორიულრომანში ,,მაციხვიტია“. მაგრამდგებაკითხვა: ვინუნდამოიპაროსცხენი? ზია-ხანუმზეშეყვარებულმასაფარ-ბეგმა, თუდაბალიწარმოშობისბათუმ?-ამამეპიზოდშისაფარ-ბეგისამჯერიჩენსსიმხდალეს:პირველად, მაშინ,როდესაციგიინალიფასთანპირდაპირშებმასარიდებსთავსდაცხენისმოპარვასირჩევს, მეორედმაშინ, როდესაცდახმარებისსათხოვნელადძიძიშვილსმიმართავს, რადგანმარტოარსურსწასვლადამესამედმაშინ, როდესაცუყოყმანოდთანხმდებაბათუსწინადადებას, რომელიცურჩევსშინდარჩენას. ბათუს, როგორცძიძიშვილს,ჰქონდავალდებულებაყველაფერიგაეკეთებინამასზესოციალურადმაღლამდგომი ძუძუმტისათვის.

პოემაში არ ჩანს, რის ფსად მოუყვანა ბათუმ ცხენი საფარ-ბეგს. ამდენად საფარ-ბეგის, როგორც ვაჟკაცის, ღირსება დაქვეითებულია. იგი იჩენს სიმხდალეს, რაც უპირისპირდება ვაჟკაცობას. ამდენად ჰაჯი-უსუბისთვის ცხადი ხდება, რომ მისი აღზრდილი არ არის ვაჟკაცის უნარ-ჩვევების მქონე. ეს ერთ-ერთი დიდი მიზეზია მისი თვითმკვლელობამდე მიყვანისათვის.

ვაჟკაცობა თავისივე ტომის ქართველთანაც აუცილებელია. ამაზე მიგვანიშნებს ა. წერეთლის პოემა ,,ორი ქართველი“(1892) სადაც მწერალი ისევ წარსულზე მოგონებებს მიმართავს:

,,მსოფლიო ცხოვრებაშია
ქართველსაც უძევს კვალიო:
შიგნივ - ოფლი და გუთანი,
 გარედ- სისხლი და ხმალიო!“

(ა. წერეთელი, ტ.V, 1956:139)

გოგიასათვის, რომელიც ოდესღაც ხმლით ვაჟკაცობდა და ეთაყვანებოდა იმათ, რომლებიც მამულისათვის იბრძოდნენ, საინტერესო გმირები კიდევ სხვანი იყვნენ რაინდებშიც. ამდენად აკაკი გამოკვეთს ცალკე რაინდობას, როგორც ვაჟკაცობის ტოლფას ცნებას, მაგრამ ცალკე - გმირობას:

,,მჯობნის მჯობნე ამ ქვეყანად
აროდეს გამოლეულა...
ბევრი ჩვენს რაინდებშიაც
გმირი რამ გამორეულა“.

(ა.წერეთელი, ტ.V,1956:140)

გოგიას მონათხრობში მოჩანს ორი მხედრის შეხვედრა, სადაც ერთი ეკითხება მეორეს:

,,მტერი ხარ, თუ მოყვარე ხარ?
ნუ იმალვი! -მიაძახა-
ვაჟკაცია პირდაპირი,
იმალება მხოლოდ გლახა!“...

(ა.წერეთელი, ტ.V, 1956:142-143)

მომხვდური ლეკია, რომელიც ასევე კარგი ვაჟკაცი ჩანს. აქ მწერალი აგვიწერს ქართველისა და ლეკის შეტაკების სცენას. ქართველი ადამ ბებურიშვილია, რომელსაც ვაჟკაცის სახელი აქვს გავარდნილი. აკაკისათვის ნათლად მოჩანს როგორ უნდა შებრძოლებოდნენ ისინი ერთმანეთს:

,,გამოვიდნენ შუა ველზე

აღელვებდათ გულის ვნება;
ძნელი არის ორ ვაჟკაცის
ერთმანეთის შეტაკება“

(ა.წერეთელი,ტ.V, 1956:144)

ბრძოლაში დასუსტებულ ადამს მიეშველება შემთხვევით გამოჩენილი ოთია მესხი, ასევე კარგი ვჟკაცი და აზნაურის შვილი, მაგრამ ადამი დაამარცხებს ლეკს. დამარცხებული ცდილობს გაქცევით უშველოს თავს. ოთია ხმლით წააცლის თავს გაქცეულს და თავის საქციელს კი ხსნის იმით, რომ ადამს ლეკის ცხენი დარჩენოდა (ეს ძველი წესი იყო), თუმცა ვაჟკაცი ადამისთვის ეს ქმედება აღმოჩნდა სასირცხვილო, როდესაც ჯორზე მჯდომმა, ერთი შეხედვით დაბალი წარმოშობის უცნობმა, როგორც მდიდარმა, მოკლულის თოფ-იარაღიც მას დაუთმო (ოთია თვლის, რომ ჯორზე ამხედრებით მარჯვე ვაჟკაცი არ დამცირდება, საქმე მკლავით გადაწყდება:

,,ხმლის ქარქაში არაფრად ღირს,
უნდა სჭრიდეს მხოლოდ პირი“

(ა.წერეთელი, ტ.V, 1956:152)

მაგრამ ყველაფერი სრულდება მეგობრობით, მას შემდეგ, რაც ადამ ბებურიშვილი გაიგებს ამ ,,უცნობის“ ვინაობას. ისინი პირობას დებენ, რომ ყოველ წელს შეხვდებიან ერთმანეთს. იმ ადგილას, სადაც ერთმანეთი გაიცნეს და მეგობრობა შეჰფიცეს ერთმანეთს. როდესაც ეს გმირი ვაჟკაცები დაიხოცნენ, მათ მემკვიდრეებს ეგონათ, რომ, დიდი ქონება დარჩებოდათ. სინამდვილეში კი მათ მხოლოდ გმირი მეგობრების მიერ, პირობის თანახმად, მოკლულ მტერთა ყურები დახვდათ.

ამ პოემით აკაკის სურს კიდევ ერთხელ შეახსენოს თავის თანამედროვეთ წარსულში გმირობა და აჩვენოს, რომ ოქრო-ვერცხლზე უფრო ფასეული ძველად მხოლოდ მტერთან ვაჟკაცური შეტაკება იყო.

პატარა მოთხრობაში, ,,დათუნა გოცირიძე“, რომელსაც აკაკი ,,ძველებურ ამბავს“ უკეთებს ქვესათაურად, გვიამბობს ერთ რაჭველ აზნაურზე, რომელსაც ხმლის სიძლიერესა და სიმარჯვეს უქებდნენ, რასაც მას ვაჟკაცობაში პირველობას ანიჭებდა, მანამ, სანამ საყვარელი დისწული, მისივე გაზრდილი-ივანე კვიტაშვილი არ ,,წამოემართა“ მეტოქედ და შეარცხვინა სახელიანი მოხუცებული. მას ივანემ ხმლის-

პირი დაუბლაგვა, რადგან პირველობის ამბიცია ამოძრავებდა. ამან შეურაცხყო მოხუცი დათუნა გოცირიძე, რადგან საზოგადოების წინაშე იგი დამარცხდა. მეფემაც კი ვერ შეძლო ერთმანეთზე სასიკვდილოდ გადაკიდებული ბიძა-დისწულის შერიგება. ახალგაზრდა კვიტაშვილი იძულებული გახდა რაჭა დაეტოვებინა და იმერეთში გადასულიყო: ,,საყვარელი დისწულისა და სასიქადულო გაზრდილის დაკარგვა ვეღარ აიტანა დათუნამ... ორგვარის გრძნობის ჭიდილი აღარ აძლევდა მოსვენებას... არ ემეტებოდა სასიკვდილოდ მტერი, მაგრამ იმავე დროს აღარ ეხერხებოდა აღარც ვაჟკაცური დაჩემების გატეხა და ულვაშის შერცხვენა, დანაღვლიანდა და გატყდა.“(ა.წერეთელი, 1980:640) ამდენად ვაჟკაცისთვი სიტყვის გატეხაც დაუშვებელია. დათუნა თვლიდა, რომ იგი საამქვეყნოდ აღარ გამოდგებოდა, სწორედ ამიტომ მან გადაწყვიტა ნიკოლოზწმინდაში ბერად შემდგარიყო. ვარციხისაკენ მიმავალ გზაზე, შუაგულ ტყეში არსებულ პატარა მინდორზე, დათუნა შემთხვევით წააწყდა მძინარე დისშვილს, დათუნას უნდოდა ივანესთან შებრძოლება, თუმცა მძინარე კაცის მოკვლა სირცხვილად მიაჩნდა, ამიტომ გადაწყვიტა მის გაღვიძებას დალოდებოდა. ამ დროისათვის ლეკმა ბელადმა ამოიღო მიზანში მძინარე ივანე კვიტაშვილი. მოხუცმა დათუნამ ერთი ხელი უტაცა მტერს ჩახმახშეყენებულ თოფისპირს, ხოლო მეორე ხელით კი ბრძოლა დაიწყო. როდესაც გაღვიძებულმა ივანემ დაინახა მტრებს შუა ხმლით მებრძოლი ბიძა, იგი თვითონაც ჩაება ბრძოლაში, გაფანტა მტერი და: ,, დარჩნენ მარტოდ პირისპირ ორი ქართველი, ერთმანეთის მოსისხლე მტრები ... ბიძა და დისწული, დათუნა გოცირიძე და ივანე კვიტაშვილი.“ (ა.წერეთელი, 1980:641) დათუნამ დაამუნათა დისშვილი: ,,ბედს ვაჟკაცობა მოუცია შენთვის, მაგრამ ღმერთს კი ჭკუა წაურთმევიაო... უადგილო ადგილას რომ ძილს მინდობიხარ, ხომ ღორივით გადაგაგორებდნენ, რომ მე არ წამოგსწრებოდი და მტერს წინ არ გადავღობებოდიო. (ა.წერეთელი, 1980:642). ბიძა და დისშვილი შერიგდებიან და ივანე მიიღებს დათუნას ღირსეულ დარიგებას: ,,შენ ჩემთან დამნაშავე ხარ და მე კი ქვეყნის წინაშე. სანამ გარეშე მტერი არ მოგვიგერიებია, შინაური მტრობა რჯულის უარისყოფაა და ორივეს ღმერთმა შეგვინდოსო!“ (ა.წერეთელი, 1980:642). მოთხრობის დასასრულს აკაკი ღრმა გულისტკივილით აღნიშნავს: ,,ნეტავ თუ ახლანდელი ქართველებიც ასე დასთმობენ

პირად უსიამოვნებას და განხეთქილებას საზოგადი საქმისათვის??“ (ა. წერეთელი, 1980:642)

ჯერ კიდევ თავის ლირიკაში აკაკი წერეთელი გამოკვეთს იმ ფაქტს, რომ ქართველ ქალს შეუძლია არამც თუ ოჯახის დაცვა და ღირსეული შვილის აღზრდა, არამედ გმირული, საბრძოლო სულისკვეთებით ცხოვრება. ეს განსაკუთრებით კარგად წარმოჩინდა მის ისტორიულ პოემაში ,,ნათელა“. პოემა ,,ნათელა“ 1900 წელს დაიწერა და მიეძღვნა XIV საუკუნის 50 -იან წლებში სახელგანთქმულ ,,კოხტასთავის“ შეთქმულებას მონგოლთა ბატონობის წინააღმდეგ. როგორც მკვლევარი აპოლონ მახარაძე აღნიშნავს, მწერალმა, ისტორიულად ცნობილ გმირს (ცოტნე დადიანს) შეუერთა სამშობლოსათვის თავდადებული ქართველი ქალის ზოგადი სახე. ასეთია ნათელა, რომლის სახელსაც ეს თხზულება ატარებს. ნათელა მაინცადამაინც ისტორიული პიროვნება არაა და თუ იგი მკითხველზე სრულიად რეალური ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებს, ეს იმის წყალობითაა, რომ ისტორიამ სამშობლოოსათვის თავდადებული ბევრი ქართველი ქალი იცის. ნათელა ერთი იმ ქალთაგანია, , რომელთა სახეები არა ერთგზის გვხვდება ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, ალექსანდრე ყაზბეგისა და ვაჟა-ფშაველას ნაწერებში.“(აპოლონ მახარაძე, ტ.II, 1957:321)

მშვენიერი ნათელა წარჩინებულ ქალბატონთა ტრადიციისამებრ (რომელიც არსებობდა როგორც საქართველოში, ასევე ევროპაშიც) გარკვეულ პირობას უსახავს მისი ხელის თხოვნის მსურველთ. პირობა ორი ნაწილისაგან შედგება: მტრის 120 მოკვეთილი თავი და ნათელასავე ხელით შეკერილი ოქროს ძაფებით ნაქარგი, თეთრი ჩოხა.

პირველი პირობა უშუალოდ უკავშირდება სასურველი საქმროს ვაჟკაცურ გმირულ ბუნებასა და მეომრისთვის დამახასიათებელ უნარებს, ხოლო მეორე დაკავშირებულია მის გარეგნობასთან (ჩოხა ყველას არ მოერგება). ასე ნათელა ქმნის იდეალური გმირის პოვნის შესაძლებლობას. ასეთი კი მხოლოდ ერთია - ცოტნე დადიანი.

ქორწილის დროს ნათელას მიერ წარმოთქმული სიტყვები მეტყველებს პატარძლის დამოკიდებულებაზე თავისივე ერისა და ქვეყნისადმი, რადგან:

,,ლიხს იქით მოძმე ქართველი
ყმად გაუხდიათ მანგოლებს!

.....

იქ კვნესა ისმის დაჭრილთა

და ქვრივ-ობლების ღრიალი!..

ხომ ხედავ, ამდენ ვაჟკაცებს

გმირთაგმირს, ლომთალომებსა?

ცოდვა არ არის ესენი

ერიდებოდნენ ომებსა?!

აქ რას უსხედან? წავიდნენ!..

შენ უწინამძღვრე, მთავარო!..

მამულის მსხვერპლად მზა ვარო!“

(ა. წერეთელი, ტ. V, 1956:201)

ნათელას მამაცობა მოჩანს მისი მისვლით მონგოლთა ნოინთან. სწორედ ნათელასა და ცოტნეს ვაჟკაცურმა საქციელმა უბიძგა ნოინს შეთქმულების მონაწილეების გათავისუფლებისაკენ .

გმირი ქალის სახე აკაკის პროზაულ თხზულებაშიც ,, ბაში-აჩუკი“ გვხვდება გლახა ბაქრაძის და აბდუშაჰილის დების სახით.

გმირობა-ვაჟკაცობის გამოჩენა ქართველს მხოლოდ ცალკეულ შეტაკებებში მტერთან მომხვდურთან არ უხდებოდა. იგი უმეტეს შემთხვევაში მონაწილეობას იღებდა ლოკალურ, ჯგუფურ, თუ ფართომასშტაბიან საბრძოლო ოპერაციებში. ასეთ შემთხვევაში ინდივიდის გმირობა-ვაჟკაცობა ძირითადად აისახებოდა ბრძოლის შედეგებში, მაგრამ აქვე მაინც მემატიანე თუ ხალხური წყარო გამოკვეთდა ბრძოლაში აქტიურად თავგამოჩენილ ადამიანებს. ეს პროცესი წარმოჩინდა ჯერ კიდევ ძველ ქართულ ლიტერატურაში, ბესარიონ გაბაშვილის ორ პოემაში, (,,ასპინძის ომი“ და ,,რუხის ბრძოლა“), მაგრამ XIX საუკუნეში და, ისიც ზოგადად, გამოჩნდა გრიგოლ ორბელიანის პოემაში ,,სადღეგრძელო“ და ნიკოლოზ ბარათაშვილის პოემაში ,,ბედი ქართლისა“. ნიკოლოზ ბარათაშვილის ნაწარმოებში იკვეთებიან ისტორიულ პიროვნებები, რომლებმაც ბრძოლებში თავი გამოიჩინეს:

,,საქართველოს დღეს გარდაუწყდება

თავისი ბედი და უბედობა!

დღეს ეჭირვება მამულს მხნეობა!

დღეს მეცა თქვენში ვარ მეომარი,

ვითა თქვენგანი ერთი მხედარი:

დღეს გამოჩნდება, ვინ არს ერთგული,

ვის უფრო გვიყვარს, ძმანო, მამული!“

(ახალი ქართული ლიტერატურა, ტ. I,1979:86)

რაზედაც ავტორი ჯარის ერთიანი პირით პასუხობს:

,,ჩვენ თუნდ სულ ერთ დღეს დავიხოცებით,...

მტერი რა მტერი ოდეს ქართველი

ბატონს ირაკლის ნუგეშად ჰხედავს;

მისთვის სიცოცხლეს ვინღა დაზოგავს!“

(ახალი ქართული ლიტერატურა, ტ. I,1979:86)

ამის შემდგომ პოეტი აღწერს ბრძოლის ველს და აღტკინებით მიმართავს გმირებს:

,,ხმა ნაღარისა, ხმა ეს ბრძოლისა

ვითარ აღგანთებს, გმირო ქართლისა!

ხმალსა განამხნევს, მხნეს განაღვიძებს

და მიჯნურსაცა სულს შეუშფოთებს.“

(ახალი ქართული ლიტერატურა, ტ. I,1979:86)

გმირულად იბრძვიან: ,,თამაზ ენისენთ მოურავის ძე და იოვანე კახთ აბაშისძე“ - კრწანისის ბრძოლის გმირები, რომელთა მაგალითია მეფე ერეკლეს ღვაწლი:

,,რა ნახეს ქართველთ გაჭირდა საქმე,

მყის ჩაიკეცეს ქუდები თურმე,

ხრმალს ხელი იკრეს მამა-პაპურად

და დაერივნენ თავისებურად!“

(ახალი ქართული ლიტერატურა, ტ. I,1979:87)

ასევე ბრძოლის სურათები აღწერილია ალექსანდრე ორბელიანის ,,უმანკო სისხლში“, ,,დავით აღმაშენებელსა“ და ,,ბატონიშვილის ირაკლის პირველი დრო ანუ თავდადება ქართველებისაში“. რაც შეეხება აკაკი წერეთელს, რომელსაც წინ ედო რომანტიკოსი პოეტების ნააზრევი, ბრძოლის აღწერისას დიდი ოსტატობა უნდა გამოეჩინა და ასეც

მოხდა. პოემაში ,,თორნიკე ერისთავი“(1884) მწერალი წარმოგვიდგენს, ბიზანტიის იმპერიის დასახმარებლად დავით კურაპალატის მიერ გაგზავნილი ჯარის, ზოგადად, და, კერძოდ, მეომრების მამაცობას. იგი ისე აღწერს ბრძოლის ველს, თითქოს თავად იყვეს მთავარსარდალი თორნიკე, რომელიც მაღლობიდან დაჰყურებს და მითითებას აძლევს ჯარს. აქ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არაერთი ბატალური სცენა:

,,მოწინავე ჯარს, ტურფად დარაზმულს,
ოთხიათასსა დაჰყურებს ჭაბუკს,
მხოლოდ იმ წამის მომლოდინესა,
როდესაც დაჰკვრენ ნაღარას და ბუკს.
ფარ-ხმალით ხელში გახურვებულებს
ძლივს-ღა უჭერენ თავს ბედაურებს:
ჭიხვინ-ხვიხვინით, ტორების ცემით,
ძუა ფაფარშლით აცქვეტენ ყურებს,
თითქოს იმათაც სული მიუდისთ,
რომ მიიტანონ მათ იერიში
და, როგორც იმათ, მხედრების გულში,
ისე არც იმათ გულშია შიში.“

(ა.წერეთელი, ტ.V , 1956:63-64)

ამავე დროს ა. წერეთელი აჩვენებს თორნიკე ერისთავის სტრატეგიულ გეგმას და სკლიაროსის ბრაზსაც. ნახსენებია საბრძოლო იარაღებიც: ხმალი, ფარ-შუბი, ისარი. საყურადღებოა ორბელიძისა და აფრანიკეს შერკინების სცენაც. აფრანიკემ იცოდა ორბელიძის სიმამაცისა და სიმარჯვის შესახებ. მით უმეტეს, რომ, თორნიკეს შემდგომ მხედართმთავრობა ორბელიძისა იყო, მაგრამ ავტორი ასე ახასიათებს ორბელიძეს:

,,ხმალსისხლიანი, თავზე ჩაფხუტით
თეთრ ცხენზე იჯდა ერთი მხედარი,
რომელ გუნდშიაც შევარდებოდა,
მას თან მიჰქონდა მეხი და ზარი.
თვით ორბელიძე იყო ეს გმირი...“

(ა.წერეთელი, ტ. V, 1956:67)

აფრანიკესთან შეტაკების სცენა ძალზე თვალსაჩინოდაა გადმოცემული:

,,მოღუნეს მშვილდი, მოსდეს საცერე
და ერთმანეთსა სტყორცეს ისარი,
მაგრამ ორივემ სწორის სიმარდით
მას მიაგებეს მათ-მათი ფარი
და აიცილეს მითი ფინთიხი,
გულის გამპობი, ხორცის მომწყვლელი;
მერე გადიგდეს მშვილდები მხარზედ
და ხმლებს მოავლეს საომრად ხელი.
მათი ფარ-გება და კენწლაობა,
სიჩქარით ელვა გასაკვირვალი,
მოჩხუბართ მხოლოდ ბრაზს უმატებდა
და ედებოდათ თანდათან ალი.
მოსწყინდათ ფარი და უკუაგდეს,
დაადგნენ ორნი მარტო შიშველ ხმალს,
თავი გადასდვეს მათ სასიკვდილოდ,
აღარ იზოგვენ ღონესა და ძალს.“

(ა.წერეთელი, ტ.V, 1956:67-68)

ორბელიძე აქ ღალატით იღუპება.

საყურადღებოა ბრძოლის ბოლო ეპიზოდი, როდესაც დამთავრდა შეტაკება, მაგრამ, ხეობა ღელე, ტყე და მინდორი დაფარეს ბრძოლისას დაღუპულ მეომართა სხეულებმა:

,,აგერ დაჭრილი! აგერ ძევს მკვდარი
გაკვეთილია საბრალო ორად!
აგერაც ერთგან ათასზე მეტი
ზე დჰსჩეხიან ერთმანეთს ხორად!..“

(ა.წერეთელი, ტ.V, 1956:74)

პოეტი ხაზგასმით გამოკვეთს თორნიკეს ჰუმანიზმსაც, რომელის ბრძანების თანახმად, განურჩევლად მტრისა და მოყვარისა, ყველასთვის უნდა მიეხედათ,

წყლულები შეეხვიათ და პატივისცემით მოჰკიდებოდნენ მათ. ამ ბრძოლაში ,,ხუთიათასი გამოერია ქართველიც მკვდარი.“ (ა.წერეთელი, ტ.V, 1956:77).

აკაკი ბოლო პოემაში ,,ომი“, რომელზედაც მუშაობა 1914 წელს დაიწყო, ცდილოს აჩვენოს საქართველოს ადგილი პირველ მსოფლიო ომში პოემაში ავტორს აქვს ლირიკული გადახვევაც:

,,ბაბილონი, ასურეთი,
საბერძნეთი, სპარსი, რომი,
ყველა ჩვენი მტერი იყო,
გადაგვქონდა ომზე ომი.
ნეტავ რისთვის აიჩემეს,
ეს საბრალო ქართველები,
რომ ყოველმხრივ გარე მტრები,
ესეოდნენ როგორც მგლები?“

(ა.წერეთელი, ტ.V, 1956:303)

პოემა შედგება ორი თავისაგან და მასში ევროპული პოლიტიკაც კარგად მოჩანს:

,,მოდის სიკვდილი წყლიდან, ჰაერით
მოიპარება ჩუმად, ქვესკნელით,
თუმც ვერ ხედავენ თვალით მტრები მტრებს,
მაგრამ სიკვდილს კი იჭერენ ხელით!“

(ა.წერეთელი, ტ.V, 1956:310)

აქვე ააშკარავებს აკაკი, რომ ეს ყოველივე ტექნიკის განვითარების ფონზე ხდება. პოემა დასრულებული არ არის, მაგრამ, ბოლო სტროფები მეტად საინტერესოა, რომელშიც გამოყვანილია ქართველთა მშვიდობისმოყვარე ბუნება:

,,რომ იმას მტერი არ აწუხებდეს,
არც იმიერი და არც ამიერ
და ჩვენც ვიძახდეთ მამაპაპურად
ჩვენის ელფერით: მრავალ ჟამიერ!“

(ა.წერეთელი, ტ.V, 1956:314)

აშკარაა, რომ ქართველები, რომლებიც ამ ომში იბრძვიან არა თავისი სამშობლოსათვის, არამედ მოკავშირესთან ერთად. ამ შემთხვევაში უკვე აკაკის სხვანაირად უნდა შეექმნა ქართველი კაცის პოზიცია, როგორც გმირი ვაჟკაცისა მსოფლიო ომში.

ა. წერეთლისთვის მხოლოდ წარსულის გმირი არ არის საინტერესო. ეს კარგად მოჩანს მის ერთერთ პიესაში ,,ახალი გმირი“ (1888), რომელშიც აკაკის თანამედროვე ქართველები იხსენებენ ასპინძის ომში გოცირიძეს მიერ გამოჩენილ მამაცობას: ,,მაგრამ ძვირად კი დაუჯდა ვაჟკაცობა: მძიმედ დასჭრეს და, სხვათაშორის, სახეზედაც რამდენიმე ჭრილობა დაღად დააჩნდა“ (ა.წერეთელი, ტ.IX, 1959:292). დიალოგში, რომელიც მოცემულია პირველი მოქმედების პირველ გამოსვლაში, ერთმანეთს ეკამათებიან დათიკო, ხოსრო, არჩილი და ქეთო - (ნაწარმოებში თანამედროვე ქართველები). მწერალი გვიჩვენებს ახალ ქართველს - ხოსროს, რომელსაც შეუძლებლად მიაჩნია ჭრილობებით სახედაფარული გმირის შეყვარება. ამიტომ გულთამზეს სიყვარულს გოცირიძის მიმართ მეტიჩრობად და ფარისევლობად მიიჩნევს. ქეთო კი ამბობს: ,,როგორიც გოცირიძეები თქვენა ბრძანდებით, იმისთანა გულთამზეებიც ჩვენა ვართ. ჯერ გოცირიძეები უნდა გამობრძანდნენ ცხოვრების სარბიელზე და მაშინ გულთამზეებიც გამოჩნდებიან.“ ა.წერეთელი, ტ.IX, 1959:294) ქეთო გრძნობს, რომ ,,გოცირიძეებიც“ აღარ არიან და, თუ არის ვინმე, სადღაც მიმალულან. ამაში ვხედავთ მწერლის დიდ წუხილსაც. ეს პიესა ვასო აბაშიძემ დადგა 1888 წელს თავის ბენეფისში.

ადრე, სპორტული შეჯიბრში, (რომელსაც წარმოადგენდა ყაბახი და ჭიდაობა,) გამარჯვებული ჯილდოვდებოდა პრიზით ან და ფულით. ა წერეთელს თავის პოემაში ,,ჭიდაობა“, რომელიც დაუწერია 1888 წელს, როგორც სათაურიდანვე ჩანს, შეჯიბრების, ჭიდაობის ამბავს უნდა გადმოგვცემდეს. ნაწარმოებში ძირითადად ორი მთავარი გმირი იკვეთება. ესენი არიან: კულა გლდანელი და ნესტორ ესებუა, ორივე კარგი მოჭიდავე და ფიზიკური ძლიერებით დაჯილდოვებული კაცია. წესით ორივეს შეუძლია იყვეს ღირსეული ფალავანი, თუმცა კულა გლდანელი ამბობს:

,, ... მოჭიდავე ვარ

საქვეყნოდ გამოსულიო;
მოვიდეს შესამოწმებლად,
ვისაც კი ერჩის გულიო,
მაყურებლებიც მობრძანდნენ,
წარმომიდგინონ ფულიო;
თუ არა მუქთს და ნისიას
არ მიწერს ჩემი რჯულიო“

(ა. წერეთელი, ტ.V, 1956:87)

ეს ამბავი ეუცხოვებათ თავად კულას სოფლელებსა და ამბობენ :

,, ... როგორ შეიძლებაო?
მამა-პაპური გასტეხა
წესი და ჩვეულებაო!
დუქანზე რომ სცვლის მოედანს,
ვინ მისცა ამის ნებაო?
წვერ-ულვაშს ჰყიდის ვაჭკაცი
და არც კი ერცხვინებაო?!“

(ა. წერეთელი, ტ.V, 1956:87)

შეჯიბრში კულა გლდანედსა და ნესტორ ესებუას შორის მარცხდება კულა გლდანელი. მაგრამ ყველაზე სამარცხვინო ის არის, რასაც თურმე ტირილით ამბობს:

,,გავბრიყვდი დავაშავეო,
რომ ჩემი დიდი სახელი
უბრალოდ გავათავეო,
მაგრამ ნუგეშად ეგ მრჩება,
რომ ხალხი გავატყავეო“.

(ა. წერეთელი, ტ.V,!956:91)

სწორედ ამაზე წუხს თვით პოეტიც.

1896 წელს ქვეყნდება ა. წერეთლის ცნობილი მოთხრობა ,,ბაში-აჩუკი“, რომლითაც მწერალმა ძეგლი აუგო 1659 წლის კახეთის აჯანყების მონაწილეებს

ბიძინას, შალვას და ელიზბარს, ხოლო მთავარ გმირად გამოჰყავს-უბრალო იმერელი აზნაურისშვილი, გლახა ბაქრაძე, თათრების მიერ ,,ბაში-აჩუკად“ წოდებული. ბაში-აჩუკი განეკუთვნება იმ გმირებს, რომლებიც მიზნისკენ ფრთხილად მიიწევენ, მოქმედებენ გააზრებულად, ქვეყნის სასიკეთოდ უჩუმრად იღწვიან, ასე იხვეჭენ სახელსა და პატივისცემას. ეს კარგად მოჩანს როგორც ,,პირიმზისას და პირიმთვარისას გადარჩენის ეპიზოდში“, ისე ,,ჭიდაობის სცენაში“. იგი ჩუმად მუსრავს ყიზილბაშებს, მაგრამ მისი სახელი საარაკო გამხდარა, ხოლო თავი მტრის მიერ ათას ოქროდაა შეფასებული. იმ ეპიზოდში კი, როდესაც გლახა ბაქრაძე წერეთლის ქორს ჩამოხსნის თოფით ხიდან, მწერალი ხაზს უსვამს, რომ იგი შეუდარებელი მსროლელია. ბაში-აჩუკი ,,ტყის ძმობის“ მეთაურია. იგი თავად ვაჟკაცი - ვაჟკაცობის დამფასებელია, სიტყვის შემნახავი და მიმტევებელიც. მას საიდუმლო კავშირი აქვს დერციკის ცოლ მელანოსთან, მაგრამ სიყვარულით მხოლოდ წერეთლის ქალს ეკუთვნის მისი გული.

გმირი ვაჟკაცი მხოლოდ ქრისტიანი როდი შეიძლება იყვეს?! ამის მაგალითად კი ა. წერეთელმა აბდუშაჰილი წარმოგვიდგინა, რომელიც ალი-ყული-ხანს ემსახურება, მაგრამ აბდუშაჰილი ხანის ყველა დავალებას არ ასრულებს. იგი თვლის, რომ მტერს ერთიერთზე, სამართლიან ბრძოლაში უნდა შეებას და არა ჩასაფრებით დაიჭიროს უიარაღოდ, სხვების დახმარებით. იგი არ არის სწორხაზოვანი, მას ერთგულების დაფასებაც შეუძლია, ,,მტრობაც იცის და ძმობაც“ . მოთხრობის შუა ნაწილში ვიგებთ, რომ ეს ვაჟკაციც, რომელიც მუსულმანად დაგვიხატა მწერალმა, მამა-პაპით ქრისტიანი, ქართველია. იგი ბავშვობაში დედასთან ერთად გატაცებული და ტყვედ გაყიდული დათუნაა-მელანოს ძმა. მოთხრობაში უმთავრესი დატვირთვის მატარებელია ბოლო ეპიზოდი , როდესაც მეფის სასახლეში შეკრებილი დიდებულებს და, მათ შორის, ბიძინას, შალვას და ელიზბარს მეფე შაჰის ,, სურვილს“-მუქარას აცნობს. დარბაზობაზე გმირებს სიფრთხილისაკენ მოუწოდებენ, მაგრამ ელიზბარის ალეგორიული პასუხით ნათელი ხდება მათი აზრი: - ,,დიდებულო ხელმწიფევ! რაც ფოთლებია ხისთვის, ჩვენც ისევე ვართ ქვეყნისათვის და, რაც წელიწადია ფოთლებისათვის, ის საუკუნეა ჩვენთვის. ნახევარი საუკუნის განმავლობაში არც

ერთი აღარ ვიქნებით, სხვები დაიჭერენ ჩვენს ადგილს: ,,ერთი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსო“. საქართველოც ჩვენი ცხოვრების ხეა, საკუთარ ქართულ ნიადაგზე დანერგილი და ზედ ქრისტეს სჯულია დამყნილი. სანამ მისი ძირი არ შესუსტდება, ღერო არ შეინძრევა და ფესვები მაგრად ექნება გადგმული, შტოების შერხევითა და ფოთლების დაცვენით არა უჭირს რა. ჩვენც ერთი ფოთოლთაგანი ვართ, ადრე თუ გვიან დასაცვენი. და ჩვენი მიზეზით რათ უნდა მიადგეს გაჭირვება სამეფოს?“ (ა.წერეთელი, ტ.VII, 1958:192). ხოლო ბიძინა ჩოლოყაშვილის თქმით: ,,ეროვნების ხესაც ძირის გასამაგრებლად და ფესვების განზე გასადგმელად ოფლთან ერთად ხანდახან წმინდა, მოწამებრივი სისხლიც ეჭირვება სარწყავად!.. ამგვარ მსხვერპლის უჩვეულო არ არის ჩვენი ქვეყანა და დღეს, განგებას ჩვენთვის თუ წილად უხვედრებია სამსხვერპლო ზვარაკობა, სასოებით მივეგებებით და მორჩილებით თავს დავდებთ!.. საქართველოს ჭირიც წაგვიღიაო!..“(ა.წერეთელი, ტ.VII, 1958:192)

ამდენად, აკაკისთვის, ისევე როგორც ილიასათვის, თუნდაც ბრძოლა არ იყოს საჭირო, თავის გაწირვა, ზვარაკად შეწირვა გამართლებულია, მისაღებია და სამაგალითო. აკაკი წერეთლის პატრიოტულ თემაზე შექმნილი ნაწარმოებები ამ სულისკვეთებით არის განმსჭვალული. როგორც აკაკი ბაქრაძე შენიშნავს, აკაკი წერეთელი ხედავს, რომ: ,,ზნე-ჩვეულებით, ცხოვრების წესით, მორალით, თვისებით, ქართველი აღარ არის ის, რაც ოდესღაც ყოფილა. აღარც საქართველოა ძველი საქართველო. პიროვნებაც და ხალხიც დაკნინებულ-დაცემულია... ისტორია ერთ ადგილას არ დგას. იგი მუდამ წინ მიდის. ცვლილება - განახლება უთუოდ იქნება. აუცილებელია ეპოქის პროცესის ნაბიჯ-ნაბიჯ მიყოლა და ყოველი ცვლილება-განახლების დაუყოვნებლივ გამოყენება. მით უფრო, რომ მოაზროვნე საქართველოს ჯერ რწმენა არ გაქრობია.“ (აკაკი ბაქრაძე, 1992:245-246)

და, როგორც მწერალი როსტომ ჩხეიძე აღნიშნავს, თავის შესანიშნავ ავტობიოგრაფიულ რომანში ,,ხან მიწისა და ხან ცისა“ აკაკის:

,,მეცხრამეტე-მეოცე საუკუნის მკითხველი უნდა აემაღლებინა მეთორმეტე საუკუნის მკითხველის რანგამდე.

და აქედან უნდა მომზადებულიყო გადასასვლელი მეცხრამეტე-მეოცე საუკუნის ქართველობის ასამაღლებლად მეთორმეტე საუკუნის საქართველოს შვილობამდე.

ჯერ მკითხველი გამოივლიდა იმ სულიერ ემბაზს.

და მერე მათი თანადგომითაც, აკაკის უკვე ყველა ქართველი უნდა გამოეტარებინა ამ საიდუმლო ემბაზში.“ (როსტომ ჩხეიძე, 2017:688).

უეჭველია, სწორედ წარსულში გმირობა-ვაჟკაცობის იდეალების წარმოჩენით, აწმყოში კი მისი ჩვენებით აღასრულებდა აკაკი თავის მიზანს. რომელსაც უნდა ემსახურებოდეს კიდეც გმირობა-ვაჟკაცობის თემის გაშლაც ა. წერეთლის შემოქმედების მაგალითზე, რაც წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომში მეტ-ნაკლებად მიმოვიხილეთ, წარმოვადგინეთ და სათანადო შესწავლის საგანიც შეიძლება იქცეს სამომავლოდ.

III თავი. კარგი ყმის ანუ ვაჟკაცის აბრისი ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში

მთის პოეზიის წარმომადგენლის, ვაჟა-ფშაველას (1861-1915) ნააზრევი განსხვავდება საქართველოს ბარში მცხოვრები პოეტების ნააზრევისაგან იმითაც, რომ XIX საუკუნის დასასრულისათვის, საქართველოს მთიანეთმა მეტ-ნაკლებად შემოინახა ტრადიცია გმირობა-ვაჟკაცობისა. როგორც მკვლევარი კიტა აბაშიძე აღნიშნავს, ,,მისი მუზის სანავარდო, ერთის მხრით, მთებია - ეს დარაჯნი ჩვენი სამშობლოისა, მისი მფარველნი და დამცველნი. უძლეველი საბუთი იმისა, რომ ამ ქვეყნის ცხოვრება ყოველნაირად განსხვავებული უნდა იყოს სხვა ქვეყნის ცხოვრებისაგან“ (კ. აბაშიძე, 1962:376). აქ ქვეყნის დაცვა არა მხოლოდ ადამიანს, არამედ ბუნებასაც და ყოველგვარ სულიერსაც ევალება, რაც ვაჟა-ფშაველას შემოქმედების განუყოფელი ელემენტია. ვაჟკაცობის იდეალს ვაჟა ჯერ ხალხურ პოეზიაში მხატვრულად წარმოჩენილზე მსჯელობს, რამდენადაც იგი შესისხლხორცებულია ტრადიციებთან, ხოლო შემდგომ, საკუთარ ლირიკაში, პოემებში, პროზაში, პუბლიცისტიკასა თუ დრმტულ ნაწარმოებებში. ამდენად, ჩვენ აღნიშნულ თავში არ მოვახდენთ ვაჟა-ფშაველას შემოქმედების მხოლოდ ჟანრობრივი თემატიკის მიხედვით შესწავლას. თემის გახსნასთას დაკავშირებით შეიძლება მოვიყვანოთ მაგალითები როგორც პოეზიიდან, ისე პროზიდან.

ჯერ კიდევ 80-იან წლებში ახალგაზრდა ვაჟა, რომელიც ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს ეცნობა როგორც ფშავში, ისე ხევსურეთში, აგრეთვე იმდროინდელი ქართული პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებული შეკრებილი მასალებით, ხევსურების შესახებ 1886 წელს გაზეთ ივერიაში გამოქვეყნებულ წერილში აღნიშნავს: ,, ხევსურებს საკუთარი ლექსებიცა აქვსთ. ამ ლექსებში ესენი ან თავის საკუთარს ხალხურს გმირებს ადიდებენ, ან მტერთან ბრძოლას, ომებს მოგვითხრობენ (ვაჟა-ფშაველა,1967:40), ხოლო პუბლიცისტურ წერილში ,,ფშავლები“ პოეტი გამოჰკვეთს იმ ფაქტს, რომ რამდენადაც ფშავლები პოეტური ხალხია, მათი პოეზია ,,უძირო ზღვაა“. მისი აზრით, ფშავლების ზეპირსიტყვიერება განიყოფება ძველი და ახალი დროის პოეზიად: ,,ძველს ლექსებში არის გამოხატული ვაჟკაცობა, გმირობა და ზნეობრივი სიმაღლე. ძველს ლექსებში უფრო იდეალურობა გამოსჭვივს.“ (ვაჟა-ფშაველა, 1967:34)

ამდენად, მისი აზრით, ახალი დროის პოეზია შეცვლილია, რადგან: ,,რა ქნას ახალი დროის ფშაველმა, საგმირო საქმე აღარა აქვს და გულს იფხანს სხვადასხვა საგნებზე შაირობით.“ (ვაჟა-ფშაველა,) ამდენად, ცოტა მოგვიანებით, ვაჟა-ფშაველა სპეციალურ წერილს უძღვნის ,,გმირის იდეალს ფშაურ პოეზიის გამოხატულობით“. აღნიშნული წერილი იბეჭდება გაზეთ ,,ივერიაში“ 1889 წლის N 41-ში. ვაჟა აღნიშნავს, რომ ფშაური პოეზია გმირული ხასითისაა. ამას ხსნის ძველ დროში ხალხის ინტერესით გმირობასა და გმირისადმი: ,,ძველისძველი ცხოვრება როგორც ვიცით, მუშტზე, ძალაზედ იყო დაფუძნებული. ერთი თემი მეორეს არბევდა, სტყვევნიდა, იმონებდა, მხოლოდ იმიტომ, რომ ერეოდა. ვაჟკაცობას, გულადობასა და მკლავს დიდი სახელი აბრუ და პატივისცემა ქონდა მაშინ. თემსაც ძვირად უღირდა ვაჟკაცი გმირი ხდებოდა საგნად ლექსისა, ზეპირგადმოცემისა. გმირის ამბით სულდგმულობდა ხალხი, იგი იყო იმისი ნუგეში. ხალხი მუდამ თვალ-ყურს ადევნებდა გმირს. აკვირდებოდა, სწავლობდა იმის განსხვავებულს ზნე-ხასიათს, ფანტაზიითაც უმატებდა გმირს თავის გემოვნებისამებრ ზნეობრივსა და ფიზიკურს თვისებას, რათა უფრო მოსაწონი გაეხადა იგი ყოველმხრით.“(ვაჟა-ფშაველა, 1967:48)

გარდა ამისა ვაჟა ამართლებს მთის ხალხთა იმ თვისებას, რომ თუ არა გმირზე, სხვა რაზე უნდა ემღრა ხალხს, რამდენადაც ,,ძველი დრო... იყო დრო გმირობისა და ვაჟკაცობისა. საგმირო საქმეებით სავსე იყო ძველი ცხოვრება... ვაჟკაცობა იყო მაშინ პირველი, თავიდათავი ღირსება კაცისა. სხვა გზით, თუ არა ვაჟკაცობითა და ვაჟკაცის გმირობის წყალობით, თემს ერთი დღე სიცოცხლეც არ შეეძლო, იგი უნდა შემუსრვილიყო და გაწყალებულიყო. ფშავლის საიდეალო გმირი განსაკუთრებული ფშავური გმირია.“ (ვაჟა-ფშაველა, 1967:48). აქვე ვაჟა გამოკვეთილად აღნიშნავს ფაქტს, რომ ,, გმირი ფშაურს ლექსებში ვაჟკაცად, კაი ყმად იხსენიება;იგი თემიდან გამოდის, თემს ემსახურება, იმის გულისათვის იბრძვის. გმირის მაღალი ზნეობა და საგმირო საქმენი თემს დასტრიალებს თავზედ. გმირი გარეგნობით არა ჰგავს მზესა და მთვარეს. იგი თავისებურად არის ლამაზი.“ (ვაჟა-ფშაველა, 1967:48), ამდენად, სწორედ ფშავური პოეზიის მეშვეობით ჩამოაყალიბა ვაჟა-ფშაველამ ძველ დროში მთის ხალხთა, კერძოდ - ფშავლების გმირობა ვაჟკაცობის იდეალი, რომლის მიხედვითაც ძველ დროში:

1. თემისათვის იდეალური მამაკაცი იყო გმირი ვაჟკაცი, რამდენადაც ერთი თემის მეორეზე გამარჯვება იყო სწორედ ასეთ ხალხზე დამოკიდებული, 2. ამდენად, ვაჟკაცობას, გმირობას, დიდი პატივი ჰქნდა და იგი თვალსაჩინო იყო თემისათვის. მას სწავლობდა, აკვირდებოდა, ჰმატებდა მეტ გმირულ თვისებას, რათა იდეალურობასთან უფრო მეტად მიეახლოვებინა იგი. 3. ამდენად, ძველ ფშაურ პოეზიაში გმირი იხსენიება ვაჟკაცად, კაი ყმად, რომლის საგმირო საქმეები თემს დასტრიალებს. 4. არაა აუცილებელი გმირი იყოს მზისა და მთვარის დარი, რაც რუსთველური, რაინდული კოდექსითაა გათვალისწინებული. 5. აღნიშნულ წერილში ვაჟა გამოჰკვეთს იმასაც, რომ გმირი არ ცოცხლობს საკუთარი თავისათვის, არამედ მისი სიცოცხლე თემს ეკუთვნის. ამიტომ რჩება მხოლოდ სახელი. ,,სიკვდილის შემდეგ მთელი თემი ჰგლოვობს, ხატობის დროს ოფიციალურად ისმის გმირის შესანდობარი.“ (ვაჟა-ფშაველა, 1967:52). და ბოლოს, მწერალი აკეთებს დასკვნას: ,,დიაღ, გმირი მსხვერპლია სოფლისა: სხვას აძღობს, თვითონ მშიერია, სხვის სიცოცხლისათვის მებრძოლი თვითონ სიკვდილს ეძლევა პირში“ (ვაჟა-ფშაველა, 1967:52).

ასეთია ვაჟას იდეალი გმირობა-ვაჟკაცობისა, რომელიც მან ხალხური ზეპირსიტყვიერებიდან, ტრადიციის მიხედვით ,,ამოიკითხა“ და ჩამოაყალიბა თავის პოეტურ ცნონიერებაში.

გამოჩნდა თუ არა ასეთი იდეალი თავად მწერლის შემოქმედებაში? სწორედ ამაზე გამახვილდება ჩვენი ყურადღებაც წინამდებარე ნაშრომში.

ვაჟა - ფშაველას დროში ასეთი გმირები თითქმის აღარ არიან. სწორედ ამ პერიოდში, 80 - იან წლებში, იქმნება ვაჟას ლირიკა, სადაც ფშაველის გმირობა - მამაცობა ლექსშია გადმოცემული. ლექსში ,,ფშავლის სიმღერა“ პოეტი ფშაველსვე ათქმევინებს ადამიანის სულში ჩანერგილ გმირობის იდეალს. აქ ფიციცაა, იმ შემთხვევისათვის, თუ ის უღალატებს ვაჟკაცობის ,,კოდექსს“:

,,თუ გიღალატო, დედაო,
ნუმც დავიმარხო მთაშია,
ნუ დასდვან ვაჟის-ფშავლისა
ხმალი სატირლის თავშია“

(ვაჟა-ფშაველა, ტ. I, 1964:21)

საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ, ფშაველმა ახალგაზრდა პოეტმა ლუკა რაზიკაშვილმა ფსევდონიმად აარჩია ,,ვაჟის - ფშავლისა“ - ვაჟა- ფშაველა.

ვაჟა-ფშაველა მასხარად იგდებს მკვეხარა კაცს:

,,რად გკიდავ ხმალი, ხანჯარი,
წადი, ჩაუჯე ქსელასა,
ვაჟა-ფშაველა რომ შეგხვდეს,
დაეფეროდი მელასა.“

(ვაჟა-ფშაველა, ტ. I, 1964:21)

ვაჟასათვის დამახასიათებელია ლექსისათვის ,,სიმღერის“ მიწერა. ასეთია ,,ყორანმა ყორანს გასძახა“, სადაც მხატვრული ოსტატობით ხატვს თავის სათქმელს და ყორანთა მეშვეობით გვაგებინებს, რომ გმირებს არამარტო ადამიანები, არამედ უბრალოდ ფრინველნიც იცნობენ.

ძვ. წ. აღ. 2000 წლით ადრე, ძველ ეგვიპტეში არსებული ჩვეულების მსგავსად, მთაში გავრცელებული ტრადიცია ითვალისწინებდა დამარცხებული მტრისათვის მკლავის მოკვეთას. ვაჟას აზრით, ამაზრზენია ეს ქმედება განხორციელებული ქალის მიმართ. მაგრამ ვაჟას, როგორც ჭეშმარიტ ქრისტიანს, სჯერა, რომ, მეორედ მოსვლის ჟამს, ასეთ პიროვნებას არ შერჩება ქალის სვავების დასაჯიჯგნად გამეტება. (,,დაე აყროლდეს სოფელი“)

პოეტი თაყვანისცემით მოიხსენიებს გმირის გამზრდელ დედას (,, მაცნე “).

,,შენი გაზრდილი მახარე
წევს მკვდარი კლდისა ძირზედა,
ეტყვიან დარიელასა,
ლაღის მდინარის პირზედა.
ნატყვიარი სჭირს გულშია,
სისხლი ამასდის ნჩქლევითა,
ხელში უჭერავ ფრანგული,
გადატეხილი ქნევითა.
შენ რძეს ვენაცვლე, დიაცო,
კარგი გაგიზრდავ რწევითა!“

(ვაჟა-ფშაველა, ტ. I, 1964:36)

ვაჟა ეხება ყველა გმირის, თუ გმირთა კრებულის მამაცობის ამსახველ დეტალებსაც ლექსში: ,,ომის წინ ჯარის სიმღერა“.

პოეტისათვის მნიშვნელოვანია წინაპრის ანდერძი, რომელიც შეესატყვისება ,,ვაჟკაცის იდეალის მოდელს“ (,,პაპიჩემის ანდერძი“), რომელშიც მოხუცი შთამომავლობას უტოვებს დანაბარებს: 1, ,,ჭირში ყოფნის დროს გაძლება“, 2, ვაჟკაცი არ უნდა ტიროდეს, 3,მტერს ხმლით უნდა დახვდეს და მგელივით კვალზე მიჰყვეს, 4, სიცოცხლის ბოლომდე მტერთან შეტაკების სურვილი, რაც, ვაჟა-ფშაველას აზრით, არის ქართველის განუყოფელი თვისება .

ყველასათვის კარგადაა ცნობილი პოეტის პატარა ლექსი-,, არწივი“ და მისი შექმნის ისტორია. თავად ლექსში კი მხატვრული ოსტატობითაა გადმოცემული ვაჟკაცის ალეგორიული სახე - დაჭრილი ფრინველთა მეფე, მტრის ხელში ჩავარდნილი:

,,ვაჰ, დედას თქვენსას, ყოვებო,
ცუდ დროს ჩაგიგდავთ ხელადა,
თორო ვნახავდი თქვენს ბუმბულს,
გაშლილს , გაფანტულს ველადა!“

(ვაჟა-ფშაველა, ტ. I, 1964:48)

როგორც კიტა აბაშიძე აღნიშნავს: ,,დიდი გრძნობა რამდენიმე სიტყვაშია გამოთქმული და ამით ინტენსიური ძლიერება ემატება. თქმა არ უნდა, არწივი მისი საყვარელი სამშობლოა, თუმცა ერთი კრინტითაც არ გვაგებიებს ამას, თუმცა დაჭრილი არწივი შეიძლება დიდი ნიჭის, დიდი გმირის გამომსახველიც იყოს, რომელიც დასუსტების დროს უბადრუკთა და ლაჩართა გასაწეწად გამხდარა.“(კიტა აბაშიძე, 1962:388)

ვაჟას ერთ პატარა უსათაურო ლექსში აღწერილი აქვს, როგორი არ უნდა იყვეს ნამდვილი ვაჟკაცი. იგი ისეთ ძლიერებას, რომელიც სუსტის დაჩაგვრას ემსახურება, არ მიიჩნევს გმირისათვის შესაფერ საქციელად:

,,კაცი ბეჩავის მჩაგრავი
სად გაგონილა გმირიო!

.....

ოღონდ ვაჟკაცი ვარგოდეს,

რა უშავს ჩოხის ძველასა.“

(ვაჟა-ფშაველა, ტ. I, 1964:58)

როგორც პოეტს სჩვევია, იგი თავის შემოქმედებაში ხშირად უსულო საგნებს აამეტყველებს ხოლმე. ერთ-ერთ მათგანში იგი გვიხატავს ხმლის წუხილს, რომელიც განიცდის ,,უქმად გდებას“, რადგან უკვე დრო გამოიცვალა და აღარაა საჭირო, ამიტომაც ჰკიდია დუქანში საყოფაცხოვრებო ნივთებს შორის და სევდით იხსენებს თავის ვაჟკაცი პატრონის გმირობას, რომელიც ომში მამაცურად დაეცა სამშობლოს დაცვისას, იხსენებს იმ ქართველს, რომელიც ლესავდა ხმალს და ჩუმად ღიღინებდა :

,,გასჭერ, გამიშვი წინაო,

თუ სახელს არ მაშოვნინებ,

როგორ დავბრუნდე შინაო!“

(ვაჟა-ფშაველა, ტ. I, 1964:84)

სწორედ მოყვანილ სტრიქონებში გამოსჭვივის ის სათქმელი, რასაც უნდა ფიქრობდეს ნამდვილი ვაჟკაცი, მამაცი მებრძოლი შეტაკებისას.

ვაჟკაცისათვის მისი თოფ-იარაღი და ნაბადი, როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ უმთავრესი უნდა ყოფილიყო. ასევე ვაჟკაცობის სიმბოლოდ ითვლებოდა კარგი ცხენი. სწორედ ცხენს გლოვობს, ვაჟას ერთ-ერთი ლექსის თანახმად, ვაჟკაცი რაზიკაული, რომელსაც ამ ჭკვიანი და ერთგული მეგობრისთვის სამარე გაუთხრია:

,,ცხენს გაუთხარა სამარე,

დამარხა თავის ხელითა,

დაულბო ლურჯას ლოგინი,

მომსქდარის ცხარის ცრემლითა.

არ გახდის სვავთა საგლეჯად,

ყორნების საწიწკნარადა

.....

ცხენს გლოვობს რაზიკაული,

იმიტომ არის ავადა!“

(ვაჟა-ფშაველა, ტ. I, 1964:86)

როგორც ლექსიდან ვიგებთ, ვაჟკაციც შეიძლება ღვრიდეს ცრემლებს და დარდმა დააავადოს ერთგული მეგობრის გამო. არ აქვს მნიშვნელობა იმას, მეგობარი ადამიანია, თუ არა.

ვაჟა-ფშაველას ლირიკაში განვითარებული თემა სხვადასხვა კუთხით იშლება მის პოემებში. მიუხედავად რთული ცხოვრების პირობებისა, პოეტმა შეძლო შეექმნა ოცდაჩვიდმეტამდე პოემა, მათგან ზოგი ისტორიულ თემატიკაზეა შექმნილი, ზოგი საყოფაცხოვრებოზე, თუმცა ძირითადი-წარსულსა და აწმყოში გმირობა-ვაჟკაცობის თემას ეხება. ჩვენ საანალიზოდ შევარჩიეთ პოემები: ,,გოგოთური და აფშინა“, ,,ალუდა ქეთელაური“, ,,კოპალა“, ,,ბახტრიონი“, ,, სტუმარ-მასპინძელი“, ,,ივანე კოტორაშვილის ამბავი“, ,,სისხლის ძიება“, ,,გველის მჭამელი“, ,,ძაღლიკა ხიმიკაური“, ,,მანდილი“.

მკვლევარი აკაკი გაწერელია განსაკუთრებით გამოკვეთს იმ ფაქტს, რომ: ,,ახალი და განუმეორებელი რამ, რაც ამ თემებსა და მოტივებს შესძინა ვაჟამ თავის პოემებში, არის - იშვიათი დინამიზმი, მათი მოქმედების გაშლა და ხასიათისა და ვნებების ასახვა გარემომცველ სინამდვილესთან უშუალო კავშირში. მაგალითად ,,კარგი ყმა“ პოემებში დახასიათებულია არა პირდაპირ, ავტორის მონოლოგის ან მიმართვის ფორმებში, არამედ მისივე (ყმისავე) საქციელით, თავგანწირვისა და ვაჟკაცობის კონკრეტული გამოვლინებითა და ა.შ...“(ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. IV, 1974:426) აქვე გამოკვეთს აკაკი გაწერელია თემებს, რაც განვითარებულია ვაჟას პოემებში: ა),,კარგი ყმის დამახასიათებელ აბრისს“(რაც ჩვენს მიერ იქნა გამოყენებული III თავის სათაურში), ბ) ,,იმავე გმირის პატრიოტულ ბუნებას“, გ) ,,საზოგადოებასთან, თემთან კარგი ყმის ურთიერთობას“(ა. გაწერელია) ამიტომ ეს თემა განსაკუთრებულად აქვს წარმოდგენილი პოემებში: ,,მოხუცის ნათქვამი“, ,,გიგლია“, ,,გოგოთურ და აფშინა“, ,,მამიდის დანაბარები“ და ,,მანდილი“

1886 წელს დაწერილ პოემის ,,მოხუცის ნათქვამი“, სიუჟეტი მოგვითხრობს მთიელების მონაწილეობაზე კრწანისის ბრძოლაში აღა-მაჰმად-ხანის ურდოების წინააღმდეგ. აქვეა გულისტკივილი გარდასულ დროებაზე:

,,ჩემს დროში ლამაზ ვაჟკაცი
არ იყო ქალის პირისა,

არამედ შავი, მამაცი,

მუხლ-მგელი გული რკინისა.

.....

აფსუსო, ძველო დროებავ!..

არ დაბრუნდები, ნეტარა?!“

(ვაჟა-ფშაველა, 1990:6)

,,თუ როგორი იყო ვაჟას წარმოდგენით კერძოდ ფშაველი კაი ყმა, მომხდურ მტერთან ბრძოლისას, ამას გვიხატავს მისი პოემა-,,გიგლია“(1886წ). ეს პოემა გადმოგვცემს ფშაველი გმირის ვაჟკაცობას ლეკებთან ბრძოლაში“ (ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ.IV, 1974:427) ,,უწინდელს დროში გმირს ომი ქორწილი ეგონა“ .

პოემა გადმოგვცემს, თუ როგორ წავიდა გიგლია ლეკებისაგან გოდერძაანთ ქალის - თინას გამოსახსნელად. როგორც მკვლევარი აკაკი გაწერელია აღნიშნავს: ,, მთელი პოემა მოვარდნილი ცეცხლის ნიაღვარს გვაგონებს. ამბის ცენტრშია გიგლიას პიროვნება, მისი უსაზღვრო ვაჟკაცობა და თავგანწირვა“. (ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ.IV, 1974:428). „გმირი ვაჟკაცი ,,გიგლიაში“ წარმოსდგება, როგორც მთლიანი პიროვნება, თავისი სამშობლოსა და თემის ღირსეული შვილი, მამულის მცველი, გამბედავი და უშიშარი, მტერზე კვეთებით მიმსვლელი.“(ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ.IV, 1974:429)

კარგ ყმას გვიხატავს აგრეთვე პოეტი თავის ორ პოემაში: ,,მამიდის დანაბარები“ და ,,მანდილი“, სადაც, აკაკი გაწერელიას აზრით, მოჩანს ვაჟკაც-მთიელის მთლიანი ბუნება. პოემაში ,,მამიდის დანაბარები“ , გმირმა ალუდიმ შური უნდა იძიოს მტერზე. ალუდი შინ მივარდნია მტერს და მოჭრილი მკლავით მიდის მამიდასთან. როგორც მკვლევარი ა. გაწერელია შენიშნავს: ,,ნაწარმოებში დამუშავებულია სისხლის აღების მოტივი, მაგრამ იგი არაა გაღრმავებული. ეთნოგრაფიული მასალა აქ მხოლოდ მხატვრულადაა გადმოცემული. პოეტს არ უცდია საკმაოდ ცნობილი თემის დამუშავება ფსიქოლოგიურად რთულ ასპექტში. იგივე შეიძლება ითქვას მანდილის შესახებაც.“ (ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ.IV, 1974:432)

პოემაში ნაჩვენებია სწორედ, თუ როგორ გადადის ხალხურ სიმღერაში გმირობის ამბავი. აგრეთვე წარმოდგენილია კიდევ ერთი ძველი ქართული ტრადიცია, ვხედავთ, თუ როგორ ჩაიჭრა მწყემსი ქალის მანდილი მოჩხუბარ ვაჟკაცთა შორის და რა შედეგი გამოიღო ამან.

ზოგიერთ პოემაში გმირობა-ვაჟკაცობა მითოსურ საბურველშია გახვეული, ზოგგან-ტრადიციულ ადათ-წესებთან კავშირში.

მკვლევართათვის განსაკუთრებით საინტერესოა მითოსთან ვაჟა-ფშაველას დამოკიდებულების საკითხი, რაზედაც ჯერ კიდევ გრიგოლ რობაქიძე ამახვილებდა ყურადღებას, ხოლო კონსტანტინე გამსახურდია აღნიშნავდა: ,, ვაჟამ გაგვიხსნა ახალი და ახალი საუნჯენი ხალხის ხსოვნაში დაგროვილი მითოსისა“ (იუზა ევგენიძე, 2000:54) ამასვე აღნიშნავდნენ აგრეთვე გერონტი ქიქოძე და გრიგოლ კიკნაძეც. მითოსური თემა ვაჟა-ფშაველასთან საფუძვლიანადაა შესწავლილი.

პოემა ,,გველის მჭამელი“ დაიწერა 1901 წელს. აპ. მახარაძის აზრით, მასში გამოყვანილი მთავარი გმირი, მინდია, განასახიერებს ბუნებასთან დამოკიდებულებაში საზოგადოების საერთო შეგნებაზე მაღლა მდგომა ადამიანს, რის გამოც იგი ტრაგიკულ პიროვნებად ქცეულა. ამით იგი უპირისპირდება როგორც საკუთარ ოჯახს (ცოლს), ისე თემსაც. ქაჯებისაგან მინდიას მიერ მიღებული სიბრძნე ბუნების შეცნობისა იკარგება თემისაგან უხეში პრაქტიციზმის მოთხოვნით. მინდია გმირია, მაგრამ დამარცხებული, რომელმაც დაკარგა წინასწარმეტყველების უნარი, ასე რომ, მტერთან მეომარი ხევსურების ,,სისხლის თოკი მთიდამა დაბლა ჭალამდე გაება“ . მინდია მიხვდება, რომ წინასწარმეტყველების უნარი დაკარგა, თანამოძმენი შეცდომაში შეიყვანა და ამიტომ შუაგულ ბრძოლაში იწევს, თითქოს სიკვდილს ეძებს. ამის გამო ხევსურები შეკრავენ მას და უსაფრთხო ადგილას მოათავსებენ. მინდია, თავისი შეცდომითვე გამწარებული და შეურაცხყოფილი, გადაწყვეტს დამარცხებულ თანამოძმე ხევსურებს შეწიროს თავისი სიცოცხლეც. იგი თავს იკლავს. წესით გმირი არ უნდა იკლავდეს თავს. ვაჟკაცი , რომელიც თავის მოკვლას დააპირებს, გმირი არ არის, მაგრამ მინდიას სიკვდილი უტოლდება შერცხვენილი ვაჟკაცობის მაგიერ არსებობის შეწყვეტას, მოშორებას ლაქისა სულიდან და სახელიდან.

,,ქუდს იხდის... სიტყვა ვერა სთქვა,

ხმლის ტარს შაეხო ცერითა,
ამოიწვადა ქარქაშით,
გულს მიიწვდინა წვერითა.
მკერდიდან სისხლი, ვით წყარო,
გადმოუვიდა ჩქერითა.“

(ვაჟა-ფშაველა, 1990:418)

მინდიას სიკვდილს თემი არ ეხმიანება არც თვითმკვლელობით, არც თავგანწირვით. მინდია გრძნობს სინდისის ქენჯნას და ამიტომ იკლავს თავს. პოემაში მითოსური ძირითადად ქაჯებისაგან ზებუნებრივი ძალის-სიბრძნის და წინასწარმეტყველების უნარის მიღების საკითხია.

როგორც იუზა ევგენიძე შენიშნავს: ,,ვაჟა მინდიას მაგალითზე გვიჩვენებს, თუ რაოდენ ღრმა სოციალური მიზანსწრაფვის შეიძლება იყოს არაჩვეულებრივი მონაცემების მატარებელი, ინტუიციური უნარით დაჯილდოვებული პიროვნება.“ (ქართული მწერლობა, [ვაჟა-ფშაველა] ტ.XVII, 2000:556). კოპალას თემას ეძღვნება პოემა ,,კოპალა“, სადაც იგი გამოყვანილია როგორც დევებთან მებრძოლი. აქ წარმართული და ქრისტიანული ერწყმის ერთმანეთს. დამარცხებული დევი ბეღელა კოპალას თავისივე იარაღს დაუთმობს. ბეღელას სურს , რომ:

,,მინდა ღმერთს შენებრ მივაჩნდე,
შენებრ სიწმინდის მქონეა;
დევობის ძალა რომ მერთმის,
მინდა სხვად მქონდეს ღონეა.
უძალღონობას, სისუსტეს
ვერ თვისობს ჩემი გონია.“

(ვაჟა-ფშაველა, 1990:90)

ბეღელა ითხოვს ,,მეშველად“ დგომას, თუმცა კოპალა არ ენდობა ბოროტ დევს და ჯვრით სცდის მას. წმინდა ჯვრის საკოცნელად წინ წაწეული ბეღელა ზეციდან გადმოსული ცეცხლით დაიწვება. აქედან ვიგებთ პოემის მთავარ სათქმელსაც: მტერი, თუნდაც იარაღ და ძალა წართმეული, მაინც შეიძლება დარჩეს ბოროტად. ამიტომ არ ენდობა კოპალა ბოროტს. ნაფიქრის რეალურობაში კი ღვთის ძალა დაარწმუნებს.

გმირობის თემას ეხება მისი პოემა ,,ამბავი ივანე კოტორაშვილისა“, ნაწარმოების სიუჟეტი ვითარდება ერეკლე მეფის ეპოქაში. პოემის მთავარი გმირია ივანე კოტორაშვილი-,,ლეგა მიმინო მთისაო“, რომელიც გამოირჩეოდა ფიზიკური სიძლიერით, მაგრამ იმდენად იყო გატაცებული საომარი მოქმედებით, რომ თითქოს:

,,დედასა სიმშილითა ჰკლავს,
მტერსკი თამამად ებრძვისა“

(ვაჟა-ფშაველა, 1990:300)

აღნიშნული საკითხი ირკვევა პოემის VII თავში, როდესაც დედა უჩივის ივანეს მეფე ერეკლესთან, რათა იარაღი აჰყარონ, იქნებ მაშინ მაინც მიხედოს თავის დედას, რომელიც ვითომდა შიმშილით კვდება. მეფე თანხმდება მოხუც ქალს, მას ფულს მისცემს, ხოლო ივანეს თავისთან დაიბარებს. ივანე კოტორაშვილი კი ახსნის, მის დედას ეს მიზეზი მხოლოდ იმიტომ აქვს, რომ უბრალოდ შვილის ახლო ყოფნა უნდა. ხოლო თავად ივანეს კი მეფის სამსახურში ყოფნა მიაჩნია კაცობად, რადგანაც:

,,შენც სამსახურსა სთხოულობ,
ქვეყანა უფრო მეტადა.
ლეკებისათვის გამხდარან
ჩვენები მოსახვეტადა.
მაგრამ ჩემს ძმებსა ურჯულოთ
ვერ მივცემ დასაკვნეტადა.“

(ვაჟა-ფშაველა, 1990:303)

მეფე ბრძანებს, რომ ივანეს აჰყარონ იარაღი. ბრძანების წინ ივანე ვერ მიდის და დამორჩილდება ბედს. თუმცა თვლის, რომ მას მეფემ სამარცხვინო ბეგარა დაადო. ეს კი ვაჟკაცისთვის სიკვდილის ტოლფასია. მეფემ სცადა ეს უბრალო ხუმრობაში გაეტარებინა. დაადევნა გმირს კაცი, რომ წაეღო აბჯარი, თან აპირებდა სხვა ხმალიც ეჩუქებინა მისთვის, თუმცა ივანე სულ სხვა გზით წასულიყო. პოემის VIII თავში გადმოცემულია, თუ როგორ შეეჩეხა ივანე ბელადის მეთაურობით ჩუმად შემოპარულ ლეკებს. ივანე გამწარებულია, რადგან იგი უიარაღო გადაეყარა მტრებს. გმირი გულს იმჯიღავს და თავის ,,ფრანგულს“ იხსენებს, თუმცა მალევე გამოძებნის გამოსავალს:

,,არაუშავსო“,- წამოდგა,

მოძებნა სიპი თხელია,
,,იმით გამოჭრა კომბალი,
კარგა მოზრდილი, სქელია.
და ამ ჯოხითა ორმოც ლეკს
დღე დააყენა ცხელია.“

(ვაჟა-ფშაველა, 1990:306)

,,ასეა, უიარაღომ
იღბლით ურჯულოთ დაჰრია,
ასეა, ვისაც უფალი
სწყალობს და მასთან არია.
.....
აჰკიდა ჯორას, დაბარგა,
წინ თვით დაუძღვა ხარია,
და მეფის კარზე მივიდა,
დინჯად ეზოში მდგარია.
იძახის: ,, მეფევ, აბჯარი
წაიღე, მოიხმარია,
მაინც ხომ გიჭირს, მიიღე,
მე ხომ არ შემიწყნარია“.
ღმერთმა აცხონოს ივანე,
ხომ აღარ არი, მკვდარია.“

(ვაჟა-ფშაველა, 1990:307)

აქ აშკარაა ავტორი ხალხურ გადმოცემასაც უნდა იყენებდეს. პოემას ქვესათაურად აქვს ,,კარახელის ნაამბობი“. თავდაპირველად ივანესათვის თითქოს თავისი ხმალი და იარაღი იყო ვაჟკაცობის სიმბოლო, თუმცა შემდეგ ვხედავთ, რომ ვაჟაკაცობა თავად მასშია. თავისი მოსაზრებულობის წყალობით, იგი მაინც მოძებნის სიტუაციიდან გამოსავალს. ჩვენდაუნებურად გვახსენდება ძველი ქართული ანდაზა ,,ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსა!“. თუმცა ამ შემთხვევაში ,,ღონეც“ გვაქვს და ,,ხერხიც“

თავად კარახელი სევდიანად იწყებს პოემის თხრობას, ამის მიზეზი კი ის არის, რომ დრო შეიცვალა, რომ მის დროში:

,,არა, თუ კბილმოსაჭიდი
გაუჩნდა ერთსა სხვასთანა,
მირბიან თავ-გადაგლეჯით
სუდია-ნაჩალიკთანა.
ჩივიან, ფიქრად ისა აქვთ,
ერთმა მეორე გათელოს
და ამით კაი ბიჭობა
ვითომ ,,თავის მტერს“ აჩვენოს.
დიახ, ,,მტერს“- ქათმის მომკვლელსა,
ან ერთი კვერცხის გამტეხსა,-
.....
აი, ეს თქვენი ნამუსი.
ჩემი დრო ახლანდელთანა,
სადარად არის აფსუსი.“

(ვაჟა-ფშაველა, 1990:285)

გულისტკივილი, რომელსაც კარახელი გამოთქვამს, წარმოაჩენს ახალ ყოფას ძველი გმირობა-ვაჟკაცობის საპირისპიროდ:

,,ეჰ, მორჩა ძველი დროება,
უკეთურებამ დალია.“

(ვაჟა-ფშაველა, 1990:285)

ეს კი ერთგვარად ეხმაურება ღრმა წუხილს ახლანდელ დროში ასეთი ,,ვითომ ვაჟკაცობის“ დამკვიდრების გამო.

მამაცობა და ვაჟკაცობად ვაჟა-ფშაველას დროში შეიძლება ქურდობა-ყაჩაღობადაც ჩათვალონ პრაქტიკოსმა ადამიანებმა. რაც კარგად მოჩანს პოემაში ,,გოგოთური და აფშინა“ . მინდოდაურის გვარის ბლოელი აფშინა, რომელიც:

,,სცარცვავს რჯულიან-ურჯულოს,
მარჯვედ მომხმარე ფარისა,

ჭერხო აავსო უნჯითა,

როგორც სალარო ხანისა.“

(ვაჟა-ფშაველა, 1990:39)

ეს მაშინ , როდესაც თავად მეფეც კი აღიარებს, რომ მეორე გმირი გოგოთური, რკინის გულიანი ვაჟკაცია:

,,რამდენჯერ მარტო შაბერტყის

მტერი ქვიშაზე მეტია.

ომში სიკვდილს ჰგავს გოგოთურ,

შეუბრალები, უკვდავი,

მტერსა ზარსა სცემს უზომოს,

როგორაც სულთამხუთავი...

ისე აგორებს მტრის რაზმებს,

როგორც ნავს ტალღთა დენანი,

ალბათ, სწყალობენ ვაჟკაცსა

ის ანგელოზნი ზენანი!“

(ვაჟა-ფშაველა, 1990:40)

მაგრამ დრო შეიცვალა და გოგოთურს საგმირო საქმე გამოელია. იგი თვლის , რომ :

,,ნადავლით, ნაყაჩაღარით

კაცის დარჩომა ძნელია!“

(ვაჟა-ფშაველა, 1990:40)

და თუმცა გოგოთური თავს მართლად სთვლის, ცოლი შენატრის ყაჩაღ აფშინას, რომელიც, ფუფუნებით ცხოვრობს. გოგოთურის ცოლი თვლის, რომ უქმია მისი ქმრის თოფ-იარაღი, ბასრი ფრანგული, ამიტომაც მოუწოდებს ვაჟაცს:

,,წადი, შენც ვინმე გაცარცვე,

არ გინდა სარჩო ნეტარა?

ქისტებს თავები გაჰბალთე,

ხევსურთ დაადე ბეგარა.

ამბობენ, აფშინაის ცხენს

ტანი სულ ვერცხლით ეფარა.“

(ვაჟა-ფშაველა, 1990:42)

გოგოთური კი ფიქრობს, რომ:

,,ხმლის ქნევას მადლი მაშინ აქვს,

როცა ხმალს ხედავ მტრისასა!“

(ვაჟა-ფშაველა, 1990:42)

გოგოთური, თუმცა ჩაფიქრებული, მაინც აიღებს საჭურველს და წავა... კოპალას ქვასთან [,,დღეს ეს ქვა არაგვის პირასაა, იქ, სადაც კოპალას სალოცავია და ჰქვიან ,,კოპალას ქვა“ (ვაჟა-ფშაველა, ტ.IX, 1964:78)] ის შეხვდება აფშინას. კოპალა მთის ხალხთა მითოსური გმირია, ამიტომ პერსონაჟთა შეხვედრის ადგილი შემთხვევითი არაა. აფშინა გოგოთურის გაძარცვასაც მოინდომებს, იმის მიუხედავად, რომ გოგოთური მას, გამოცდის მიზნით, სთხოვს არ შეურაცხყოს მისი ვაჟკაცობა და ყმად იქნება მისი! აფშინას ურცხვ საქციელს გოგოთურის რისხვა მოყვება:

,,კიი ყოფილაა ადვილი

სხვისად მიცემა აბჯრისა,

სხვის წელზედ შინჯვა თვალითა

თვისი ხმლისა და ხანჯრისა?

კაცისად იარაღისა

აყრა სიკვდილთან სწორია.

ეხლა-ღა მოხვედ ჭკვაზედა

ეხლა მაიეც გონია?

ხომ იცი, საქართველოა,

ყველა კუთხიდან მტრიანი,

მგზავრს მიშვებ უიარაღოს,

კაცი არა ხარ ღვთიანი?“

(ვაჟა-ფშაველა, 1990:48)

და თუ მართლაც უნდა ხმლის ქნევა, მას გაჰყვეს და აჩვენებს, სად უნდა იომოს. აფშინას შერცხვება თავისი საქციელის და სთხოვს პატიებას გოგოთურს. ისინი ,,ფიცვერცხლით“ შეკრავენ თავის ძმობას. ოდესღაც ცნობილი ყაჩაღი აფშინა პოემის

დასასრულს, სირცხვილისაგან ავად გამხდარი, სახლში შეიკეტება და თვლის, რომ მისი ვაჟკაცობა მოკვდა:

,,ამბობენ: ქვითინი მოდის
ღამ-ღამ ბლოს-თავით კაცისა:
,,ვაჰ, მკვდარო ვაჟკაცობაო,
ცოცხლად დამარხვავ თავისა!“

(ვაჟა-ფშაველა, 1990:53)

ხატობის დროს აფშინა, ხევისბერის პირით, მფარველად იწვევს წმინდა გიორგის და მოუწოდებს მინდის, მამუკას, ხირჩლას მტერზე გამარჯვებისაკენ.

ვაჟკაცობის ერთერთ დასტურად მთაში მტრისათვის ,,ჯავრის არ შერჩენა“, სისხლის აღებაც იყო.

ფოლკლორისტი ტრისტან მახაური სტატიას უძღვნის შურისძიების მოტივს კავკასიურ ბალადებში, რომელიც განსაკუთრებით გავრცელებული იყო XVII საუკუნიდან: ,,სისხლის აღების წესი განსაზღვრავდა შურისძიების აუცილებლობას, ის იყო დაკანონებული ადათობრივი ნორმა. მტრულ ურთიერთობაში სამართლიანობის აღდგენისა და დაცვის ერთადერთი პირობა. მოსისხლედ ითვლებოდა უცხოტომელიც და თანამემამულეც, ვინც ამა თუ იმ პიროვნების ოჯახის წევრს ან ნათესავს მოკლავდა. დაზარალებულს ხალხში აღარ გამოესვლებოდა, თუ ის სისხლს არ აიღებდა. სისხლის აღებას ემატებოდა მარჯვენა მკლავის მოკვეთის ტრადიციაც, რომელიც უძველესი წარმართული რწმენა-წარმოდგენებიდან იღებდა სათავეს.“(ტრისტან მახაური, 2016:162). სწორედ ეს არის წარმოდგენილი ვაჟა-ფშაველას პოემაში სისხლის ძიება. ამ პერიოდში არსებობდა დაღესტნური ბალადა ,,სისხლის ძიებაზე“, რომელიც ვაჟასთან პოემად იქცა. ორივე ტექსტი ერთმანეთს შეუდარა ფოლკლორისტმა თეიმურაზ ქურდოვანიძემ, რომელმაც, აღნიშნა, რომ: ,,ვაჟა-ფშაველას გმირი თავისი არსით განსხვავდება დაღესტნური სიტყვიერების სახელოვანი გმირისაგან... ვაჟას მიერ დაღესტნური ლეგენდით სარგებლობა სიუჟეტურ-შინაარსობრივ დონეზე უნდა შეფასდეს. პოემის იდეურ და აზრობრივ განსხვავებულობას ხალხურ ლეგენდისაგან, ხელს უწყობს მთავარი პერსონაჟის მოქმედებათა საგაგნგებო მოტივაციები, ამბის თავისებური გააზრება.“(თეიმურაზ ქურდოვანიძე, 1991:125). დაღესტნური ხალხური

ნაწარმოების გმირი შურს იძიებს იმის გამო, რომ ქორწილში დაპატიჟების მიზეზით მიიტყუებს გმირ სტუმარს, რომელსაც შეიპყრობს, შებოჭავს და კოცონზე დაწვას მოუნდომებს. ვაჟას პოემის პერსონაჟი-ასლანი ცდიობს ქიჩირ-ბეის სასახლეში მოტყუებით მიყვანას. თ. ქურდოვანიძის აზრით, ასლანი არა მარტო პირობას და სტუმარ-მასპინძლობის წესებს არღვევს, არამედ ითვლება სამშობლოს გამყიდველად. ის ბრბოს უბიძგებს ბოროტებისაკენ. პოემაში ერთ-ერთი მთავარი ეპიზოდი მაშინაა, როდესაც, ასლანის ცოლი შეიყვარებს ცეცხლში ჩასაგდებად განწირულ ქიჩირს ვაჟკაცობისთვის და გადაწყვეტს, თვითონაც თან ჩაჰყვეს. გმირს სიამოვნებს მისი ღირსების დაფასება. პოემაში ვაჟა გმირობა-ვაჟკაცობას ,,ბიჭობასთან" აიგივებს.

,,ბიჭობა ათასნაირი
ათასი სახის მქონეა.
ვისაც სიკვდილი აშინებს
ის ბიჭად არა მგონია.
თავის გაწირვა ადვილად
ვაჟკაცთა სულის ღონეა.
ვაჟკაცთ დაიცვეს ქვეყანა,
გამრავლდეს იმათ ჯიშია;
ფლიდთა, სულ-მდაბალთ ჯილაგი
რომ გასწყდეს, ისა სჯობია."

(ვაჟა-ფშაველა, 1990:339)

ქისტების მტერს, ხევსურ ზვიადაურს ჯარეგაში ყველა იცნობს. ამიტომაც მას, - ქისტი ჯოყოლას სახლში მყოფსა და მასპინძლის მიერ სტუმრად მიღებულს, ლაჩრულად დაატყვევებენ. ჯოყოლასათვის თავიდან უცნობია, რომ სტუმარი მისი ძმის დარლას მკვლელია. იგი უამინდობის დროს ზვიადაურს მიიღებს თავის ოჯახში სტუმრად და მისცემს თავშესაფარს. სტუმრის სიცოცხლეზე კი, ადათ-წესების თამახმად, იგია პასუხისმგებელი, მოვალე. (,,სტუმარ - მასპინძელი") ზვიადაურს ჯარეგას მაცხოვრებელნი დაიჭერენ და შეკრულს წაიყვანენ დარლას საფლავზე, რათა ადათის თანახმად მიცვალებულის საფლავს ზედ დააკლან მისივე მკვლელი. მათ იმედი

აქვთ, რომ ზვიადაურს სიკვდილის შიში გაალაჩრებს, ამის მერე იგი მონა იქნება დარლასი საიქიოს. თუმცა ქისტებს მოლოდინი გაცრუვდება:

,,არ იდრიკება ვაჟკაცი,
არ შეიხრიდა წარბსაო.
გაოცდნენ ქისტის შვილები,
ხალხი დგებოდა ყალხსაო.“

(ვაჟა-ფშაველა, 1990:246)

ზვიადაური ვაჟკაცურად შეხვდება გარდაუვალ სიკვდილს. ზვიადაურის სიმამაცე ჯოყოლას ცოლში აღტაცებას იწვევს. ქალს ეცოდება სიკვდილისათვს ვაჟკაცი. იგი ჩუმად დაიტირებს მოკლულს და მალავს ცრემლიან თვალებს ქმრის რიდით, თუმცა ჯოყოლა აღაზას ეუბნება:

,,იტირე? მადლი გიქნია,
მე რა გამგე ვარ მაგისა?
დიაცს მუდამაც უხდება
გლოვა ვაჟკაცის კარგისა.“

(ვაჟა-ფშაველა, 1990:255)

ასევე გმირულ - ვაჟკაცურად არის დახატული პოემაში ქისტი ჯოყოლას პერსონაჟი. მისი ღირსება პირველად მაშინ იკვეთება აშკარად, როდესაც იგი იცავს სტუმრად მიღებული ძმის მკვლელის სიცოცხლეს თანამოძმეთაგან, ხოლო მეორედ მაშინ, როდესაც იგი ცდილობს დაუმტკიცოს ქისტებს, რომ არაა მოღალატე. როგორც მკვლევარი აპოლონ მახარაძე, აღნიშნავს: ,, კაცი, რომელიც თემის მიერ დასჯილ იქნა ერთი ხევსურის მასპინძლობისა გამო, ხევსურულ მოლაშქრეთა დიდ გუნდს მარტოდმარტო შეება, რადგან ეს ლაშქრობა უკვე მის სამშობლოს საერთო მტრებს ემუქრებოდა. ამ მომენტში ჯოყოლა წარმოგვიდგება, როგორც ვაჟკაცი, რომელიც:

კლდიდამ გადუხტა უეცრად
ქისტი ხმალმოღერებითა,
აკვირვებს ქისტის ლაშქარსა
მტრის ჯარის მოგერებითა.

ჯოყოლა მშობლიური ქვეყნისა და ხალხისათვის თავდადებული გმირია, რომელმაც შურისსაძიებლად მოსულ ხევსურებთან ბრძოლას სიცოცხლე შესწირა.“(აპოლონ მახარაძე, ტ. II, 1994:442)

საბჭოურ ეპოქაში მკვლევარნი ხშირად ყურადღებას ამახვილებდნენ თემისა და პიროვნების დაპირისპირების საკითხებზე ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში და ამის მაგალითად მოჰყავდათ ,,სტუმარ-მასპინძელი“ და ,,ალუდა ქეთელაური“, ასევე ,,გველის ჭამელიც“. როგორც მკვლევარი აპ. მახარაძე აღნიშნავს: ,,ეს დაპირისპირება ხდება თვით თემის შიგნით. თემის ადათ-წესებზე არავითარი გარეშე ძალა (ვთქვათ სახელმწიფოებრივი-პოლიტიკური მმართველობა) არ მოქმედებს. აქ საზოგადოებისა და პიროვნების ბრძოლა იწყება და მთავრდება თვით თემის ფარგლებში“(აპ. მახარაძე, ტ. II, 1994:429-430). ამდენად მკვლევარი საკითხის დაყენებას ათავსებს თვით თემის შიგნით, რის საფუძველზეც, თემი იცავს თავის უძველეს კანონს-,,დამარცხებული მტრისათვის მკლავის მოკვეთის ტრადიციას“. ამ შემთხვევაში მისი დარღვევა ლაჩრობის ტოლფასი იყო. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ძველეგვიპტური ტრადიციაც ითვალისწინებს ნებისმიერი მტრისათვის მკლავის მოკვეთას. იგივე აზრს ავითარებდნენ საბჭოური ეპოქის სხვა ლიტერატურათმცოდნენიც (გრ. კიკნაძე).

ჩვენ ვცადეთ რამდენადმე განსხვავებულად წარმოგვედგინა ეს საკითხი. როგორც ნაწარმოების შინაარსიდან ირკვევა, ხევსურთა ცხენების მოპარვის მოთავეებიდან ალუდა ქეთელაური - თემის გამორჩეული წევრი, ამარცხებს და მკლავს კვეთს ქისტი მუცალის ძმას, თავად მუცალთან შეტაკების დროს კი, ხედავს რა ქისტის წარმოუდგენელ სიმამაცეს, ეს აღაფრთოვანებს ვაჟკაცს. ამის გამო ქეთელაური კარგავს სურვილს მკლავი მოკვეთოს დამარცხებულ მოსისხლე მტერს და ამით იზეიმოს მასზე გამარჯვება:

,,ვერ გავიმეტე მუცალი
მარჯვენის მოსაჭრელადა,
გული გამიწყრა, არა ჰქნა,
რაც საქნელია ძნელადა:
,,დაე დააკლდეს სახელსა,
მე გირჩევნივარ მრჩევლადა“

(ვაჟა-ფშაველა, 1990:70)

იგი, მუცალის ვაჟკაცობისადმი დიდი პატივისცემით გამსჭვალული, გარდაცვლილს შეამკობს თავისი იარაღებით (რისი დასაკუთრების უფლებასაც მთის ადათ-წესით აქვს) და სინანულის შეგრძნებით ბრუნდება სოფელში. ასევე განაწყენდება ალუდა, როდესაც, გაიგებს, რომ მისმა მეგობარმა მინდიამ მოკვეთა მუცალს ხელი:

,,-თუ ხელის მოჭრა მდომიყო,
განვერ მოვჭრიდი თავადა?
ვერ გიქნავს კარგად, მინდიავ,
საქმე მოგირთავ ავადა.
.....
კაი ყმის მარჯვენა არი,
გული მეწვება ბრალითა.
რაად სწყრებიან ხევსურნი,
რაად სტყვრებიან ჯავრითა?!“

(ვაჟა-ფშაველა, 1990:75)

ამის გამო ისე ბრაზდება ალუდა, რომ გადაწყვეტს ჯიბრით არა მარტო კაი ყმის, არამედ არცერთი დამარცხებული მტრის მარჯვენა აღარ მოკვეთოს. მიუხედავად იმისა, რომ ბოლოს იგი უარს აცხადებს ,,მკლავის მოკვეთის წესის“ შესრულებაზე, პირველ ეტაპზე, როგორც ნაწარმოებიდან ვხედავთ ალუდა არ ეწინააღმდეგება ამ ტრადიციას. მან მხოლოდ ვაჟკაცს არ მოსჭრა ხელი მისი პატივისცემის ნიშნად. იგი გადაწყვეტს მოკლული მტრის სულის მოსახსენიებლად შეწიროს კურატი სალოცავს, რადგან აწუხებს ის განცდა, რომელიც მუცალის გმირობამ გამოიწვია მასში, ხოლო მან ვერ შეძლო მისი ვაჟკაცობის საკადრისად დაფასება.

კიდევ ერთ ისტორიულ თემას ვაჟა-ფშაველა შეეხო პოემაში ,,ბახტრიონი“, რომელიც მან უფრო ადრე შექმნა-1892 წელს, ვიდრე დაიწერებოდა აკაკის ,,ბაში-აჩუკი“. ნაწარმოებში წარმოდგენილია კახეთის 1659 წლის აჯანყების თემა და ამ აჯანყებაში მონაწილე თუშ-ფშავ-ხევსურები. აქ ისტორიულად არსებული და პოეტის ფანტაზიით შექმნილი გმირების მთელი რაზმია ნაჩვენები. მათ შორის არიან: ხოშარეული, გივი

სუმელჯი, ზეზვა გაფრინდაული, გმირი ქალი ლელა ბაჩლელი და ლუხუმი, რომლის მამაცობამ თვით ბოროტი გველიც მოაქცია:

,,მთელს ერთ თვეს ასე უვლიდა
ადამის ტომის მტერია,
ბოროტების გზა გაუშვა,
კეთილი დაუჭერია.
.....
ამბობენ: შააძლებინა
სნეულსო ფეხზე დადგომა,
ეღირსებაო ლუხუმსა
ლაშარის გორზე შადგომა!

(ვაჟა-ფშაველა, პოემები, 1990:203)

პოემაში მოჯამაგირე ღარიბი კვირიაც გმირია, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანია ღვთიურ მეომართა სახეები, რომელთა წარმომადგენელიცაა ლაშარი. ბრძოლის დაწყების წინ ქადაგი შემოუძახებს ლაშქარს:

,,უამს ჩვენს ლაშარის ჯვარსა,
მის კარს, რომ შავიყარენით,
ქვეყნის წამწყმედთან საომრად
მალევ რომ ავიყარენით.
წინ მომეგება სიცილით,
ბეღლის კარს მოდგა მზებურა,
ტანთ ეცვა ლურჯი ბეგთარი,
თავზე ჩაჩქანი ეხურა.
დიდია ჩვენი ბატონი,
მადლით ცას წვდება მთებურა;
თან გვატანს თავის ლოცვასა,
ფრანგული ამეეწურა;
გვიქადის გამარჯვებასა,
წინ წაგვიძღვება თავადა.“

(ვაჟა-ფშაველა, პოემები, 1990:172)

როგორც იუზა ევგენიძე იმოწმებს: გრ. რობაქიძის დაკვირვებით ესაა - ,,შინა სახე“ ,,ღვთიური შუაგული“, რომელიც თავის თავში იტევს მითოსურ წარმოდგენებს, ,,ჯვარით“, ,,ხატით“, ,,ლაშარით“ და სხვ. არის ,,მითიური განპიროვნება ამ შუაგულისა ცალკეულთა მისტიურ ხილვაში“ ,,ღვთიური შუაგული ტომის თუ თემის, მითიურ ლაშარში განპიროვნებული-აი საიდგან გამოდის ვაჟა. აქაა წყაროს თვალი, ენგადი-მისი პოეზიისა.“(იუზა ევგენიძე, ტ. I, 2000:54)

ამავე პოემაში გმირ-მეომრების გვერდით ვხედავთ ლაჩარ წიწოლას, რომელსაც ომის შეეშინდა. მისი საქციელი სამარცხვინო იყო, ამიტომ წიწოლამ თავი მოიკლა, რადგან მას - შერცხვენილს აღარ დაედგომებოდა აღარც თემში, აღარც მის გარეთ. საინტერესოა ის ფაქტი, რომ წიწოლას დედაც გლოვობს, მაგრამ არა შვილის სიკვდილს ტირის, არამედ მის შერცხვენილ სახელს.

ფშაველთა ცხოვრების სიუჟეტიდან არის აღებული ხუთმოქმედებიანი დრამა ,,მოკვეთილი“. აქ განვითარებულია სასიყვარულო სამკუთხედი. მზევინარზე შეყვარებული მათურელი ბახა, რომელსაც ჩონთა - ,,გამოჩენილი მოლაშქრე“ მოსტაცებს ,,გულის სწორს“, იძულებული გახდება ქისტეთში გადაიხვეწოს. გამწარებული, შურით ავსილი ბახა ფშავში შემოუძღვება ქისტებს ჩონთაზე შურის საძიებლად და საცოლის დასაბრუნებლად, მაგრამ ქისტები ჩონთას სხვა თანასოფლელებსაც შეესევიან. ბახა მოღალატეა. ის და ჩონთა თემის წინაშე წარსდგებიან. ჩონთა შეუნდობს ბახას თავის საქციელს, თუმცა ეს უკანასკნელი კლავს ჩონთას და დედასთან ერთად ქისტეთში გაიქცევა. ფშავლები სამაგიეროს გადასახდელად ქისტებისაკენ მიემართებიან. ბახა ხედავს, რომ ქისტები საცაა ლაშარს ჯვრის დროშას დაეუფლებიან. ბახა ხვდება, რომ ამის დაშვება მას არ შეუძლია და იგი ერთვება ქისტების წინააღმდეგ ბრძოლაში, სადაც იღუპება ქისტი მუსას ხელით. აქ ვხედავთ განვითარებულ წინააღმდეგობას პერსონაჟის სულში, სადაც სიყვარულის გრძნობით შეპყრობილი ბახა მარცხდება ჭეშმარიტი ვაჟკაცის ჩონთას წინაშე. პიესაში გამოკვეთილია ის ფაქტიც, რომ, პატრიოტული გრძნობა იმძლავრებს ბახას პერსონაჟში, როგორც ვაჟკაცში.

ვაჟა-ფშაველას არაერთი პროზაული ნაწარმოები ეკუთვნის. ერთ-ერთი მოთხრობა ეძღვნება ცნობილი ვაჟკაცის ხმალს. მითხრობა ,,ბათურის ხმალი“ 1913 წელს არის

დაწერილი. ბათური ფშაველი ვაჟკაცია, რომელიც ბრძოლის ველიდან გამოიყვანეს თანამოძმეებმა. საკაცეს თან მოსდევდა ,,რახტში ჩასმული“ ცხენი, რომელსაც ზედ ეკიდა ვაჟის აბჯარ-საჭურველი. თავად ბათური გამხდარა მსხვერპლი მტრის ისრის, რომელიც ჯაჭვისგან დაუფარავ ადგილას-იღლიის ძირში მოხვედრია. მოთხრობაში აღწერილია სასწაულებრივი მომენტი: ,,მაგრამ ხალხი ხმალზე უფრო ბევრს ლაპარაკობდა, ბათურის ხმალზე: ქარქაშიდან ამოდის და ქარქაშიანი სწუხს, მიცვალებულის მკერდიდან აქეთ-იქით გადად-გადმოდისო.

მოზარენი ხომ ამ ხმალზე დაბჯენილნი დასტიროდნენ მიცვალებულს, ყველა ერთად აღიარებდა: ხმალი თითქოს კვნესის, სულს იქცევსო.“ (ვაჟა-ფშაველა, ტ.VII , 1964:114.)

ვაჟა გადმოგვცემს ხალხის აზრს, რომ: ,,ყველაფერი თუ გაიყიდება, მხოლოდ მაშინ გაიყიდება ბათურის ხმალი“. ხალხი ბჭობს, თუ როგორ მოექცნენ ამ განსაკუთრებულ ხმალს, რომელიც ომში ყოველთვის სისხლმიუკარებელი ყოფილა. მხცოვანი რაინდის, ხეტეს, სიტყვებით: ხმლის საფლავში ჩატანება არ ივარგებს. იქნებ უმჯობესი იყვეს, რომ ეს ხმალი შემდგომაც გამოიყენონ შთამომავლებმა.

,,ჩვენ ძმას ბათუს იქნება ან შვილი გამოადგეს, ან შვილიშვილი გამოუჩდეს იმის ხმალს ღირსეული მხედარი, კარგი პატრონი. აიღოს ხელში და დადგეს საქართველოს დარაჯად, უპატრონოს რჯულს-საქრისტიანოს... საფლავში კი მიწამ უნდა შეჭამოს. ეს რას ეგვანება?“ (ვაჟა-ფშაველა, ტ.VII , 1964:116) მკითხავმაც არ მოიწონა ხმლის საფლავში ჩატანების იდეა.

სამ წელს იდო ხმალი ბათურის ლოგინში, ხოლო როდესაც გლოვა დამთავრდა, იგი მოწიწებით ჩამოკიდეს დედაბოძზე, უვლიდნენ, ჰპატრონობდნენ. ხმალი იყო სიმბოლო კარგი ვაჟკაცობისა.

სიზმარეულ ჩვენებაში, ღამით, ხმალი ამოდიოდა ქარქაშიდან და ჰაერში ნავარდობდა. ბათურის უფროსმა შვილმა იფიქრა, რომ ხმალი წუხდებოდა და იგი კიდობანში მოათავსა. თუმცა ხმალი არ ისვენებდა.

,,კიდობნიდან ისმოდა აბჯრის ჩხერა-ჟღარუნი, დაჭრილთა კვნესა, ხმა ლოცვა მუდარებისა, ცოდვათა მიტევებისა. ვინა ლოცულობდა ან ვინა ჰკვნესოდა, არავინ იცოდა, ხოლო ყველაფერი ხმალსა ჰბრალადებოდა.“(ვაჟა-ფშაველა, ტ.VII , 1964:118).

ბოლოს მკითხავმა ასეთი მითითება მისცა ოჯახს, რომ, სავარაუდოდ, რადგან ხმალი უქმად იყო, წუხდა. ამიტომ იგი ლაშარის ჯვარისთვის უნდა მიერთმიათ: ,,უნდა ლაშარი ჯვრის დროშასთან ესვენოს შენის პატრონის ხმალიო და ლაშქრობის დროს, ვისაც ქადაგი დაასახელებს, ხმალი იმას უნდა ერტყას ლაშქრობის დროსაო“(ვაჟა-ფშაველა, ტ.VII , 1964:118). ასეც მოიქცნენ. მას შემდეგ ხმალი დამშვიდდა. ხოლო ხალხში ხმა დაირხა, რომ სალაშქროდ გამზადებული ბათური ხელს უქნევდა ბიჭებს. ასეთი პატივი არგუნა ვაჟა-ფშაველამ ვაჟკაცის ხმალს თავის მოთხრობაში ,,ბათურის ხმალი“, რომელიც ისევ და ისევ ნასაზრდოები იყო ხალხური თქმულებებიდან.

პოემა ,,ძაღლიკა ხიმიკაური“ მიძღვნილია ილია ჭავჭავაძისადმი. ვაჟას იგი დაუწერია 1902 წელს. ნაწარმოების მთავარი გმირია ხევსური მეომარი-ძაღლიკა ხიმიკაური. აქ თითოს ხალხის წუხილი და ჩუმი სევდანარევი ნატვრაა გადმოცემული, რომ ნეტავი გმირმა, რომელიც საფლავში წევს, არ გაიგონოს საომრად წვევის ხმა, რადგან მას უკვე აღარ ძალუძს წამოდგომაო.

პოემის მეორე თავში იხსნება, რომ ისტორია ერეკლე II ეპოქას ეხება. როდესაც ერეკლე მეფე მოუწოდებს ხევსურთ ლაშქარს:

,,ჩამოდით, ხევსურთ ვაჟებო
ხმლის ქნევა თქვენი ჯერია.
ქალაქის მიდამოები
ურჯულოს დაუჭერია.“

(ვაჟა-ფშაველა, პოემები, 1990:484)

ამავე თავშია წარმოდგენილი, თუ როგორ ემზადებიან ხევსურნი საომრად: ,,ხმალს ლესავენ“, ,,შუბებს წვერავენ“, ჯაჭვის პერანგებს ქსოვენ... აქ გადმოცემულია თუ როგორ მიემართება საბრძოლოდ გამზადებული ლაშქარი მტერთან შესაბმელად, მაგრამ ძაღლიკა ხიმიკაური სახლშია. იგი დაუძლურებული, საწოლსაა მიჯაჭვული. პოემაში დიალოგის საშუალებით ვიგებთ, რომ ხიმიკაური ხერხს ხმარობს, რადგან არ უნდა რაზმის უკან იდგეს. იგი უხსნის მიზეზს ლაშქარს, რომ მას აღარ შეუძლია ხმლის ქნევა და ბრძოლა. შიკრიკები, რომლებიც ლაშქარში უკან ბრუნდებიან, ამბობენ, რომ ძაღლიკა იმიტომ არ მოდის, რომ აბჯარს გლოვობს. თურმე მას ხმალი დაუკარგავს. ბერდია სთავაზობს ხმალს ძაღლიკას. მაგრამ, აშკარა ხდება, რომ ხმალი მეფემ შეხსნა

ძაღლიკას. ბოლოს, ცოლის ჩაგონებით ძაღლიკა თავს ძალას დაატანს, სხვა ხმალს ჩამოიკიდებს, შეჯდება ცხენზე და ხევსურებს წამოეწევა.

მეხუთე თავში აღწერილია, თუ როგორი სიყვარულით ხვდებიან მეფე ერეკლეს - ,,ქართლის ლომს", ,,მზე-მთვარის მინაგვარს" ხევსურნი. თურმე, მეფე ერეკლეს, როგორც კარგ იარაღმცოდნეს, ჩვეულებად ქონია ომის წინ მეომართა ხმლების შემოწმება. მეფე ხიმიკაურსაც უმოწმებს ხმალს და ამავდროულად უქებს ვაჟკაცობას, რომელიც ასპინძაში გამოიჩინა. ერეკლე მეფე ნახავს, რომ ძაღლიკას რკინისვადიანი ხის ხმალი წამოუღია. მეფეს გაეღიმება და ბრძანებს - მოიტანონ ხიმიკაურის ხმალი:

,,მალე მოართვეს და ისიც
ძაღლიკას აძლევს ხელშია,
ძაღლიკა, მაინც იძაღლე,
წაიღე გერტყას ...შენია.
ვინაც წელზეით შემოგხსნას,
ის ღმერთს ნურც დაურჩენია!"

(ვაჟა-ფშაველა, პოემები, 1990:492)

გახარებული ძაღლიკა მოეხვევა მუხლებზე მეფეს და შემდეგ თავის ხმალსაც ემთხვევა.

ბოლო, მეშვიდე თავში, ვხედავთ თუ როგორ მამაცურად იბრძვის ვაჟკაცი. პოემაში გაისმის ხალხური სიმღერისათვის დამახასიათებელი კითხვები: ,,ვინ იყო?", ,,სადაურია?", ,,რომელი მიწა-წყალისა?". ირკვევა, რომ, ეს გმირი გახლდათ ხევსური - ძაღლიკა ხიმიკაური. ასეთია პოემისათვის სიუჟეტი. აშკარაა, რომ იგი რაღაცით ეხმაურება ივანე კოტორაშვილის ამბავს. ორივე პოემის მოქმედი პირები არიან ,,მეფე ერეკლე და გმირი ვაჟკაცი". ვაჟა აქ ცდილობს აჩვენოს, თუ რისი გამომხატველია კარგი მებრძოლისათვის ,,ხმლის შეხსნა". იარაღი ხომ ვაჟკაცის ღირსების სიმბოლოა.

ვაჟა ფშაველა-ბუნების შვილი, მისი გულისცემის რიტმის ამყოლია, იგი ხედავს, გრძნობს და ჩვენც გვაჩვენებს ვაჟკაცობას არა მხოლოდ ადამიანთა, არამედ მთლიანად სულიერთა თუ უსულოთა სამყაროშიც.

აღნიშნული საკითხი ცალკე კვლევის საგნად გვეჩვენება, რამდენადაც სცილდება სამაგისტრო ნაშრომის საზღვრებს. აქედან გამომდინარე, გამოვყოფთ მხოლოდ რამდენიმე დეტალს:

თაგვის, ფიცხელას გამბედაობამ აღაფრთოვანა სათაგურის პატრონი ესტატე პაპა და შობის ღამეს გაუშვა მამაცი თაგვი თავის მეგობრებთან.

ასევე არაერთი ლექსი აქვს მიძღვნილი ვაჟა-ფშაველას ვეფხვისა და ლომის შეუპოვარი ბუნებისადმი, მაგრამ ფრინველთა სამყაროში ვაჟკაცობის და სიძლიერის სიმბოლოა არწივი, ფრინველთა მეფე, რომელიც არა მარტო ძლიერი, არამედ სამართლიანიცაა. ამდენად გმირი ფრინველიც სამართლიანია, რომელმაც შური იძია მემამულე სარდიონის მიერ უსამართლოდ დასჯილ კაჭკაჭზე. („ქუდოვანი“).

შეჯამებისათვის, წინამდებარე ნაშრომში ყურადღებას გავამახვილებთ ვაჟას ცნობილ ლექსზე „კაი ყმა“, რომელსაც ქვესათაურად მიწერილი აქვს „ხევსურულ ჰანგზედ“ და პოეტს შეუქმნია 1909 წელს. თუმცა აღარაა გმირობა ვაჟკაცობის დრო XIX საუკუნეში, ვაჟკაცობის კოდექსად ვაჟა აყალიბებს შემდეგს: კაი ყმა მხოლოდ ხმლით არ აღინიშნება, იგი პირველი უნდა მიეგებოს მტერს, ტკივილს არ იტყობდეს სხეულზე, თვითონ სცემდეს თავზარს სიკვდილს და თუ სხვები ნადავლს იყოფენ თავად ბრძოლას აგრძელებდეს. კაი ყმისთვის აუცილებელია არ ისაუბროს თავის გმირულ საქმეებზე, უბრალოდ ის უნდა იცავდეს სამართლიანობას და თავიც შესწიროს თავის კეთილ სახელს, თუ საჭირო გახდება. ასეთი გმირი ვაჟკაცი საიქიოსაც ხმლიანი უნდა იყოს:

„სულეთს შავიდეს ხმლიანი,
ლაღი, ლაღისა ცხენითა,
წინ მიუძღვოდეს არწივი
ხმით მოყაშაშე, ფრენითა.
ქება უყივლონ გმირებმა
გარდასულებმა ჩვენითა.
ერეკლემ ხელი მაჰხვიოს
დაისვას თავის გვერდითა,
გამაეგებოს თამარი
მცინარი თავის ფეხითა.“

(ვაჟა-ფშაველა, ტ. II, 1962:131)

ასეთი ყმის არსებობა ღმერთსაც უხარია, ბოროტნი კი განაწყენებულნი რჩებიან. ლექსის ბოლოს ვაჟა აკეთებს შედარებას მის თანამედროვეებთან, რომელთათვისაც მთავარი ხორცის დაკმაყოფილებაა, შურით უქმად ატარებენ მთელს სიცოცხლეს. ამ ქმედებით კი ვერც სააქაო სახელს იმკვიდრებენ, ვერც საიქიოდ აქვთ წასამძღვარებელი სიკეთე და დიდება.

,,არ იცით, დასჩნდით რისადა

ან რისათვისა ჰკვდებითა!“

(ვაჟა-ფშაველა, ტ. II, 1962:132)

ამით ვაჟა თითქოს ეხმაურება ილია ჭავჭვაძის-,,კაცია ადამიანის?!“ ბოლო თავში მოცემულ ავტორისეულ სათქმელს: ,,მოკვდა ლუარსაბიცა, ისე როგორც იხოცებიან ბევრი ჩვენგანნი, რომელნიც არც თავის სიცოცხლით უმატებენ რასმეს ქვეყანას და არც თავის სიკვდილით აკლებენ.... რისთვის მოვიდნენ და რისთვის წავიდნენ? ნუთუ ნახევარი საუკუნე იმისთვის იცხოვრეს, რომ ოთხი ფიჭვის ფიცარი ეშოვნათ? და სამ-სამი ადლი მიწა?... ნახევარი საუკუნე იმისთვის იცხოვრეს ამ ქვეყანაზედ, რომ ბოლოს მაინც კიდევ ,,შენდობა“ ითხოვონ და საბოდიშოდ გაიხადონ საქმე? უფროსთაგან ქართველის საფლავის ქვას რომ აწერია ,,შენდობა გვიბრძანეთო“, ეხლა მესმის, რისთვისაც აწერია. მაგ შესანდობარს და შესაბრალისს ჩვეულებას თავისი აზრი და საფუძველი ჰქონია...“ (ილია ჭავჭავაძე, ტ.II, 1985:199-200)

ვაჟა-ფშაველა თავის პუბლიცისტურ წერილებში არაერთგზის ეხება გმირობა-ვაჟკაცობის საკითხს. მაგალითისათვის - ,,ძველებური ომი დასაომარი იარაღი სახალხო პოეზიაში“, რომელიც სიკვდილამდე სულ ცოტა ხნით ადრე დაუწერია მას. აქ კიდევ ერთხელ ეხება ავტორი იარაღის ფუნქციას ომში და მის ასახვას ხალხურ პოეზიაში: ,,დღევანდელს ზარბაზნებს, თოფ-იარაღს, სხვადასხვა ჯურის ყუმბარას რომ შევადაროთ იარაღი და თვით წესი ომისა, რა თქმა უნდა, სულ სხვა სურათი დაგვიდგება თვალწინ. დღევანდელისთანა ადამიანთა მმუსვრელი და გამანადგურებელი არა დროს არა ყოფილა ომი და ეს გამოწვეულია თანამედროვე ტეხნიკით. დღეს იმდენად საჭირო აღარც კი არის გულოვანობა. დღეს, ქოროღლის

თქმისა არ იყოს: ,,ავი და კარგი გასწორდა, გასწორდა მთა და ბარი“. დღეს თავი და თავი გამარჯვებისა მოხერხებაა.“ (ვაჟა-ფშაველა, ტ. IX, 1962:370)

ვიდრე ჯარი მოვიდოდა, ვაჟკაცი ცდილობდა მარტო მიგებებოდა მტერს. ამით იგი ,,სძრავდა ჯაჭვის სახელს“. ვაჟა სწუხს იმის გამო, რომ მისი ეპოქის ყოფამ, სახელის მოსახვეჭად კაცს სხვა გზები მოაძებნინა: ,,თუმც კი დღევანდელს ადამიანში იგივე ძველის-ძველი მხეცი ბუდობს და ყველა სხვა უნარზე წინ გულოვანობა - ვაჟკაცობას აყენებს.“ (ვაჟა-ფშაველა, ტ. IX, 1962:373). გულადობა ყველაზე მთავარია, თუმცა დრო შეიცვალა. ეს წერილი ვაჟას, სავარაუდოდ, 1914 წელს გაჩაღებული პირველი მსოფლიო ომის დროს უნდა დაეწეროს და მასში გამოკვეთს იმ ფაქტსაც, რომ, ადრე თუ ქართველი მხოლოდ საკუთარი მამულ-დედულის შენარჩუნებისთვის იბრძოდა, სხვას არაფერს ედავებოდა, მაშინ, როდესაც, ,,დღევანდელ ომსაც საბუთად იგივე დედა-მიწა, მამული აქვს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ეხლანდელნი მეფენი ქვეყნის მმართველნი, მარტო იმას კი არ სჯერდებიან, საკუთარი ტერიტორია დაიცვან, სხვის საკუთრებას ებღაუჭებიან და სცდილობენ, რაც შეიძლება მეტი ერთმა მეორეს წაჰგლიჯოს, მიითვისოს.“ (ვაჟა-ფშაველა, ტ. IX, 1962:373). ამით იგი თითქოს ეხმაურება რომანტიკოსი პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის ცნობილი ლაქსის ,,ფიქრნი მტკვრის პირზედ“ სტრიქონებს:

,,თვითონ მეფენიც, უძლეველნი, რომელთ უმაღლეს
ამაო სოფლად არღა არის სხვა რამ დიდება,
შფოთვენ და რტვინვენ და იტყვიან : ,,როდის იქნება,
ის სამეფოცა ჩვენი იყოს?“ და აღიძვრიან
იმავ მიწისთვის, რაც დღეს თუ ხვალ თვითვე არიან!...“

(ნიკოლოზ ბარათაშვილი, 1993:73)

მწერალი წუხს იმის გამო, რომ იგი აპირებდა ამ საკითხზე ვრცელი წერილის დაწერას, თუმცა, ვერ მოახერხა.

როგორც მკვლევარი იუზა ევგენიძე შენიშნავს, თუნდაც გადასხვაფერებულ პირობებში, რაინდული სულის არსებობა აუცილებელია და სწორედ ამაზე მიანიშნებს ვაჟა-ფშაველა: ,, ზნეობის, ,,არ დაღუპვის“, ადამიანის მაღალ სულიერ შესაძლებლობათა გადარჩენის წყურვილით არის ავსებული ვაჟას დიდი მხატვრული სამყარო, რომელშიც

გამოკვეთილ ადგილს იჭერს ამ ნიშნით დატვირთული ,,კაი ყმის“ ანუ რაინდული სულის მარადიულობის, მისი უკვდავების თემა.“ (ი. ევგენიძე, 2000:558)

ჩვენც ვეთანხმებით მკვლევარის ნააზრევს: ,,ვაჟას ცხოველმყოფელი ფანტაზია, სიცოცხლისა და მშვენიერებისადმი მისი ჯანსაღი სიყვარული ცხადყოფს ერთ ჭეშმარიტებას, რომ ადამიანის შესაძლებლობებისადმი რწმენის, გმირული სულის და საზოგადოდ რაინდული იდეალის კვდომა მოასწავებს პიროვნების მაღალი სულიერი ღირებულებების ქრობას.“(ი. ევგენიძე, 2000:559)

ამდენად, ვაჟა-ფშაველასთან სამოციანელების ლიდერების, ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის გვერდით, მძლავრად წარმოაჩინა კარგი ყმის-კარგი ვაჟკაცის აბრისი, სახე, რაც მის თანამედროვე ქართველებისათვის სამაგალითო უნდა ყოფილიყო.

დასკვნა

საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდგომ პერიოდში შეცვლილმა ეროვნულმა ღირებულებებმა თავისებური ასახვა ჰპოვა ჯერ კიდევ ქართველ რომანტიკოსებთან, ხოლო ძირითადად 60-იანი წლებიდან ცნობილ ქართველ საზოგადო მოღვაწე მწერალთა, კრიტიკული რეალიზმის წარმომადგენელთა - ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის და ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში. გმირობა ვაჟკაცობის თემამ, რომლის შესწავლის მცდელობაც იყო მოცემული წინამდებარე ნაშრომში, მიგვიყვანა შემდეგ დასკვნამდე:

1. ილიამ, აკაკიმ და, განსაკუთრებით, ვაჟა-ფშაველამ, თავის შემოქმედებაში ცალკე ადგილი დაუთმეს ქართველი კაცის გმირულ-ვაჟკაცური ბუნების, როგორც კაცობის უმაღლესი გამოხატულების, ჩვენებას როგორც ისტორიულ წარსულში, ისე მის ერთგვარ პარალელს თანამედროვე ყოფასთან, როდესაც აღნიშნულმა ზნეობრივმა ღირებულებამ ერთგვარად დაკარგა თავისი მნიშვნელობა და ადამიანებმა დაიწყეს თავის გამოჩენის მიზნით სხვადასხვა გზების ძიება.

2. ილიასათვის წარსულში ქართველთა გმირული ბუნება პიროვნების მიერ სამშობლოს დაცვის თემას უკავშირდება. ეს წარმოჩინდა როგორც მის პოეზიაში, ისე პოემებსა და პროზაშიც (,,მეფე დიმიტრი თავდადებული“, ,,ნიკოლოოზ გოსტაშაბიშვილი“,) ილიას შემოქმედებაში მოჩანს, ნაღველი და ტრაგიკული სევდა მისი თანამედროვე ადამიანების მიმართ, რომელთაც დავიწყებიათ, რომ მამულს კვლავ სჭირდება კაცური კაცი, რომლის ზნეობრივ ღირებულებებს შორის ვაჟკაცობა პირველ ადგილს უნდა იკავებდეს. ეს აუცილებელია არა მარტო მამაკაცის, არამედ ქალისთვისაც (,,პატარა ამბავი“).

3. აკაკი წერეთელი თითქმის რომანტიკული აღფრთოვანებით შესტრფის წარსულის გმირებს, რომლებმაც იცოდნენ როგორც მტრის მოგერიება, ისე მოყვარის მოყვრული დახვედრა. (,,ორი ქართველი“, ,,დათუნა გოცირიძე“) . მწერლის ისტორიულ პოემებში (,,ნათელა“ , ,,თორნიკე ერისთავი“ , ,,ბაგრატ დიდი“) წარმოჩინდა არამარტო გმირი ქართველი ვაჟკაცის ღირსებანი, არამედ ლაშქრის, როგორც ჯგუფური ერთეულის, საბრძოლო განწყობილება. პოეტმა შეძლო საუკუნეთა მიღმა მიმდინარე ბრძოლათა ეპიზოდებში ბატალური სცენების ოსტატური აღწერა. იგი განსაკუთრებულად

სატირული სახით ხატავს იმ ქართველებს, რომელნიც სასაცილოდ იგდებენ წარსულში გმირობა-ვაჟკაცობის ცნებას (,,ახალი გმირი“) რამდენადაც მათთვის ,,ახალი ღირებულებები“ უფრო გამოსაჩენად მიაჩნიათ ადამიანისათვის. გლახა ბაქრაძის- ბაში-აჩუკის სახით აკაკიმ აჩვენა სახალხო გმირი. მიუხედავად იმისა, რომ იგი შედარებით დაბალი წარმოშობისაა, თავისი ღირსებებით იმკვიდრებს საპატიო სახელს (,,ბაში-აჩუკი“).

4. სამაგისტრო ნაშრომის ბოლო თავი მიეძღვნა კარგი ყმის, როგორც გმირობა-ვაჟკაცობის აბრისს, სახეს ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში, რამდენადაც მასთან ყველაზე ღრმად, სრულყოფილად და სამაგალითოდ წარმოჩინდა ადამიანის უმაღლესი ზნეობრივი თვისება, რომელსაც ვაჟამ, მთის ხალხებში დამკვიდრებული ,,კაი ყმის“, ,,ბიჭობის“ სახელი უწოდა და არაერთი შედევრი უძღვნა მას.

5. მკვლევართა ნააზრევში ჩვენ ვანთხმებით აკაკი გაწერელიას, რომელიც თვლის, რომ ,,კაი ყმა-ანუ გმირი“ პატრიოტია, მნიშვნელოვანია მისი თემთან ურთიერთობა და ის ღირსებანი, რაც ახასიათებდა გმირს (მთის ხალხებს), როგორც მის დროს შეეფერებოდა. ესენია: თემის ტრადიციის დაცვა ან მის წინააღმდეგ გალაშქრება, თუკი ეს განპირობებულია პიროვნების ღირსების პატივისცემით, სახელის გამოჩენა, უშიშრად დგომა სიკვდილთან, ქალის ღირსების დაცვა, სიყვარული და პატივისცემა სამშობლოსა და მეფისა, რწმენის ერთგულება და დაცვა.

6. ვაჟას შემოქმედებაში საომარი იარაღიც კი ვაჟკაცის ზნეობის გამოხატულებაა. ის მჭიდრო კავშირშია თავად გმირთან (,,ბათურის ხმალი“, ,,ხმლის ჩივილი“)

7. წარსულში გმირი-ვაჟკაცად, წარმოგვიდგება თავისი მიწა-წყლის დასაცავად მებრძოლი ქართველი, რომლის სახე არც ისე იშვიათად გაიდეალიზირებულია და ხშირ შემთხვევაში მას არაამქვეყნიური თვისებების ქონასაც მიაწერენ, მაგრამ ვაჟას ეპოქაში მას დაუკარგავს მნიშვნელობა. ვაჟა-ფშაველა არამარტო ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში ეძებს გმირებს და მათი ვაჟკაცობის ამსახველ ამბებს, ლეგენდებს აქცევს პოემებად, არამედ აწმყოშიც სავალდებულოდ მიიჩნევს ,,კაი ყმის“ ღირსების შენარჩუნებას.

8. ჩვენთვის საინტერესო აღმოჩნდა ვაჟას არაერთი პუბლიცისტური წერილი, რომელშიც იგი ცდილობს დაასაბუთოს გმირობა-ვაჟკაცობის მნიშვნელობა როგორც

წარსულში, ისე მისი აუცილებლობა აწმყოშიც (,,გმირის იდეალი ფშაური პოეზიის გამოხატულებით“, ,,ძველებური ომი და საომარი იარაღი სახალხო პოეზიაში“).

9. ისტორიულ მოვლენებთან დაკავშირებულ ნაწარმოებებში მწერალი ძირითადად იხსენიებს იმ გმირებს, რომელთა შესახებაც დარჩენილა სიმღერები ზეპირსიტყვიერებაში (,,ივანე კოტორაშვილი“, ,,ძაღლიკა ხიმიკაური“, ,,ბახტრიონი“).

10. რამდენადაც ვაჟას დამოკიდებულება ბუნებასთან მოიცავს როგორც ადამიანურ, ისე ცხოველთა და ფრინველთა სამყაროსაც, ამდენად არაერთ ნაწარმოებში გვიხატავს იგი ცხოველთა და ფრინველთა სიმამაცეს, თუნდაც ეს სიმამაცე თაგვის ჩადენილი იყვეს .

11. ვაჟა-ფშაველამ გაიზიარა მის წინამორბედთა თუ თანამედროვე ეპოქის სამოციანელთა (ილია, აკაკი) იდეები გმირობა-ვაჟკაცობის, როგორც უმაღლესი ადამიანური ღირსების გამოხატულებაზე, წარსულში და მის აუცილებლობაზე აწმყოსა თუ მომავალში.

12. ძირითადი დასკვნები გამოტანილია ნაწილობრივ მკვლევართა ნააზრევის და ნაწილობრივ ჩვენს მიერ საკითხის შესწავლის საფუძველზე, რისი გაგრძელების აუცილებლობაც დაიბადა წინამდებარე ნაშრომზე მუშაობის პერიოდში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. სულხან საბა ორბელიანი, ,,სიტყვის კონა ქართული“, რომელი არს ლექსიკონი ა-თ, თბილისი, 2013;
2. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი , ერთტომეული, ნაკვეთი I, ა-ლ,თბილისი, 1990;
3. ,,სიბრძნის საუნჯე“, ,,ნაკადული“ , თბილისი, 1987;
4. burusi.wordpress.com;
5. ალექსანდრე ჭავჭავაძე, ,,თხზულებანი“, ,,მერანი“, თბილისი,1986;
6. ,,ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია“,ტ. I,თსუ თბილისი, 1972წ;
7. ილია ჭავჭავაძე, რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, ტ.III, ,,საბჭოთა საქართველო“, თბილისი,1986;
8. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ????????
9. ახალი ქართული ლიტერატურა“, ნაწილი I, 1978;
10. გრიგოლ ორბელიანი, ,,საღამო გამოსალმებისა“, ,,მერანი“, თბილისი,1989;
11. მიხეილ ზანდუკელი, ,,თხზულებანი“, ტ. II , თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1962;
12. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია ს.ს.რ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი, ,,ქართული ლიტერატურის ისტორია“, ტ.IV, ,,საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1974;
13. ილია ჭავჭავაძე, რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, ტ.I, ,,საბჭოთა საქართველო“, თბილისი,1985;
14. აპოლონ მახარაძე, ,,ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“, ტ.I, ,,სამეცნიერო მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა“, თბილისი,1957;
15. ლადო მინაშვილი ,,ილია ჭავჭავაძის ცხოვრება'', თსუ 1995;
16. კიტა აბაშიძე ,,ეტიუდები'' ,,საბჭოთა საქართველო'' თბილისი 1970;
17. თამარ გოგოლაძე, ,,მეცხრამეტე საუკუნის 60-70 იანი წლების საბავშვო ლიტერატურა“, ,,უნივერსალი“, თბილისი 2012;
18. კიტა აბაშიძე ,,ეტიუდები'' თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლიბა 1962;

19. ილია ჭავჭავაძე, რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, ტ.II, ,,საბჭოთა საქართველო“, თბილისი,1985;
20. ,,აკაკის სამრეკლო“, ,,განათლება“, თბილისი, 1990;
21. ვახუშტი კოტეტიშვილი, რჩეული ნაწერები, ,,საბჭოთა საქართველო“ თბილისი, 1965;
22. აკაკი წერეთელი, თხზულებანი, ,,საბჭოთა საქართველო“,თბილისი, 1980;
23. აკაკი წერეთელი , თხზ. სრ. კრებ. ტ. I, საქართველოს ს.ს.რ. სახელმწიფო გამომცემლობა, თბილისი, 1950;
24. აკაკი წერეთელი , თხზ. სრ. კრებ. ტ. IV, საქართველოს ს.ს.რ. სახელმწიფო გამომცემლობა, თბილისი,1950;
25. პროკლე კეკელიძე, ,,აკაკი წერეთელი“, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1985;
26. აკაკი წერეთელი , თხზ. სრ. კრებ. ტ. III, საქართველოს ს.ს.რ. სახელმწიფო გამომცემლობა, თბილისი,1954;
27. აკაკი წერეთელი , თხზ. სრ. კრებ. ტ. V, სახელმწიფო გამომცემლობა, თბილისი,1996;
28. გიორგი ჯიბლაძე, ,,კრიტიკული ეტიუდები“, ტ.I, ,,საბჭოთა საქართველო“, თბილისი,1958;
29. აკაკი წერეთელი, თხზ. სრ. კრებ. IX, სახელმწიფო გამომცემლობა, თბილისი,1959;
30. აკაკი წერეთელი, თხზ. სრ. კრებ. ტ. VIII, ,,საბჭოთა საქართველო“, თბილისი,1958;
31. როსტომ ჩხეიძე, ,,ხან მიწისა და ხან ცისა“, ,,ჩვენი მწერლობა“, თბილისი, 2017;
32. ,,ვაჟა-ფშაველა ლიტერატურასა და ხელოვნების შესახებ'', თსუ თბილისი,1962;
33. ვაჟა-ფშაველა, თხზ.სრ. კრებ. ტ.I, საბჭოთა საქართველო“, თბილისი,1964;
34. ვაჟა-ფშაველა, პოემები, ,,ნაკადული“, თბილისი, 1990;
35. იუზა ევგენიძე, ლადო მინაშვილი, ,,ქართული ლიტერატურა“, ტ. II, ,,საქართველოს მაცნე“, თბილისი, 2013;

36. ვაჟა-ფშაველა ,,ქართული მწერლობა'' 30 ტომად ტ. XVII ნაკადული თბილისი 2000;
37. თ. ქურდოვანიძე, ,,ვაჟა-ფშაველა და ქართული პოეტური სიტყვა“, თსუ თბილისი, 1991;
38. აპოლონ მახარაძე, ,,ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“, ტ.II, თბილისი, 1994;
39. ვაჟა-ფშაველა, თხზ.სრ. კრებ. ტ.VII, საბჭოთა საქართველო“, თბილისი,1964;
40. ვაჟა-ფშაველა, თხზ.სრ. კრებ. ტ.II, საბჭოთა საქართველო“, თბილისი,1964;
41. აკაკი ბაქრაძე, ,,ილია და აკაკი“, ,,საქართველო“, თბილისი,1992;
42. ილია ჭავჭავაძე, რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, ტ.IV, ,,საბჭოთა საქართველო“, თბილისი,1987;
43. ლევან ასათიანი, ,,ცხოვრება აკაკი წერეთლისა“, სახელმწიფო გამომცემლობა, თბილისი, 1952;
44. შ. ვაშაყმაძე, ,,აკაკი წერეთელი“, ,,ცოდნა“ 1980;
45. აკაკი წერეთელი , თხზ. სრ. კრებ. ტ. II, საქართველოს ს.ს.რ. სახელმწიფო გამომცემლობა, თბილისი,1950;
46. ვაჟა-ფშაველა, თხზ.სრ. კრებ. ტ.IX, საბჭოთა საქართველო“, თბილისი,1964;
47. ვაჟა-ფშაველა, თხზ.სრ. კრებ. ტ.X, საბჭოთა საქართველო“, თბილისი,1964;
48. ნიკოლოზ ბარათაშვილი, ერთტომეული, ,,ქართლი“, გორი,1993;
49. ,,ახალი ქართული ლიტერატურა“, XIX საუკუნე, ტ I, ქრესტომათია, ,,თ.ს.უ.“, თბილისი,1979;